რობიზონ ხურცილავა

იმიტირებული სასამართლო პროცესი

ქეისები საოჯახო სამართალში

პრაქტიკული სახელმძღვანელო

ქუთაისი 2024

რობიზონ ხურცილავა

იმიტირებული სასამართლო პროცესი

ქეისები საოჯახო სამართალში

პრაქტიკული სახელმძღვანელო

ქუთაისი 2024

სახელმძღვანელო მომზადდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 11 მარტის N01-04/16 ბრძანებით გამოცხადებული შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის საფუძველზე ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის 2 მაისის N01-04/24 ბრძანებით დამტკიცებული „იმიტირებული სასამართლო პროცესების ადმინისტრირების“ პროექტის ფარგლებში

სახელმძღვანელო განკუთვნილია საოჯახო სამართლის კურსის შესწავლისას ჯგუფში მუშაობისათვის, სამართლის პროგრამის სტუდენტებისათვის, ლექტორებისათვის, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტებისათვის. ამასთანავე, მკითხველთა ფართო წრისათვის და საოჯახო სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა: მარიამ ჯანაძემ, მარიამ მაღლაკელიძემ და დავით ხურციძემ.

სახელმძღვანელო დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის 2024 წლის 20 ნოემბრის N2 და ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 19 ნოემბრის N5სხდომის ოქმებით.

ISBN 978-9941-8-7299-0

© ი.მ. „მარიამ იობაძე“

ავტორი

სამართლის დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

რობიზონ ხურცილავა

რედაქტორი

სამართლის დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პროფესორი **ზურაბ ჭეჭელაშვილი**

რეცენზენტები

სამართლის დოქტორი
წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტის
პროფესორი **შალვა ქურდაძე**

სამართლის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ნინო ხუნაშვილი

სამართლის დოქტორი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
სიმონ ტაკაშვილი

სარჩევი

1. შეჯიბრის წესები 5
2. იმიტირებული სასამართლო პროცესის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში 15
3. რა უნდა ვიცოდეთ იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ 17

ქეისები

1. თამარი - დავითის წინააღმდეგ 25
2. ლელა ლევანის წინააღმდეგ 65
3. ანა ერეკლეს წინააღმდეგ 89
4. ნინო აკაკის წინააღმდეგ 117
5. ნინო - მონიკას და ვახტანგის წინააღმდეგ 133

შეჯიბრის წესები

1. ზოგადი დებულებები

1.1 შეჯიბრი

1.1.1 იმიტირებული სასამართლო პროცესი (შემდგომში „შეჯიბრი“) წარმოადგენს საგანმანათლებლო ხასიათის შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სამართლის სკოლისა/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა ან/და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდებს.

1.1.2 შეჯიბრის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1.1.3 შეჯიბრი მიზნად ისახავს სტუდენტებში ცოდნის ამაღლებასა და ნათელი წარმოდგენის შექმნას მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებზე, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

1.1.4 შეჯიბრი არის სრულად საგანმანათლებლო ხასიათის და მისი მიზანი არ არის მოგების ან რაიმე სხვა სახის ფულადი სარგებლის მიღება.

1.2 ჯგუფების რეგისტრაცია

1.2.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია რეგისტრაცია, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს შეჯიბრის ორგანიზატორი. რეგისტრაცია გულისხმობს ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო ფორმის შევსებას, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესებით დადგენილი პირობებისა და ვადის დაცვით.

1.2.2 თითოეულმა გუნდმა უნდა შეავსოს ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელშიც უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის დასახელება, გუნდის წევრების სახელები, საკონტაქტო ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა, ამასთანავე, გუნდმა უნდა მიუთითოს საკონტაქტო პირი, რომელსაც დაუკავშირდება ორგანიზატორი ნებისმიერი საკითხის შესათანხმებლად. გარდა ამისა, თითოეული გუნდი უფლებამოსილია ჰყავდეს მწვრთნელი, რომლის შესახებ ინფორმაციაც მითითებული უნდა იყოს სარეგისტრაციო ფორმაში.

1.2.2.1 მწვრთნელი უფლებამოსილია გუნდს დაეხმაროს შემდეგ საკითხებში: სამართლებრივი კვლევა და წერილობითი დოკუმენტების მომზადება; სამართლის ზოგად პრინციპებზე, შეჯიბრის თემასთან დაკავშირებულ სფეროებზე კონსულტაციის გაწევა; ზეპირი გამოსვლისთვის მომზადება და სტრატეგიის შემუშავება.

1.2.2.2 დაუშვებელია გუნდის მწვრთნელმა თავად დაწეროს წერილობითი პოზიცია ან/და გუნდს გაუწიოს იმგვარი დახმარება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპთან.

1.2.2.3 წინამდებარე წესების 1.2.2.2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, გუნდი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ მიღებული ყველა შეფასება უქმდება.

1.2.3 შეჯიბრში რეგისტრაცია და მონაწილეობის მიღება თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან. შეჯიბრის სარეგისტრაციო მოთხოვნებსა და წესებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, გუნდების საკონტაქტო პირებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო შეტყობინების საშუალებით.

1.2.4 რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გუნდის წევრებს ეცნობებათ გუნდის იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის შესახებ ელექტრონული ფოსტით ან საკონტაქტო პირისათვის შეტყობინებით.

1.2.5 დაუშვებელია წერილობით დოკუმენტზე უნივერსიტეტის სახელის/ლოგოს ან მონაწილეთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მითითება ან რაიმე ფორმით გამჟღავნება იმიტირებული პროცესის მოსამართლეებისა და წერილობითი დოკუმენტების შემფასებელი ჟიურის წევრებისათვის, როგორც წერილობით, აგრეთვე ზეპირ ეტაპზე. წერილობით დოკუმენტში გუნდებმა უნდა მიუთითონ მხოლოდ გუნდის დასახელება.

1.3 შეჯიბრის კაზუსი

1.3.1 შეჯიბრის კაზუსი უკავშირდება სამართლებრივ საკითხებს. პოზიციის მომზადებისას მონაწილე გუნდები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ ქართული და უცხოური წყაროები, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები.

1.3.2 შეჯიბრის კაზუსი შედგენილია ორგანიზატორის მიერ. კაზუსი სრულად ჰიპოთეტური ხასიათისაა და მასში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები არ ასახავს რეალობას.

1.3.3 შეჯიბრში მონაწილე გუნდებს კაზუსი გადაეგზავნებათ რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდგომ, შეჯიბრის შესახებ არსებულ ინფორმაციაში მოცემული ვადების მიხედვით. კაზუსის გადაგზავნა განხორციელდება იმ პირის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც გუნდები სარეგისტრაციო განაცხადში მიუთითებენ როგორც „საკონტაქტო პირი“.

1.3.4 კაზუსის ოფიციალურად გადაგზავნის შემდეგ, ჯგუფებს აქვთ არაუმეტეს 2 კალენდარული დღე, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გამოაგზავნონ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული დამაზუსტებელი კითხვები. დამაზუსტებელი კითხვები გამოგზავნილი უნდა იქნას ერთიან დოკუმენტში PDF ან Word ფაილის სახით. დამაზუსტებელი კითხვები არ უნდა შეეხებოდეს ფაქტების სამართლებრივ შეფასებას.

1.3.5 დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნებათ ყველა ჯგუფის საკონტაქტო პირს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს შეჯიბრის კაზუსის ნაწილს და ჯგუფები უფლებამოსილები არიან დაეყრდნონ მათ, როგორც წერილობითი დოკუმენტის შედგენისას, ისე ზეპირი გამოსვლისას.

1.4 შეჯიბრის სტრუქტურა

1.4.1 შეჯიბრი შედგება წერილობითი და ზეპირი ნაწილებისაგან. შეჯიბრის ზეპირი ნაწილი შედგება შესარჩევი (მეოთხედფინალი), ნახევარფინალური და ფინალური ეტაპებისგან.

1.4.2 შესარჩევ ეტაპზე გადასულ 8 გუნდს ჩაუტარდება ზოგადი ხასიათის სწავლება შეჯიბრის კაზუსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1.5 შეჯიბრის ენა და ფორმატი

1.5.1 შეჯიბრი ტარდება ქართულ ენაზე. ყველა წერილობითი დოკუმენტი, მათ შორის ნებისმიერი კორესპონდენცია უნდა მომზადდეს, ხოლო ზეპირი გამოსვლები უნდა წარიმართოს ქართულ ენაზე. აღნიშნული წესი არ ზღუდავს ჯგუფებს, მოიძიონ შეჯიბრისათვის საჭირო ნებისმიერი უცხოენოვანი ლიტერატურა და გამოიყენონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

1.5.2 ორგანიზატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები და ამის შესახებ, გონივრულ ვადაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობოს შეჯიბრში მონაწილე გუნდების საკონტაქტო პირებს.

1.5.3 წინამდებარე წესებში ნებისმიერი უზუსტობის ან/და ბუნდოვანების შემთხვევაში, მისი განმარტება უნდა მოხდეს შეჯიბრის მიზნებიდან გამომდინარე.

1.5.4 აღნიშნული წესები ძალაში შედის მონაწილე გუნდებისთვის ხელმისაწვდომად გახდომის მომენტიდან და ძალაში რჩება შეჯიბრის დასრულებამდე.

2. შეჯიბრში მონაწილეობა და დაშვების კრიტერიუმები

2.1 მონაწილე გუნდები

2.1.1 შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ან/და მაგისტრატურის სტუდენტებისგან შემდგარ გუნდებს. ერთი უნივერსიტეტიდან შესაძლებელია რეგისტრაცია გაიაროს ერთმა ან რამდენიმე გუნდმა.

2.1.2 შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს არანაკლებ ორი და არაუმეტეს ოთხი წევრისაგან, გუნდს მოწმის/მესამე პირის სახით შეუძლია დაიმატოს არაუმეტეს სამი წევრი.

2.2 გუნდების შემადგენლობა

2.2.1 შეჯიბრზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დაუშვებელია განხორციელდეს გუნდების შემადგენლობების ცვლილება. გამონაკლისია საპატიო მიზეზის არსებობა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ორგანიზატორს. ცვლილების დადასტურებაზე გადაწყვეტილებას იღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

2.2.2 შეჯიბრში მონაწილე გუნდის წევრი შეიძლება იყოს პირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: შეჯიბრის ჩატარების მომენტისათვის აქვს სტუდენტის სტატუსი და იმყოფება ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტისბაკალავრიატის ან/და მაგისტრატურის საფეხურზე.

2.2.3 წინამდებარე წესების 2.2.1 და 2.2.2 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, გუნდი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ მიღებული შეფასება უქმდება.

2.2.4 გუნდის წევრს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული მსგავსი ტიპისა და შინაარსის მქონე იმიტირებული პროცესის ზეპირ ეტაპზე. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, გუნდის წევრი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მას უფლება ერთმევა, გააგრძელოს შეჯიბრი მონაწილეობა.

2.2.5 გუნდებს შესაძლებელია ჰყავდეთ მწვრთნელი, რომელიც დაუშვებელია კონსულტაციას უწევდეს ერთზე მეტ გუნდს.

3. წერილობითი დოკუმენტი

3.1 წერილობითი დოკუმენტის წარდგენა

3.1.1 თითოეული გუნდი ვალდებულია წარადგინოს წინამდებარე წესების დაცვით შესრულებული წერილობითი დოკუმენტი, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციისათვის. დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს გუნდის საკონტაქტო პირმა, ორგანიზატორის მიერ დაწესებული ვადების დაცვით.

3.1.2 წერილობითი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნას ელექტრონულად, PDF ფორმატში.

3.1.3 წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, გუნდებს უფლება არ აქვთ რაიმე სახით შეცვალონ და განმეორებით წარადგინონ წერილობითი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, ვადაზე ადრე წარადგენენ მას თუ არა.

3.1.4 წერილობითი დოკუმენტის გადაგზავნა უნდა განხორციელდეს ორგანიზატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, დაწესებული ვადის ბოლო დღის არაუგვიანეს 23:59 სთ-ზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას.

3.2 წერილობითი დოკუმენტის ფორმატი

3.2.1 მოსარჩელისა და მოპასუხის წერილობითი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- თავფურცელი;
- სარჩევი;
- ბიბლიოგრაფია;
- ფაქტების მოკლე მიმოხილვა;
- მხარეთა არგუმენტები.

3.2.2 გუნდებს უფლება აქვთ, წერილობით დოკუმენტში გაითვალისწინონ სხვა ისეთი ნაწილებიც, რაც მითითებული არ არის 3.2.1 პუნქტში.

3.3 წერილობითი დოკუმენტის მოცულობა

გუნდების მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტები, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიცია, არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათასი) სიტყვას. 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებული იმგვარი ნაწილები, როგორიცაა თავფურცელი, სარჩევი და ბიბლიოგრაფია, არ ჩაითვლება საერთო მოცულობაში.

3.4 სტილისტური მოთხოვნები

3.4.1 თითოეული წერილობითი დოკუმენტი შედგენილი უნდა იქნას შემდეგი სტილისტური მახასიათებლებით:

- დოკუმენტის ფორმატი - PDF;
- ფონტი - Sylfaen;
- ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
- სქოლიოს შრიფტის ზომა - 10;
- დაშორება სტრიქონებს შორის - 1.5;
- ზედა და ქვედა არეები - 3 სმ;
- მარჯვენა და მარცხენა არეები - 2 სმ.

3.4.2 დოკუმენტის სარჩევი და ბიბლიოგრაფია დანომრილი უნდა იქნას რომაული (I, II, III…), ხოლო ფაქტები და მხარეთა არგუმენტები არაბული (1,2,3...) რიცხვებით.

3.5 თავფურცელი

წერილობითი დოკუმენტის თავფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- გუნდის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
- პროცესში მონაწილე მხარეთა დასახელება;
- პოზიციის დასახელება;
- თარიღი.

3.6 სქოლიო

3.6.1 სქოლიოში უნდა მიეთითოს ის ავტორები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა სამართლებრივი წყაროები, რომელსაც გუნდი უშუალოდ იყენებს წერილობით დოკუმენტში.

3.6.2 სქოლიოს მითითებისას გუნდები არ არიან შეზღუდულნი გამოიყენონ მათთვის სასურველი საერთაშორისო სტანდარტი. სქოლიოს მითითების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მისი ერთგვაროვნება მთლიან წერილობით დოკუმენტში.

3.7 ფაქტების აღწერა

3.7.1 ფაქტების აღწერა არ უნდა აღემატებოდეს 500 (ხუთას) სიტყვას.

3.7.2 ფაქტების აღწერაში უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც რელევანტურია საქმისთვის და შეესაბამება მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

3.7.3 ფაქტების აღწერაში არ უნდა განხორციელდეს სამართლებრივი შეფასება. დაუშვებლია ფაქტობრივი გარემოების დამატება ან/და გამოგონება.

3.8 მხარეთა არგუმენტები

3.8.1 თითოეულ წერილობით დოკუმენტში მხარეთა არგუმენტები არ უნდა აღემატებოდეს 4500 (ოთხი ათას ხუთას) სიტყვას.

3.8.2 მხარეთა არგუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ლოგიკური სტრუქტურის სახით და შესაძლებელი უნდა იქნას მასში სამართლებრივი პრობლემის და მისი გადაჭრის გზის ნათლად იდენტიფიცირება.

4. ზეპირი ეტაპი

4.1 ზოგადი დებულებები

4.1.1 ზეპირ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენისას გამოვლენილი 8 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი. იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრზე რეგისტრაციას გაივლის 8 ან ნაკლები გუნდი, წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი ავტომატურად მოხვდებიან ზეპირ ეტაპზე.

4.1.2 ზეპირი ეტაპი ჩატარდება სამ ნაწილად - შესარჩევი, ნახევარფინალური და ფინალური თამაშები.

4.1.3 ზეპირი ეტაპებისათვის გუნდების განაწილება მოხდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ზეპირი ეტაპის შესარჩევ რაუნდში მონაწილე 8 გუნდს ორგანიზატორი წინასწარ აცნობებს პოზიციას, რომელიც ასევე ფარული კენჭისყრის გზით იქნება გამოვლენილი.

4.1.4 ზეპირი ეტაპის გამართვას უზრუნველყოფს ორგანიზატორი, რომელიც გუნდებს წინასწარ ატყობინებს აღნიშნულის შესახებ.

4.2 ზეპირი მოსმენები

4.2.1 შესარჩევ ეტაპზე თითოეული გუნდი ვალდებულია მოამზადოს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიცია. მონაწილე გუნდები თითოეულ ეტაპზე წარადგენენ კენჭისყრის შედეგად შერჩეულ მხოლოდ ერთ, მოსარჩელის ან მოპასუხის პოზიციას, რომელსაც ორგანიზატორი წინასწარ აცნობებს გუნდის საკონტაქტო პირს. იმ შემთხვევაში, თუ ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან ის გუნდები, რომლებიც ნახევარფინალურ ეტაპზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თითოეული გუნდი წარადგენს მათი შეხვედრისგან განსხვავებულ პოზიციას (პოზი-

ციები იცვლება).

4.2.2 ზეპირი მოსმენებისათვის განკუთვნილი სრული დრო (მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების ჩათვლით) არის 65 წუთი, რომელიც გადანაწილებული უნდა იქნას შემდეგი სახით:

- მოსარჩელე მხარის გამოსვლა - 30წუთი;
- მოპასუხე მხარის გამოსვლა - 30წუთი;
- შემაჯამებელი სიტყვა თითოეული გუნდისთვის - 2.5 წუთი.

4.2.3 ზეპირ გამოსვლაში თითოეულ შეხვედრაში გუნდი ირჩევს ზეპირ მომხსენებელს/მომხსენებლებს. ზეპირ გამოსვლაში მონაწილეობის უფლება აქვს გუნდის ერთ, რამდენიმე ან ყველა მონაწილეს. ყოველ მომდევნო შეხვედრაში გუნდს უფლება აქვს შეცვალოს ზეპირი მომხსენებლები. მონაწილეებს უფლება აქვთ მათთვის განკუთვნილი 30 წუთი გაანაწილონ ერთმანეთში, მათი შეხედულების მიხედვით.

4.2.4 მოსამართლეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს დაუსვან კითხვა გუნდის მონაწილეს, რომელიც წარადგენს მოსარჩელის/მოპასუხის პოზიციას. გუნდი ვალდებულია მისი პოზიცია წარადგინოს 4.2.2 პუნქტით გათვალისწინებულ დროში, მიუხედავად მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების რაოდენობისა. მოსამართლეს უფლება აქვს, მხარის შესაბამისი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე, დაუმატოს დრო, არაუმეტეს 2 წუთის ოდენობით.

4.2.5 გუნდები შეზღუდულები არ არიან მათ მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტში მითითებული არგუმენტებით. გუნდებს უფლება აქვთ ზეპირ ეტაპზე წარადგინონ არგუმენტები, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო მათ მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტში.

4.3 მოსამართლეები

4.3.1 ზეპირი ეტაპის თითოეულ თამაშს განსჯის მოსამართლე/მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგია, რომელთა შერჩევასაც მთლიანად ახორციელებს შეჯიბრის ორგანიზატორი. მოსამართლეს/მოსამართლეებს შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც შეჯიბრის ორგანიზატორები, აგრეთვე მოწვეული პირები.

4.3.2 მოსამართლე ვალდებულია გუნდის შეფასებისას იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. დაუშვებელია მოსამართლის მხრიდან ზეპირი პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ მიმანიშნებელი კითხვების დასმა ან/და რეპლიკით მიმართვა.

4.3.3 პირი არ შეიძლება იყოს მოსამართლე იმ გუნდის გამოსვლაზე, რომელსაც უწევს კონსულტაციას (არის ამ გუნდის მწვრთნელი). ამასთანავე, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ შეხვედრაში, რომელშიც გუნდის რომელიმე წევრთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამო (ნათესაური), ეჭქვეშ დადგება მოსამართლის მიუკერძოებლობა.

4.3.4 თითოეულ ჯგუფს უფლება აქვს დააყენოს მოსამართლის აცილების საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილებას ადგილზე მიიღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

4.4 კომუნიკაცია

4.4.1 ზეპირი გამოსვლის მიმდინარეობისას აკრძალულია ვერბალური სახის რაიმე ტიპის კომუნიკაცია გუნდის წევრებს შორის. გუნდის წევრებს, მათ შორის მათ, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობენ ზეპირ ეტაპზე, უფლება აქვთ წერილობით მიაწოდონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

4.4.2 იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წევრი ხელს უშლის პროცესის მიმდინარეობას, მოსამართლეთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია მას მოეთხოვოს დარბაზის დატოვება.

4.4.3 გუნდის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული ხელსაწყოები, მათ შორის კომპიუტერი, იმ ფარგლებში, რომ ის ხელს არ შეუშლის შეჯიბრის პროცესის მიმდინარეობას.

5. გუნდების შეფასება

5.1. შეფასების სისტემა

5.1.1 გუნდები ფასდებიან როგორც წერილობითი დოკუმენტის, ისე ზეპირი გამოსვლის საფუძველზე.

5.1.2 წერილობითი დოკუმენტის შეფასების შემდეგ, ქულები ნულდება და შემდეგ ეტაპზე გადასვლა ხორციელდება მხოლოდ ზეპირ ეტაპზე მიღებული ქულების საფუძველზე.

5.1.3 წერილობითი დოკუმენტის შეფასება განხორციელდება შეჯიბრის ორგანიზატორის მიერ, ხოლო ზეპირი გამოსვლის შეფასება მოსამართლის/მოსამართლეების მიერ. შეფასება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

5.2 წერილობითი დოკუმენტის შეფასების კრიტერიუმები

5.2.1 წერილობითი დოკუმენტი შეფასდება ჯამში 20 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წერილობითი დოკუმენტისა და არგუმენტაციის სტრუქტურა, ნაშრომის ტექნიკური გამართულობა (ამ წესების მე-3 თავით განსაზღვრული წესების დაცვა) - 3 ქულა;
- სამართლებრივი დასაბუთებულობა -10 ქულა;
- წყაროების რელევანტურობა - 5 ქულა;
- კვლევის მასშტაბი და გამოყენება- 2 ქულა.

5.2.2 წერილობითი განაცხადის შეფასებისას, პლაგიარიზმის აღმოჩენის შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვს გაანულოს გუნდის მიერ მიღებული შედეგი და მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია.

5.3 ზეპირი გამოსვლის შეფასება

5.3.1 ზეპირ გამოსვლას აფასებენ /მოსამართლე/მოსამართლეები მათთვის წინასწარ გადაცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. გუნდების შეფასება ხორციელდება ზეპირი გამოსვლის დასრულებისთანავე.

5.3.2 თითოეული მოსამართლე გუნდს აფასებს 10 ქულიანი სისტემით.

5.3.2.1 გუნდის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საკითხის სიღრმისეული კვლევა (რამდენად სწორად აქვს გუნდს გააზრებული და იდენტიფიცირებული მთავარი პრობლემა) - 10 ქულა;
- სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებები და სხვა წყაროები - 10 ქულა;
- რელევანტური ნორმები ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიდან - 10 ქულა.

5.3.3 მომხსენებლის ზეპირი გამოსვლის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პრეზენტაბელურობა (ვერბალური უნარები) - 10 ქულა;
- მხარის ახსნა-განმარტება - 10 ქულა
- კითხვებზე პასუხი - 10 ქულა;
- მოწმის მომზადება - 10 ქულა
- მტკიცებულებების გამოკვლევა - 10 ქულა
- საპაექრო სიტყვა - 10 ქულა
- რეპლიკები - 10 ქულა
- დროის მენეჯმენტი - 10 ქულა.

5.3.4 თითოეული მოსამართლე ამ წესების 5.3.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს გუნდის თითოეულ ზეპირ მომხსენებელს, შეჯიბრის „საუკეთესო მომხსენებლის“ გამოვლენის მიზნით.

5.3.5 იმ შემთხვევაში, თუ მომხსენებელი გუნდს წარმოადგენს რამდენჯერმე, სხვადასხვა სხდომაზე, მისი მიღებული ქულები შეიკრიბება და გაიყოფა თამაშების რაოდენობაზე (რაც იქნება გათვალისწინებული ცალკეული ნომინაციით დაჯილდოვების დროს).

5.4 შესარჩევი, ნახევარფინალური და ფინალური ეტაპი

5.4.1 შესარჩევ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება წერილობით ეტაპზე გამოვლენილი საუკეთესო წერილობითი დოკუმენტის მქონე 8 გუნდი.

5.4.2 შესარჩევი ეტაპიდან ნახევარფინალურ ეტაპზე გადავა ზეპირ გამოსვლებზე მინიჭებული ქულების შესაბამისად გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე 4 გუნდი.

5.4.3 ფინალურ ეტაპზე გადავა ნახევარფინალური ეტაპის გამარჯვებული 2 გუნდი.

5.4.4 ზეპირი მოსმენების ყველა ეტაპზე მხარეთა პოზიციების განაწილება მოხდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ორგანიზატორის მიერ.

5.4.5 იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს შეხვდებიან ის გუნდები, რომლებიც წინა ეტაპზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თითოეული ჯგუფი წარადგენს მათი შეხვედრისგან განსხვავებულ პოზიციას (პოზიციები იცვლება).

6. დაჯილდოება

6.1. შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდება შემდეგი გამარჯვებულები:

- შეჯიბრის გამარჯვებული გუნდი;
- საუკეთესო წერილობითი დოკუმენტის ავტორი გუნდი;
- საუკეთესო მომხსენებელი.
- საუკეთესო მოწმე
- საუკეთესო საპაექრო სიტყვა
- -MVP საუკეთესო მოთამაშე

6.2 გამარჯვებულებს გადაეცემათ ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული საჩუქრები და მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

იმიტირებული სასამართლო პროცესის მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართალში

იმიტირებული სასამართლო პროცესები არის მნიშვნელოვანი სასწავლო ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას და სასამართლო სისტემის უკეთ გაგებას.

კაზუსის განხილვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თეორიული მასალის უკეთ აღქმისა და გაანალიზებისათვის, მით უფრო როცა საკითხი ეხება კაზუსის იმიტირებული სასამართლო პროცესის გზით განხილვას, რაც საგანმანათლებლო კუთხით უფრო ეფექტურს ხდის ერთი მხრივ მიღებული თეორიული მასალის გაანალიზებას და მეორეს მხრივ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

იმიტირებული სასამართლო პროცესები განიხილება, როგორც იურიდიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა. არ არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლის მხოლოდ თეორიული შესწავლა არ არის საკმარისი. სტუდენტს უნდა შეეძლოს თეორიული ცოდნის რეალობაში გამოყენება, ასევე უნარებისა და მეთოდების გამოყენებით სასამართლოს წინაშე საკუთარი აზრის წარმოდგენა. [1]

იმიტირებული სასამართლო პროცესი, არის განსაკუთრებული საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც სამართლის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას კრიტიკულად იფიქრონ მნიშვნელოვან საკითხებზე და ისაუბრონ თავდაჯერებულად მოსამართლის წინაშე[2].

ნებისმიერი იმიტირებული სასამართლოს საწყისი პროცესი არის ის, რომ სტუდენტები იღებენ „ჰიპოთეტურ საქმეს“, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც „პრობლემა“, მაგრამ ასევე შეიძლება მოიხსენიებოდეს როგორც „კომპრომისი“, თუ საქმე განიხილება სასამართლოში.

იმიტირებული სასამართლო პროცესი მნიშვნელოვანი სასწავლო ინსტრუმენტია სხვადასხვა მიზეზთა გამო, კერძოდ:

- თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენება;
- კომუნიკაციისა და წარმომადგენლობის უნარების განვითარება;
- სამართლებრივი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- სასამართლო სისტემის უკეთ გაგება;
- სტუდენტების მოტივაცია.

იმიტირებული სასამართლო პროცესების დადებითი მხარეებია ასევე:

- მონაწილეებს შორის თანამშრომლობის განვითარება;
- სტრესის მართვის უნარების განვითარება;
- საკუთარი შეცდომებისაგან სწავლის შესაძლებლობა.

[1] Journal of Higher Education Theory and Practice Vol. 23(19) 2023 , Hamzeh Abu Issa , Thair Kaddumi, Naji Alwerikat, The Impact of Moot Courts on the Quality of Legal Education: Students of the Faculty of Law at the Applied Science Private University as a Model

[2] Dr Yvonne Marie Daly, Dr Noelle Higgins, The Place And Efficacy Of Simulations In Legal Education: A Preliminary Examination, 2011.

იმიტირებული სასამართლო პროცესის მომზადების სტადიაზე, სტუდენტებისათვის ხდება კაზუსის გადაცემა. სტუდენტები თავად უზრუნველყოფენ კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე როლების გადანაწილებას და სტრატეგიის არჩევას, ამასთან მათი პოზიციების დასადასტურებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებების მოპოვებასა და შექმნას, რაც ცხადია არ უნდა სცილდებოდეს კაზუსით გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

იმისათვის, რომ სტუდენტების მიერ სწორად მოხდეს კაზუსში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მხარეთა სტრატეგიის დაგეგმვა, მტკიცებულებების შეკრება, მთავარია სრუდენტებმა სწორად გაიგონ კაზუსის შინაარსი, რა არის მისი მიზანი და რა მოცულობით შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული მოთხოვნები, როგორც სარჩელით, ისე შეგებებული სარჩელით.

იმიტირებული სასამართლო პროცესი შედგება ორი ეტაპისაგან, კერძოდ, პირველი - მოსამზადებელი ეტაპი, რა დროსაც ხდება წერილობითი დოკუმენტების შედგენა და მხარეებს შორის გაცვლა, ხოლო მეორე - სასამართლოს მთავარი სხდომა, სადაც მიმდინარეობს კაზუსის ზეპირი განხილვა. მთავარ სხდომაზე მხარეები მათ მიერ არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე ზეპირად წარმოადგენენ ახსნა-განმარტებებს, მათივე შუამდგომლობის საფუძველზე მოხდება მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების დაკითხვა და ინფორმაციების მიღება, წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა და ა.შ. რასაც დაასრულებენ საპაექრო სიტყვებით და რეპლიკებით.

იმიტირებული სასამართლო პროცესების უნიკალური მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს მას სხვა ზეპირი ადვოკატირებისგან, როგორიცაა დებატები, საჯარო გამოსვლები ან ზეპირი პრეზენტაციები არის ის, რომ იმიტირებული პროცესის მოსამართლეები ხშირად სვამენ კითხვებს სტუდენტების მიმართულებით, ითხოვენ ინფორმაციათა დამატებასა და დაზუსტებას,[3] ყოველივე ეს კი მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას გააუმჯობესონ აზროვნების უნარი და დახვეწონ თავიანთი სამართლებრივი მსჯელობა.

[3] Louise Parsons, Competitive Mooting as Clinical Legal Education: Can Real Benefits be Derived from an Unreal Experience? 2017, გ ვ . 3-4

რა უნდა ვიცოდეთ იმიტირებული სასამართლო

პროცესის მიმდინარეობის შესახებ

საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს, მხარეები გამოცხადდებიან სასამართლოს სხდომის დარბაზში და განთავსდებიან მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. ვინაიდან სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხდება სტუდენტების მიერ ზეპირად პოზიციების ჩამოყალიბება, მათ გააზრებული უნდა ქონდეთ კაზუსში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეს იხილავს ერთი მოსამართლე, თუმცა შესაძლებელია უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე განიხილოს კოლეგიურმა შემადგენლობამ თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას.

- საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათის;
- საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.[4]

სასამართლოს სხდომის დარბაზში მოსამართლის შემოსვლის შემდეგ, მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება.

აღნიშნულის შემდეგ მოსამართლე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს, რათა სასამართლოს სხდომის მდივანმა მოახსენოს სასამართლოს, თუ რომელი მხარე არის გამოცხადებული, ასევე აცნობოს რომელი მხარე არ არის გამოცხადებული და გამოუცხადებელი მხარე იყო თუ არა სასამართლო პროცესის შესახებ გაფრთხილებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის მდივანი ასევე მოახსენებს სასამართლოს მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს აცნობა თუ არა გამოუცხადებელმა მხარემ გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე[5].

იმიტირებული სასამართლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ გარემოში, რათა მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბონ სასამართლო პროცესზე. ცხადია აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო გააფრთხილებს პროცესის მონაწილეებს, მათ შორის სასამართლოს დარბაზში მყოფ პირებს და ისინიც ვალდებულნი არიან უსიტყვოდ დაემორჩილონ მოსამართლის განკარგულებას.[6]

სასამართლო პროცესის წარმართვა მოსამართლის პრეროგატივაა და სწორედ მასზეა დამოკიდებული სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა, რისთვისაც, შესაძლოა გამოიყენოს კიდეც გარკვეული ღონისძიებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი წესრიგის დარღვევისათვის ითვალისწინებს არაერთი ღონისძიების გამოყენებას, კერძოდ გაფრთხილება, ჯარიმა, სასა-

[4] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი
[5] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლი.
[6] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლი

მართლოს სხდომის დარბაზიდან გაძევება, სასამართლოს მითითებით მანდატურის მიერ დაკავებას, თუმცა იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას აღნიშნული ღონისძიებების სრულად გამოყენება ვერ მოხდება. ცხადია იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეს შეუძლია გააფრთხილოს პროცესში მონაწილე გუნდები წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ მხარის ან მისი წარმომადგენლის გაძევება, ეს არის უკიდურესი ფორმა პროცესში მონაწილე გუნდისათვის, თუმცა მისი გამოყენებაც არის შესაძლებელი, იმ შემთხვევაში, თუ მისი ქცევა მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ, იმიტირებული სასამართლო პროცესის წესებში წინასწარვე არის გათვალისწინებული და გუნდები ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ.

იმიტირებულ სასამართლო პროცესში, კაზუსის შინაარსი შესაძლოა იძლეოდეს პროცესზე ისეთი პირის დაკითხვის შესაძლებლობას, რომელმაც არ იცის ქართული ენა. ცხადია ასეთ შემთხვევაში პროცესი წარმართვა ვერ მოხდება მისთვის გასაგებ ენაზე[7] და მას უნდა დაენიშნოს თარჯიმანი, რომელსაც განემარტება მისი მოვალეობანი, რომ თარგმნოს იმ ენაზე რომელი ენაც იქნება გასაგები დასაკითხი პირისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ იმიტირებული პროცესის მიმდინარეობისას თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის ვერ განხორციელდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესი მაქსიმალურად არის დაახლოებული რეალურ პროცესთან, თარჯიმანი უნდა გავაფრთხილოთ შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოისმენს სხდომის მდივნის მიერ იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილე გუნდების შესახებ და გააფრთხილებს პროცესში მონაწილე გუნდებს, სხდომის დარბაზში მსხდომ დამსწრე პირებს წესრიგის თაობაზე, მოსამართლე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, ასევე აცხადებს ვინ მონაწილეობს საქმეში ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სხდომის მდივნად და განუმარტავს მათ, რომ შეუძლიათ დააყენონ შუამდგომლობა აცილების შესახებ, თუ ასეთი შუამდგომლობის დაყენება იმიტირებული პროცესის მომზადების მიმდინარეობისას არ იყო გუნდებისათვის ცნობილი.

აცილების შუამდგომლობის დაყენებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლში მითითებული გარემოებებით, სხვა შემთხვევაში მოსამართლის აცილების საკითხი ასევე შეიძლება იყოს გათვალისწინებული იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარების წესებით.

გუნდის/გუნდების შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე, იგი განსახილველად უნდა გადაეცეს სხვა მოსამართლეს.

იმიტირებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით და სასამართლო პროცესში მონაწილე გუნდებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ: ,,სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე გან-

[7] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი

საზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები; მხარეები სარგებლობთ თანაბარი საპროცესო უფლებებით. უფლება გაქვთ გაეცნოთ საქმის მასალებს, სასამართლოს წინაშე განაცხადოთ შუამდგომლობები, განაცხადოთ აცილებანი, მისცეთ სასამართლოს ახსნა-განმარტებები, წარადგინოთ მტკიცებულებები საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით, დაასრულოთ საქმე მორიგებით, უარი თქვათ წარმოდგენილ საჩივარზე, აგრეთვე ისარგებლოთ საპროცესო კოდექსით მონიჭებული სხვა უფლებებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმიტირებული სასამართლო პროცესი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული რეალურ პროცესთან. აქედან გამომდინარე მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ის საპროცესო ნორმები, რომლებიც გუნდებს აძლევთ მათთვის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის საშუალებას. ცხადია სასამართლო პროცესზე გუნდებს შეუძლიათ დააყენონ შუამდგომლობები საქმის მასალებში უკვე წარდგენილი მოწმეთა დაკითხვის შესახებ, თუმცა შუამდგომლობის დაყენება არ უნდა ეხებოდეს ახალი მტკიცებულებების წარდგენას. მართალია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი პროცესში მონაწილე მხარეებს აძლევთ საშუალებას წერილობით დააყენონ შუამდგომლობა ახალი მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ, მაგრამ აღნიშნული ნორმის გავრცელება იმიტირებული სასამართლო პროცესისათვის არ იქნება სწორი, ვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესი სრულდება ერთ დღეში, რასაც შედეგად მოყვება გამარჯვებული გუნდის გამოვლენა და გუნდებისათვის ასეთი შუამდგომლობის დაყენების უფლების მინიჭება გამოიწვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პრინციპის, კერძოდ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას[8].

საქმის განხილვის დაწყება

საქმის განხილვის დაწყების დროს, რეალური პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დასრულება, თუმცა იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას აღნიშნული დანაწესი ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან მორიგების შესახებ გუნდის მიერ წინადადებების შეთავაზების შემთხვევაში ვერ მიიღწევა პროცესის მიზანი, თუ იმიტირებული სასამართლო პროცესის შედეგად გამარჯვებული გუნდი უნდა გამოვლინდეს. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განუმარტოს გუნდებს, რომ ვინაიდან მხარეებს შორის არ მოხდა საქმის მორიგებით დასრულება, სასამართლო იწყებს საქმის არსებითად განხილვას.

იმიტირებულ სასამართლო პროცესზე საქმის არსებითად განხილვის დაწყებისას, მოსამართლე მოკლედ გადმოცემს კაზუსის შინაარსს, არ უნდა შევიდეს დეტალურად მხარეთა მიერ შედგენილი სარჩელისა და შესაგებელის შინაარსის გადმოცემაში, ვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანია აღნიშნული შინაარსი სწორედ გუნდების მიერ იქნას ჩამოყალიბებული მათ მიერ დაგეგმილი სტრატეგიების მიხედვით.

გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმიტირებულ სასამართლო პროცესში დაუშვებელია საქმის განხილვის დროს ახალი ფაქტების მითითება, რაც არ

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი

იყო გათვალისწინებული კაზუსით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შეფასდება გუნდის მიერ კაზუსის არასრულყოფილად გააზრებულად და ცოდნად, რაც ცხადია იმოქმედებს გუნდების შეფასებაზე.

ახსნა-განმარტებების მოსმენის ეტაპი

მოსამართლის მოხსენების შემდეგ სასამართლო ახსნა-განმარტებების მოსმენას შემდეგი თანმიმდევრობით განახორციელებს:

- მოსარჩელე მხარის გუნდის ახსნა-განმარტება;
- მოსარჩელე გუნდის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებას;
- მოპასუხე მხარის გუნდის ახსნა-განმარტებას;
- მოპასუხე გუნდის მხარეს მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებას.

ახსნა-განმარტებისათვის თითოეულ მონაწილე გუნდს განესაზღვრება გონივრული დრო. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე გუნდს შესაძლებელია განესაზღვროს დამატებითი დრო, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს იმიტირებულ სასამართლო პროცესზე საქმის განხილვის გაჭიანურება.

როგორც აღინიშნა, იმიტირებული სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია გუნდების მიერ როლების განაწილება. ახსნა-განმარტებების ჩამოყალიბებაც სწორედ განაწილებული როლების მიხედვით უნდა მოხდეს. გუნდებმა უნდა ეცადონ მტკიცებულებებით დაადასტურონ მათ მიერ სარჩელში თუ შესაგებელში მითითებული გარემოებები და ამ კუთხით სასამართლო პროცესზე გუნდმა უნდა წარადგინოს მხარის ახსნა-განმარტება და არა წარმომადგენლის ახსნა-განმარტება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტება და არა წარმომადგენლის ახსნა-განმარტება.

შეკითხვების დასმის ეტაპი

გუნდების მიერ ახსნა-განმარტებების ჩამოყალიბების შემდეგ იწყება შეკითხვების დასმა გუნდებისათვის.

მოსამართლეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეკითხვები დაუსვას გუნდის წევრებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის თანახმად, გუნდის წევრებს უფლება აქვთ სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე გუნდს და მის წარმომადგენელს. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას და დადგენას, სასამართლოს გუნდის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა.

იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანი ვინაიდან არის გამარჯვებული გუნდის გამოვლენა, კითხვები გუნდების მიერ სასურველია წინასწარ იყოს დამუშავებული, რაც არ გამორიცხავს უშუალოდ სასამართლო პროცესზე ახალი კითხვების დასმის შესაძლებლობასაც.

წარმოდგენილ მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება

სასამართლოს მიერ ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. თუ გუნდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქმისათვის არა აქვს მნიშვნელობა, სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად ამოიღებს საქმიდან.

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, სასამართლო ეკითხება გუნდებს, ხომ არ სურთ საქმეში არსებული რომელიმე მტკიცებულების განხილვა შემოწმება, რაც გულისხმობს გუნდების მიერ მოსაზრების წარმოდგენას კონკრეტულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

თუ გუნდებმა არ მოითხოვეს, ან მოსამართლემ თავისი ინიციატივით არ განახორციელა რომელიმე მტკიცებულების გამოკვლევა, მტკიცებულებები გამოკვლეულად ითვლება.

მტკიცებულებების გამოკვლევის დასრულების შემდეგ სასამართლო გადადის გუნდების პაექრობის მოსმენაზე.

გუნდების პაექრობის ეტაპი

პაექრობა ეს არის გუნდების მიერ სასამართლოსათვის მათ მიერ წარდგენილი ფაქტების, პროცესის მიმდინარეობისას მიღებული ინფორმაციების, გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე შემაჯამებელი ინფორმაციის მიწოდება სასამართლოსათვის, რა დროსაც, თითოეული გუნდი თავის სასარგებლოდ მსჯელობს ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელი ფაქტობრივი გარემოება უნდა იქნას მიჩნეული დადგენილად და რომელი არა, რომელი მტკიცებულება არ უნდა იქნას გაზიარებული სასამართლოს მიერ და ა.შ.

ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გუნდების მიერ პოზიციების ჩამოყალიბების შემდეგ საპაექრო სიტყვაში გადმოცემული უნდა იყოს მათი მოსაზრება სამართლებრივი შეფასებასთან დაკავშირებით, თუ რომელი სამართლებრივი ნორმა უნდა იქნას სასამართლოს მიერ გამოყენებული, ანუ რომელი სამართლებრივი ნორმა იძლევა დადგენილად მითითებული ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე მათი სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოის მიერ, რაც ბუნებრივია არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილე გუნდების შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ საპაექრო სიტყვის სამართლებრივად დასაბუთებაა.

მას შემდეგ რაც იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გუნდები წარმოთქვამს საპაექროს სიტყვას, მოსამართლე პაექრობის ეტაპს დასრულებულად გამოაცხადებს და რეპლიკებისათვის მხარეებს აძლევს უფლებას ხელმეორედ გამოვიდნენ მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ეკუთვნის მოპასუხე გუნდს (მხარეს და მის წარმომადგენელს).

მხარეთა პაექრობის დასრულების შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაძლებელია სასამართლო არ გავიდეს სათათბირო ოთახში და ადგილზე თათბირით მიღებული გადაწყვეტილება გამოუცხადოს გუნდებს.

გადაწყვეტილების გამოცხადებისას, სასამართლო აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. მართალია დასაბუთებული გადაწყვეტილებისათვის მოსამართლეს აქვს კანონით დადგენილი ვადა, თუმცა ვინაიდან საქმე იხილება იმიტირებულ სასამართლო პროცესზე და გუნდებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, არამედ მისი დასაბუთება, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ განმარტოს რა დაედო საფუძვლად ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელი ფაქტები მიიჩნია დადასტურებულად და რომელი არა, რომელი სამართლებრივი ნორმა მიუსადაგა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ქეისები

თამარი - დავითის წინააღმდეგ

სარჩევი

- კაზუსი
- მოსარჩელე მხარის თამარის (ბაბის დედა) ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა
- დაბადების მოწმობა
- ც ნ ო ბ ა
- დავითის ახსნა-განმარტება, შესაგებელი თამარის სარჩელზე და შეგებებული სარჩელით სასარჩელო მოთხოვნები
- დაბადების მოწმობა
- დასკვნა
- დასკვნა
- ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები
- შუამდგომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ
- განჩინება დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ
- დადგენილება თამარისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ
- საჩივარი ადმინისტრაციული სახდელის დაადგენილების გასაჩივრების შესახებ
- განჩინება დროებითი განკარგულების მიღების შესახებ
- შუამდგომლობა დროებითი გაკარგულების გამოცემის შესახებ
- შემოქმედებითი გაერთიანება „ მუსიკალური ნოტები"ს მიერ გაცემული ცნობა
- ბილეთი
- მოსარჩელე მხარის თამარის (ბაბის დედა) დაზუსტებული ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა
- განჩიბება დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
- ბაბის დედის მოწვევით კერძოდ ფსიქოლოგის შეფასების დასკვნა
- ბაბის დედის მოწვევით კერძოდ ფსიქოლოგის შეფასების დასკვნა

კაზუსი

2010 წლის 7 იანვარს დავითი და თამარი კანონით დადგენილი წესით დაქორწინდნენ. რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, 2013 წლის 12 ნოემბერს შეეძინათ ერთი ქალიშვილი - ბაბი. შვილის დაბადებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, მეუღლეთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რაც საბოლოო ჯამში მათი განქორწინებით დასრულდა 2015 წელს.

2016 წელს თამარმა საეკლესიო წესით იქორწინა მერაბზე. ამ ეტაპზე ბაბი თამართან და მერაბთან ერთად ცხოვრობს. გოგონა საკმაოდ ნიჭიერი მომღერალია.

თამარმა გადაწყვიტა შვილისთვის სიურპრიზი მოეწყო და მათთან ერთად არდადეგებზე სამოგზაუროდ წაეყვანა საზღვარგარეთ ორი კვირით. აღნიშნულის შესახებ შეიტყო დავითმა და კატეგორიული უარი განაცხადა. როგორც დავითმა განმარტა, იმ შემთხვევაში თუ თამარი ბაბის საზღვარგარეთ წაიყვანს ის უკან აღარ დაბრუნდება, შესაბამისად სამუდამოდ მოწყდება შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

2020 წელს თამარმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ბავშვის ბაბის საცხოვრებელ ადგილად დედის - თამარის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. დავითისათვის თამარის სასარგებლოდ შვილისთვის ალიმენტის სახით თვეში 500 ლარის გადახდა. ასევე მოითხოვა შეეზღუდოს მოპასუხე დავითს შვილის ბაბის მშობლის უფლება პირადობის მოწმობის და საქართველოს პასპორტის, ასევე საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშიდებით თანხმობის გაცემაზე. ასევე მოითხოვა გადახდეს მოპასუხე დავითს პროცესის ხარჯები, როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯები.

თამარი სარჩელში მიუთითებს, რომ მას შემდეგ რაც ის და დავითი გაშორდნენ, ბაბის ურთიერთობა აღარ ჰქონია მამასთან. მოპასუხე ფაქტობრივად არც იცნობს ქალიშვილს. ბაბი თვლის, რომ მისი რეალური მამა მერაბია და შესაბამისად მამასაც მას ეძახის. დავითი აგრესიას ამჟღავნებს იმ ფაქტის მიმართ, რომ თამარმა მეორედ იქორწინა. მიუხედავად იმისა, რომ დავითს საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვს (2000ლ თვეში), იგი თავს არიდებს შვილზე საალიმენტო ზრუნვის ვალდებულების შესრულებას.

მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში წარადგინდა შესაგებელი, ასევე წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილის ბაბის ნახვის დღეების განსაზღვრა, კერძოდ ყოველი კვირის პარასკევის 18 საათიდან წაიყვანოს და დააბრუნოს კვირის 18 საათამდე ღამისთევის უფლებით, ასევე ყოველწლიურად იანვრის თვეში არდადეგებზე 10 დღით, ივლისის ან აგვისტოს თვეში 10 დღით. მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს შვილთან ხშირი კომუნიკაცია, ჩაერთოს მისი აღზრდის პროცესში. მისი განმარტებით, თამარი ხელს უშლის მსგავსი ტიპის კომუნიკაციას, თუნდაც სატელეფონოს, მან არ მისცა შვილის ნახვის უფლება 2019 წელს დაბადების დღეზე. თამარი ცდილობს მამისადმი მტრული დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს შვილს. დავითი მიუთითებს, რომ კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმციას დედის სასარგებლოდ, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამიტომ მასაც სურს საკუთარი წვლილი შეიტანოს შვილის აღზრდაში. დავითი საალიმენტო ვალდებულების დაკისრებას მხოლოდ 100 ლარის ფარგლებში დაეთანხმა, ვინაიდან ჰყავს სხვა არასრულწოვანი შვილებიც მეორე ქორწინებიდან.

საქმის განხილვის მიმდინარეობისას, სასამართლოს დროებითი განკარგულებით დავითს მიეცა უფლება ურთიერთობა იქონიოს ბაბისთან, თუმცა გადაწყვეტილებს აღსრულება ვერ განხორციელდა.

2022 წლის აგვისტოში ბაბიმ „მხიარული ნოტების“ კონკურსში გაიმარჯვა ჯილდოდ მიიღო საგზური ჩეხეთში გამგზავრებულიყო საქართველოს სახელით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა დავითი არ დაეთანხმა აღნიშნულს და არც კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების უფლება მისცა.

მოსარჩელე მხარის თამარის (ბაბის დედა)

ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა

ქორწინებაში ვიმყოფებოდი მოპასუხე მხარესთან და თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის ნოემბერში შეგვეძინა ერთი შვილი ბაბი. ჩვენს შორის შეუთანხმებლობის გამო დავცილდით ერთმანეთს. ამჟამად ვარ გათხოვილი და მაქვს ცალკე ოჯახი. მეორე მეუღლესთან მაქვს ჯვარი დაწერილი.

ჩემი შვილი ბაბი ცხოვრობს ჩემთან და არანაირი შემხებლობა მოპასუხესთან არა აქვს, უფრო მეტიც, ბაბიმ საერთოდ არ იცის მოპასუხის არსებობის შესახებ, მამა გონია ჩემი მეორე მეუღლე და მამასაც მას უძახის.

ბაბი სწავლობს კერძო სკოლაში, დადის მუსიკაში, მღერის, ცეკვავს, რაც ცხადია გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მოპასუხე მხარე საერთოდ არ იღებს მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, არ ეხმარება ფინანსურად, მაშინ როცა მას აქვს საკმარისი შემოსავალი, თვეში 2000 ლარზე მეტი და შეუძლია თავის შვილს გაუწიოს ფინანსური დახმარება.

მეორედ დაოჯახების გამო მოპასუხე ჩემს მიმართ არის აგრესიული. როცა ზაფხულობით მივდივარ საზღვარგარეთ ორი კვირით, არ მაძლევს ბაბის საზღვარგარეთ წაყვანის უფლებას. მამის თანხმობის გარეშე ვერ ვიღებთ ბაბისათვის პასპორტს და ისიც გულდაწყვეტილი რჩება. საზღვარგარეთ წასვლის დროს ფაქტობრივად ბავშვის დამტოვებელიც არ მყავს და იძულებული ვხვდები ძიძა ავიყვანო. აღსანიშნავია, რომ ბავშვი ასევე მინდა გასტროლებზე გავიყვანო მუსიკით და ცეკვით საზღვარგარეთ, თუმცა არც ამის შესაძლებლობას არ მაძლევს მოპასუხე.

ვითხოვთ

- ბავშვის ბაბის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის თამარის საცხოვრებელი ადგილი.
- დაეკისროს მოპასუხე დავითს თამარის სასარგებლოდ შვილის ბაბის ალიმენტის სახით თვეში 500 ლარის გადახდა
- შეეზღუდოს მოპასუხე დავითს შვილის ბაბის მშობლის უფლება პირადობის მოწმობის და საქართველოს პასპორტის აღებასთან, ასევე საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემაზე
- გადახდეს მოპასუხე დავითს პროცესის ხარჯები, როგორც სასამართლოს ხარჯები ისე სასამართლოს გარეშე ხარჯები

საქართველო

დაბადების მოწმობა

სახელი - ბაბი

გვარი - XXX

დაბადების თარიღი - XX/XX/XXXX

დაბადების ადგილი - საქართველო

სქესი - მამრობითი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქოება - საქართველო

დაბადების რეგისტრაციის თარიღი - XXX

მშობლები:

მამა - დავითი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქეობა - საქართველო

დედა - თამარი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქეობა - საქართველო

მოწმობის გაცემის თარიღი - XXX

მოწმობის გამცემი ორგანო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ცნობა

ეძლევა. ბაბის მასზედ, რომ იგი ნამდვილად არის შპს „ნიჭიერების“ საავტორო სკოლის მე–2 კლასის მოსწავლე, მისი წლიური სწავლის საფასურის ოდენობა შეადგენს 2300 ლარს, ხოლო ტრანსპორტირებისა და კვების საერთო ღირებულება თვეში 200 ლარს.

დავითის ახსნა-განმარტება, შესაგებელი თამარის სარჩელზე და შეგებებული სარჩელით სასარჩელო მოთხოვნები

მოგახსენებთ, რომ მე და თამარს შეგვეძინა შვილი ბაბი. მოცემულ ეტაპზე, ჩვენ ვცხოვრობთ ცალ-ცალკე, ამასთან, მოგეხსენებათ, თამარის მიერ აღძრულია სარჩელი მშობლის უფლების შეზღუდვის და ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

მოცემულ ეტაპზე, მოკლებული ვარ შესაძლებლობას ხშირად ვინახულო შვილი, მივიღო სრულყოფილი და ნორმალური მონაწილეობა შვილის ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდაში, ვიზრუნო მის სულიერ და სოციალურ განვითარებაზე, შევუქმნა შვილს დაცულობის განცდა, რასაც მამის ფაქტორი განაპირობებს. ჩემი და თამარის ურთიერთობა მოცემულ ეტაპზე არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მასთან ერთად დავარეგულირო ჩემს მიერ ბავშვთან ურთიერთობის ვითარება, დრო და წესი. მე ყოველთვის ვცდილობ ვნახო ან ტელეფონით დავუკავშირდე ბავშვს, რასაც თამარი ყოველთვის ხელს უშლის და ეწინააღმდეგება. იქედან გამომდინარე, რომ მინდა ბავშვს ქონდეს მშვიდი საცხოვრებელი გარემო და ჩემსა და თამარს შორის არსებულმა კონფლიქტმა არ შეუშალოს ხელი მის აღზრდას, არ იქონიოს ბავშვზე უარყოფითი ზეგავლენა, არ ვიძახებ პატრულს და ვცდილობ არ შევიდე მასთან ხმამაღალ გარჩევებში, მაგრამ მე ვარ ბაბის მამა, ჩემი შვილი სულ მენატრება, თამარი კი ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას. ბაბიმ იცის, რომ მე მისი მამა ვარ, თუმცა თამარი აქტიურად ცდილობს, რომ ბავშვი ჩემს წინააღდეგ განაწყოს და ეუბნება რომ არ ვარ მამამისი. უკანასკნელ შემთხვევაში, 2019 წლის 12 ნოემბერს, ბავშვის დაბადების დღეზე მინდოდა შვილის ნახვა, რასაც მოყვა თამარის კატეგორიული წინააღმდეგობა. არ მინდოდა, რომ სიტუაცია გადასულიყო ჩხუბში, რადგანაც ბავშვს ქონდა დაბადების დღე და მშობლების ჩხუბი მისთვის დიდი სტრესი იქნებოდა, ამიტომაც ყველანაირად შევიკავე თავი, არათუ ბავშვის ნახვის, მასთან სატელეფონო გასაუბრების უფლებაც კი არ მომეცა. დარწმუნებული ვარ არც კი უთხრა ჩემს შვილს, რომ მე მისი ნახვა მსურდა, პირიქით იგი ყოველთვის ჩემს საწინააღმდეგოდ განაწყობს ბავშვს, მე კი მხოლოდ იმიტომ მეზღუდება უფლება, რომ ვცდილობ ბავშვი ნაკლები სკანდალების მომსწრე გახდეს. ამის გამო უკვე თითქმის ვეღარ ვნახულობ ბავშვს. მნიშვნელოვანია, რომ ჩემი სურვილის რეალიზება მშვიდ გარემოში, ჩემს შვილთან ურთიერთობა არ უნდა იყოს დაკავშირებული პოლიციის თუ სხვა ძალისისხმევის გამოყენებასთან, რადგან ამგვარი მოქმედებები კიდევ უფრო დაძაბავს და გაამძაფრებს სიტუაციას, რითაც, საბოლოოდ ბავშვის ინტერესები დაზიანდება.

ვიცი რომ ჩემი შვილი არის წარმატებული, მღერის ძალიან კარგად და ხშირად იმარჯვებს კონკურსებში. მეც მინდა რაიმე წვლილი შევიტანო ჩემი შვილის მომავალში.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმციას დედის სასარგებლოდ. შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. უდავოა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესია ურთიერთობა ჰქონდეს როგორც დედასთან, ისე მამასთან. ბიოლოგიურ მშობლებს შეუძლიათ ცალ-ცალკე ცხოვრების პირობებშიც, ერთობლივად, ღირსეულ პირობებში აღზარდონ შვილი.

მე ვეთანხმები სარჩელს ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით, თუმცა ნაწილობრივ და გადავიხდი ალიმენტის სახით 100 ლარს, რადგან ამ ეტაპზე მყავს ასევე მეორე მეუღლესთან ორი მცირეწლოვანი შვილი, არ ვარ დასაქმებული და ვიმყოფები მეორე მეუღლის კმაყოფაზე.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რათა შეძლოს თამარმა საზღვარგარეთ ჩემი შვილის ბაბის წაყვანა, ვარ წინააღმდეგი, ვინაიდან საზღვარგარეთ ბავშვის წაყვანის შემდეგ თაამარი არ ჩამოვა საქართველოში და საცხოვრებლად დარჩება საზღვარგარეთ, სადაც ნათესავები ყავს. ბაბის საზღვარგარეთ წაყვანა სურს იმისათვის, რომ მე არ მომეცეს ბავშვის ნახვის საშუალება.

მე როგორც მამა ვითხოვ

- არასრულწლოვან შვილის ბაბის ნახვის დღეების განსაზღვრას, კერძოდ ყოველი კვირის პარასკევის 18 საათიდან წავიყვანო და დავაბრუნო კვირის 18 საათაამდე ღამისთევის უფლებით
- წავიყვანო ბაბი ყოველწლიურად იანვრის თვეში არდადეგებზე 10 დღით ივლისის ან აგვისტოს თვეში.

საქართველო

დაბადების მოწმობა

სახელი - გიორგი

გვარი - XXX

დაბადების თარიღი - XX/XX/XXXX

დაბადების ადგილი - საქართველო

სქესი - მამრობითი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქოება - საქართველო

დაბადების რეგისტრაციის თარიღი - XXX

მშობლები:

მამა - დავითი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქეობა - საქართველო

დედა - ნესტანი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქეობა - საქართველო

მოწმობის გაცემის თარიღი - XXX

მოწმობის გამცემი ორგანო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დასკვნა

11 / მარტი **/ 2020** წ.

2020 წლის 18 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს წერილით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. მომართვის საფუძველს წარმოადგენს ამავე სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის განჩინება, რომლის თანახმად იმერეთის რეგიონულ ცენტრს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის ბაბოს სოციალური გარემოსა და უსაფრთხო აღზრდა– განვითარებისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობების შესწავლა.

2019 წლის 17 დეკემბერს ბაბოსთან დაკავშირებით ჩემს მიერ მომზადდა დასკვნა, რომელიც ეფუძნებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებას, რომლის საფუძველიც არის მშობლებს შორის არსებული ოჯახური დავა, ალიმენტის დაკისრებასა და მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მზრუნველობისა და მეურვეობის ტერიტორიულ ორგანოს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის, ბაბოს მშობლების სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა დავის საგანთან მიმართებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასული ორი თვის მანძილზე ბაბოს ოჯახში სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების კუთხით არანაირი ახალი გარემოება არ გამოკვეთილა.

მოსარჩელე/მოპასუხე მხარის პოზიციები სარჩელის მიმართ:

განხორციელებული ვიზიტისა და ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგენილია შემდეგი გარემოება. კერძოდ, მეუღლეებს არარეგისტირებული ქორწინებიდან ჰყავთ შვილი, 6 წლის ბაბო, თუმცა ბავშვის დაბადებიდან დაახლოებით ორ თვეში წყვილი ერთად აღარ ცხოვრობდა. ამჟამად ბაბოს დედას ჰყავს მეორე მეუღლე, 1 წლის და 9 თვის ბავშვი.

ბაბო დაბადებიდან გაიზარდა დედის ოჯახში. დედის გადმოცემით, მამას არასოდეს უზრუნია შვილზე და დედაც არ ესაუბრება ბაბოს ბიოლოგიურ მამაზე. ამ ეტაპზე ბაბოს დედის მოთხოვნაა მამას შეეზღუდოს მშობლის უფლება, რათ მას მიეცეს შესაძლებლობა უცხოეთში მოგზაურობის დროს ბარბარე წაიყვანოს საზღვარგარეთ, რადგან როდესაც ბავშვს გამგზავრების დროს ტოვებს ნათესავის ოჯახში. მცირეწლოვანი ძალიან განიცდის დედასთან დაშორებას. თუმცა შესაგებელში მოპასუხე მხარე აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება.

მოსარჩელე-მოპასუხე პირების საცხოვრებელი პირობები და სოციალური გარემო:

რაც შეეხება მოსარჩელე პირის საცხოვრებელ პირობებსა და სოციალურ გარემოს, საცხოვრებელი წარმოადგენს ოთხოთახიან კეთილმოწყობილ ბინას, რომელიც მოწესრიგებულია, აღჭურვილია სათანადო ავეჯითა და ინვენტარით. ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს ბაბოს დედა, რომელიც დასაქმებულია ფარმაცევტულ კომპანიაში. ბაბოს დედამ აღნიშნა, მისი დედა (ბაბოს ბებია) და მეუღლე (მეორე მეუღლე), იმყოფებიან საზღვარგარეთ და ასევე ისინიც ეხმარებიან ფინანსურად. ბაბოს ოჯახში არის დამაკმაყოფილებელი და მზრუნველი გარემო ბავშვის ნორმალური აღზრდა–განვითარებისთვის. ინტერვიუს დროს მოსარჩელე პირი საუბრობდა დალაგებულად და ადკვატურად. ერთი შეხედვით მისი ფსიქო–ემოციური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბავშვის დამოკიდებულება დავის მხარეების მიმართ :

ბაბო არის 6 წლის. დაჰყავთ საბავშვო ბაღში. ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებულია ასაკის შესაბამისად. ასევე დამაკმაყოფილებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჩემი ვიზიტის დროს ბაბო იყო მოწესრიგებული და სუფთად ჩაცმული. დედის გადმოცემით, დაცულია ბავშვის კვებისა და მოვლის რეჟიმი, არასრულწლოვანი უზრუნველყოფილია სრულფასოვანი საკვებითა და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებით. ოჯახში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვის განვითარებას. ბაბოს დედის გადმოცემით ბაბო ბიოლოგიურ მამას არ იცნობს. ვიზიტის დროს ჩემს მიერ დასმულ შეკითხვაზე ბაბო მესაუბრა, მამინაცვალზე.

სოციალური მუშაკის პოზიცია/დასკვნა/რეკომენდაცია:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩემი, როგორც სოციალური მუშაკის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბაბო ცხოვრობს კეთილსაიმედო გარემოში დედის ოჯახში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით საჭიროებას წარმოადგენს ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობის საკითხის მოწერიგება, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს დადებით დასკვნას ბაბოს მამასთან დაკავშირებით, რადგან მამა–შვილის პოზიტიური ურთიერთობა განამტკიცებს მომავალში არასრულწლოვნის ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას.

დასკვნა

19 / მარტი **/ 2020** წ.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონულ ცენტრში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან შემოვიდა სასამართლო დავა, რომელიც უკავშირდება ბაბოს მამის შეგებებულ სარჩელს მოპასუხე ბაბოს დედის მიმართ. დავის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანი შვილის ბაბოს ნახვის დღეების განსაზღვრა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ისანი-სამგორის რაიონული ცენტრის სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ვიზიტი ბაბო მამასთან (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) მოსარჩელე მხარესთან, ფაქტობრივ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის ქუჩაზე. აღნიშნულ მისამართზე მუდმივად ცხოვრობენ ბაბოს მამა, მისი სიმაური (მეორე მეუღლის მამა) სიდედრი (მეორე მეუღლის დედა) , ორი მცირეწლოვანი შვილი. საცხოვრებელი ბინა არის ოჯახის საკუთრებაში და იგი შედგება 5 ოთახისაგან. საცხოვრებელ სახლში არის ყველა საჭირო ავეჯი და ტექნიკა, მოწესრიგებულია კომუნალური პირობები, ვიზიტისას დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბაბის მამის გადმოცემით იგი ამ ეტაპზე არ არის დასაქმებული, თუმცა იგი მუშაობდა სადისტრიბუციო კომპანიაში. ბაბოს მამის გადმოცემით დასაქმებული არის მისი მეორე მეუღლე და ოჯახის შემოსავალი ამ ეტაპზე შეადგენს დაახლოებით 1500ლარს.

ბაბოს მამის გადმოცემით, მან და მოპასუხე მხარემ 2011 წელს შექმნეს ოჯახი, თუმცა რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. მისი გადმოცემით ის და ბაბოს დედა წელიწადნახევარში დაცილდნენ ერთმანეთს, ვინაიდან ვერ გაუგეს ერთმანეთს. მოპასუხე მხარე დაშორების შემდეგ ორსულად აღმოჩნდა, მან სცადა ურთიერთობის აღდგენა, თუმცა მაინც ვერ მოახერხეს ურთიერთობის შენარჩუნება. მოსარჩელე მხარის გადმოცემით იგი არასრულწლოვნის დაბადების მოწმობაში დაფიქსირებული არის ბავშვის მამად. მისი გადმოცემით როდესაც ბაბი მცირეწლოვანი იყო იგი ნახულობდა ხოლმე არასრულწლოვანს, ხოლო მოგვიანებით კი ყოფილი მეუღლე უშლიდა მას ბავშვის ნახვას, ყოფილა შემთხვევები რომ ტელეფონს თიშავდა. იხსენებს შემთხვევას, როდესაც ყოფილ მეუღლეს უთხრა, რომ ბავშვის ნახვა სურდა და იმ დროს როცა მას არასრულწლოვანი უნდა ენახა ყოფილმა მეუღლემ სურამში წაიყვანა ბავშვი. მოსარჩელე მხარის თქმით ბოლო ორი წელია მას არ უნახავს არასრულწლოვანი, ბაბის მამის გადმოცემით ყოფილი მეუღლის სანათესაო მის მიმართ აგრესიული იყო, როდესაც იგი არასრულწლოვნის ნახვას ცდილობდა, მას არ სურდა არასრულწლოვანი კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩენილიყო და ცუდი ზეგავლენა მოეხდინა ამ კუთხით ბავშვზე, ამიტომ ერიდებოდა მის ნახვას.

ბაბის მამის გადმოცემით სურს თავის შვილთან ურთიერთობა და მისი ნახვა. იგი მზად არის რომ ნებისმიერ ადგილას ნახოს შვილი, თუნდაც სოციალური მუშაკის თანდასწრებით, ვინაიდან ფიქრობს რომ შეიძლება მოპასუხე მხარის მხრიდან შემდეგ რაიმე ცილისწამებას ჰქონდეს ადგილი. მას ქ. ქუთაისში ჰყავს ნათესავები და შეუძლია, რომ როდესაც ნახავს არასრულწლოვანს მათთან გაიყვანოს ან პარკში ისეირნონ. მისი განმარტებით, ქ.ოზურგეთში აქვს სახლი და სურს რომ ზოგჯერ იქაც მიეცეს არასრულწლოვნის წაყვანის საშუალება, გააცნოს თავისი ბიძაშვილები, ნათესავები და მათთანაც ჰქონდეს ურთიერთობა.

სოციალური მუშაკის რეკომენდაცია: არასრულწლოვნის უფლებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვების კეთილდღეობისა და უფლებების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია ორივე მშობლის ჩართულობა ბავშვების აღზრდის საკითხებში, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია მასზე იზრუნოს ორივე მშობელმა თანაბრად, მოხდეს მხარეებს შორის მოლაპარაკება და მშობლებმა საკუთარი შესაძლებლობები მიმართონ ბავშვის საკეთილდღეოდ, რათა იგი გაიზარდოს სრულფასოვან და უსაფრთხო გარემოში, შესაბამისად მიზანშეწონილია ორივე მშობელმა იმოქმედოს არასრულწლოვანი შვილების საკეთილდღეოდ და არასრულწლოვნის მამას მიეცეს საშუალება შვილის ნახვის და მასთან ურთიერთობის.

ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები

08 / თებერვალი **/ 2021** წ.

საანკეტო მონაცემები**:**

ბავშვის სახელი - ბაბო,

მცხოვრები ქუთასში

მომართვის მიზეზი**:**

კითხოს ფსიქოლოგმა ბაბოს, ვინ არის მამა და მამინაცვალი? ენატრება თუ არა მამა, და თუ არა, რა არის ამის მიზეზი? რას ეუბნება დედა ბაბოს მამაზე?

როგორი ურთიერთობა აქვს ბაბოს მამასთან? როგორ და სად ატარებენ ისინი დროს? თუ იცნობს ბაბო მამის ოჯახის წევრებს?

როგორი ურთიერთობა აქვს დედასთან და მამინაცვალთან? ხომ არ ექცევიან ისინი მას ცუდად?

რას ეუბნებიან დედის და მამინაცვლის ოჯახის წევრები მას მამაზე? თუ უჩხუბია მამას ბაბისთან?

უნდა ბაბის მამასთან ყოფნა და მასთან დარჩენა?

მომართვის წინაპირობა - მომართვა ფსიქოლოგთან მოხდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ. მომართვის წინაპირობას წარმოადგენდა სასამართლო განხილვაში არსებული ოჯახური დავა ყოფილ მეუღლეებს შორის.

მეთოდები - ქცევაზე დაკვირვება, ინტერვიუირება, მშობელსა და შვილს შორის ინტერაქციაზე დაკვირვება .

ვიზიტები - ინდივიდუალური ინტერვიუ განხორციელდა ბაბის დედასთან. გარდა ამისა, დაკვირვება ხდებოდა დედისა და შვილის ინტერაქტიულ სტილზე, ქცევით, ემოციურ, კოგნიტურ მახასიათებლებზე. ინდივიდუალური ინტერვიუ შედგა არასრულწლოვანთან. ვერ განხორციელდა ინტერვიუ მამასთან და მამა-შვილის ინტერაქციაზე დაკვირვება იქედან გამომდინარე, რომ ვერ მოხდა მამასთან დაკავშირება.

ფსიქოლოგთან ვიზიტი განხორციელდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში. ფსიქოლოგის ოფისში, ნეიტრალურ, ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ გარემოში არასრულწლოვანი მოვიდა დედასთან ერთად.

ამჟამად ბავშვი ცხოვრობს ოჯახში დედასთან და დედმამიშვილთან ერთად. მამინაცვალი ამჟამად არ იმყოფება საქართველოში, თუმცა ის საქართველოში ჩამოდის წელიწადში რამოდენიმე თვით. განქორწინება მოხდა მაშინ, როდესაც ბავშვი იყო ჩვილი. განქორწინების მიზეზს წარმოადგენდა მშობლებს შორის წარმოქმნილი გაუგებრობა.

არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა

შეხვედრაზე არასრულწლოვნის სიტუაციური რეაქციები, ბიჰევიორული და ემოციური მახასიათებლები ინტერვიუს დასაწყისში მიუთითებდა მცირედ ღელვაზე, (წრიალი, ხელის, თითების განმეორებითი მოძრაობა); აღინიშნებოდა ლაკონიური რეპლიკები, დიქოტომიური პასუხები (დათანხმება, უარი). ინტერვიუს პირველი წუთების მანძილზე გაურბოდა თვალით კონტაქტს, ჰქონდა ყურადღების გადატანის მცდელობა მაშინ, როდესაც საუბრის შინაარსი ოჯახურ არასასურველ სიტუაციებს - ბიოლოგიური მამისა და დედის წარსული ურთიერთობის დეტალებს ეხებოდა. საუბრისას ყოყმანობდა, თუმცა ნეიტრალურ თემებზე შეკითხვებს მის პერსონალურ ინფორმაციასთან და ინტერესებთან, გატაცებებთან დაკავშირებით ვრცლად, შემაკავებელი რეაქციების გარეშე პასუხობდა. ბარბარე არ ავლენდა შიშებს, იმპულსურობას, ზოგადი ენერგიის დაქვეითებას ან აგრესიულობას. ინტერვიუს მსვლელობისას ფსიქოლოგი პერიოდულად მიმართავდა შინაარსსა თუ პროცესზე ორიენტირებულ თვითგახსნის მაგალითებს (პირადი გამოცდილების, საკუთარი ავტომატური აზრებისა და ემოციური რეაქციების გაზიარება) გაუმჯობესებული ინტერპერსონალური გაგებისთვის, თვითგახსნის უნარ-ჩვევის მოდელირებისთვის. აღნიშნულმა გაზარდა არასრულწლოვნის მხრიდან პოზიტიური უკუკავშირი, ასერტიული კომუნიკაციის ფორმა, აქტიური თუ პასიური მოსმენის ინტენსივობა.

ბავშვთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა თვით კომპეტენტურობის მაღალი განცდა. ფიქრობს, რომ ის წარმატებულია იმ საქმიანობებში, რომელშიც ის არის ჩართული დიალოგისას არ ამჟღავნებდა დაურწმუნებლობას. საუბრობდა თავდაჯერებულად საკუთარ კომპეტენციებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აქვს ემპათიის მაღალი დონე ადვილად ახერხებს სხვის პოზიციაში ჩადგომას. სხვისი ემოციებისა და განცდების გაგება-გათვალისწინებას, სურვილის გადავადებას, სხვისი პერსპექტივიდან სიტუციის აღქმას.

მარტივად ახდენს ახალ გარემოსთან ადაპტაციას, შეთავაზებისთანავე თანხმდება მშობლის გარეშე ფსიქოლოგთან ინტერვიუს. ინტერვიუს დროს მშობელს ახასიათებს როგორც მზრუნველ და სანდო ფიგურას, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს და გაუზიაროს საკუთარი პოზიტიური თუ ნეგატოიური ემოციები. უამბოს მოვლენები რომელიც მას გადახდა სხვა სოციალურ გაერემოში, მოუყვეს ამბები, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანია. ბავშვის გადმოცემით, ისინი ხშირად ერთად გეგმავენ სახალისო აქტივობებს და დროს საინტერესოდ ატარებენ. მამად მოიხსენიებს მამინაცვალს, ამბობს, რომ ძალიან უყვარს ის და სიხარულით ელოდება მის სახლში დაბრუნებას. პოზიტიური ემოციებით იხსენებს მასთან გატარებულ მომენტებს. იმ პერიოდში, როდესაც მამინაცვალი ამერიკაშია ბაბი მას სოციალური ქსელების საშუალებით ხშირად ეკონტაქტება.

რაც შეეხება ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობის საკითხს, ბაბი ამბობს, რომ მას არ იცნობს და ცოტა ხნის წინ, დედისგან გაიგო მისი არსებობის შესახებ. ვერ იხსენებს მასთან კონტაქტის ფაქტებს, თუმცა ამბობს, რომ მამა დედას ცუდად მოექცა და არ სურს მასთან ურთიერთობა ჰქონდეს.

არასრულწლოვნისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი

დედისა და შვილის ინტერაქციაზე დაკვირვებით იკვეთება, რომ არასრულწლოვანი ამჟღავნებ სანდო მიჯაჭვულობას დედასთან, მისი თანდასწრებით გადმოსცემს აზრს თავისუფლად არ ამ-

ჟრავნებს დაძაბულობას ან შფოთვას, შეთავაზებისთანავე თანხმდება ფსიქოლოგთან მარტო დარჩენას. დადებითად აფასებს დედის პიროვნულ მახასიათებლებს.

ადგილი აქვს მის უარყოფით შეფასებას, ბიოგიური მამის ხსენებისას, მამის მიმართ ვერბალურად თუ არავერბალურად გამოხატულ ანტიპათიას. საგულისხმოა შემდეგი დეტალი: არასრულწლოვნის მხრიდან მიუღებლობის რეაქციები მამასთან ურთიერთობის პრაქტიკის მაგალითების არარსებობის ფონზე ხდება. ბაბის არ აქვს არანაირი გამოცდილება მამასთან ურთიერთობის, ფაქტობრივად ბიოლოგიური მამა მისთვის წარმოადგენს უცხო პერსონას, რომელსაც ყოველგვარი პირადი გამოცდილების გარეშე აწერს უარყოფით თვისებებს. ავლენს დედის, როგორც ფიზიკურად ახლო მყოფი პირის მიმართ პერიოდულ მიკერძოებას, იცავს დედის ავტორიტეტს.

ბავშვი გარკვეულწილად მეორე მშობელთან მის პოზიტიურ ურთიერთობას დედის წყენის პირობად აღიქვამს, აღნიშნული მამის პიროვნების შერჩევითად აღქმასაც განაპირობებს და მასთან რაიმე ფორმით ურთიერთობის შესაძლებლობას უშლის ხელს.

მსგავსი აზრებისა და განწყობის მუდმივი განმტკიცების შემთხვევაში მამის წინააღმდეგ დედა--შვილის კოალიციის/გაერთიანების შექმნის საფუძველი იქმნება. აღნიშნული მეორე მშობლის მიმართ წინააღმდეგობრივი რეაქციების გაჩენას და ურთიერთობის შეუძლებლობის წინაპირობას შექმნის. თუკი დროული ინტერვენცია არ განხორციელდა, რაც დედის მიერ პოზიტიური მშობლიური (არაგამაუცხოებელი) პრაქტიკის უზრუნველყოფასა და მამასთან ინტერაქციის ინდივიდუალური გამოცდილების მიღებას გულისხმობს. რამდენადაც დედის მიერ მამის პერსონის მიუღებლობა განაპირობებს ბავშვის მოტივაციური სისტემის გარდაქმნას და მამისადმი დამაახლოვებელი ქცევების დამაბრკოლებელი გარემოება ხდება (რაც ვლინდება არასრულწლოვნის რეალობის შერჩევით, სუბიექტურ აღქმაში მამის პერიოდული უარყოფის კუთხით).

ამდენად მნიშვნელოვანია დედამ გამოავლინოს მამის პოზიტიური სახის შემწყობი აზრები და ემოციები. აუმაღლოს ბავშვს მოტივაცია, რომ მამას მის მიმართ აქვს პოზიტიური ინტერესი, სურვილი, თვითონაც იყოს მზრუნველი და შვილის მხარდამჭერი. აღნიშნულ შემთხვევაში არასრულწლოვანს არ ექნება ფარული დანაშაულის განცდა და თვითონ გახდება შეფასებითი ორივე მშობლის მიმართ, ინდივიდუალური გამოცდილების შეძენის საფუძველზე, რაც დადებითად იმოქმედებს ორივე მშობლის მიმართ სანდო მიჯაჭვულობის ფორმირებაზე. რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაბის ბიოლოგიური მამა აბსოლიტურად უცხო პიროვნებაა და ამ გარემოების შესაცვლელად მამის მხრიდან პოზიტიურ ჩართულობას, ფრთხილ და მომთმენ დამოკიდებულებას გადამწყვეტი როლი ეკისრება. ბავშვის ასაკობრივი და ფსიქო-ემოციური თავისებურებების გათვალისწინებით მამისა და ბავშვის დაახლოების პროცესი იქნება ხანგრძლივი და მამის მხრიდან მოითხოვს, თანმიმდევრული პოზიტიური აქტივობების გამოვლინებას.

არასრულწლოვნის საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი მშობლებისა და ოჯახის წევრების მხრიდან

დედა აცნობიერებს შვილის საგანმანათლებლო სოციალურ, სამედიცინო თუ სხვა პიტრველად საჭიროებებს. მგრძნობიარეა შვილის მოთხოვნილებების მიმართ და აქტიურადაა ჩართული ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში. კარგად იცნობს ბავშვის ინტერესებს მის პიროვნულ მახასიათებლებს.

მამა არ არის ჩართული შვილის საჭიროებების დაკმაყოფილებაში, როგორც დედა აღნიშნავს მას განქორწინების შემდეგ ერთხელ ჰქონდა შვილის ნახვის მცდელობა.

არასრულწლოვანი ფლობს ინფორმაციას მშობლებს შორის არსებული კონფლიქტებისა თუ ოჯახური დავის დეტალების შესახებ, რაც არასასურველ გავლენას მოახდენს მის ემოციურ მდგომარეობაზე. უმჯობესია მას არ ჰქონდეს წვდომა ამ დეტალებზე.

ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობები

ინტერვიუს დროს არასრულწლოვანი საუბრობს დეიდაზე და დეიდაშვილებზე, რომლებიც ძალიან უყვარს და ენატრება და ძალიან უნდა მათი მონახულება, ბაბის ურთიერთობა აქვს ასევე მამინაცვლის მშობლებთან. მისი თქმით ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს

. **დასკვნები-რეკომენდაციები**

მნიშვნელოვანია, ორივე მშობელმა მათი პარტნიორული პრობლემურობის, ერთმანეთის მიმართ უარყოფითი ემოციების, თუ წყენებისგან გამიჯნონ შვილის აღზრდაში ორმხრივი მშობლური ჩართულობის მნიშვნელოვნება და აღნიშნულ თემას წამყვანი როლი მიანიჭონ სასურველია, მამა კარგად აცნობიერებდეს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, იქონიოს ფრთხილი და თანმიმდევრული დამოკიდებულება ბავშვთან შეხვედრების და ტელეფონით საუბრისას. ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შვილის ცხოვრებაში მამის აქტიური ჩართულობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დედამ, როგორც შვილისთვის სანდო, მზრუნველმა პერსონამ, შექმნას პოზიტიური ხასიათის დიალოგი მამასთან დაკავშირებით. გაიხსენოს მამა-შვილის ურთიერთობის სასურველი წინარე მაგალითები, საერთო სასიამოვნო ისტორიები. აუხსნას, რომ მშობლებს განსხვავებული ხედვა აქვთ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და ამიტომ გადაწყვიტეს ცალ-ცალკე ცხოვრება, მაგრამ ორივეს აქვს ერთნაირი სურვილი, რომ შვილის განვითარებაზე იზრუნონ, რომ ორივე მათგანი არის საიმედო. მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანს განემარტოს, რომ თუკი რაიმე არ მოეწონება მშობლების საქციელში, მას შეუძლია გულახდილად თქვას და ამას აუცილებლად გაითვალისწინებს ორივე მათგანი.

მნიშვნელოვანია დედამ ხელი შეუწყოს მეორე მშობლის ისეთი ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება ბავშვთან მამის პოზიტიური ხატის ჩამოყალიბებას. (ეს იქნება საჩუქრების მიღება, გასეირნება გასართობ ცენრებში, მამის საცხოვრებელ სახლში წაყვანა თუ სხვა).

აუცილებელია მამასთან შეხვედრიდან– შეხვედრამდე ბავშვს ქონდეს რეგულარული სატელეფონო კომუნიკაცია მასთან, რათა არ მოხდეს განშორების პერიოდებში გაუცხოვება მამასთან და ბავშვისთვის ის იყოს მყარი ფიგურა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს მის ცხოვრებაში და შეუძლია ენდოს.

სასურველია, დედასთან კომუნიკაციის დროს (განსაკუთრებით ბავშვის თანდასწრებით) მამა გამოხატავდეს კეთილგანწყობას და პატივისცემას იმისათვის, რომ ბავშვს არ ჰქონდეს წარმოდგენა მშობლების მტრული დამოკიდებულების შესახებ, ასევე შიში იმისა, რომ მამა ცდილობს დედას წაართვას ბავშვი და დააშოროს ისინი.

მნიშვნელოვანია მამასთან შეხვედრამდე ასეთის არსებობის შემთხვევაში დედამ რამდენიმე

დღით ადრე შეამზადოს ბავშვი ამ მოვლენისთვის. სასურველია დედამ ჩამოუყალიბოს შეხვედრის გეგმები იმისათვის, რომ ბავშვისთვის ეს პროცესი პროგნოზირებადი იყოს და უსაფრთხოდ აღიქმებოდეს; ასევე გაუჩნდეს განცდა, რომ დედა მხარს უჭერს ყველა იმ ქმედებას, რაც მამასთან ერთად სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას უკავშირდება.

არასრულწლოვნის აღზრდისას გამოიყენონ დემოკრატიული აღზრდის ფორმა: შესთავაზონ კონტროლირებადი გარემო, წესები, აუხსნან ქცევითი ეფექტები. განუსაზღვრონ, რის მიმართ გამოხატავენ მიმღებლობა–მიუღებლობას და რატომ. იყვნენ თანმიმდევრული ყველა სიტუაციაში. თუკი ბავშვის ქცევა მიუღებელია, არ მისცენ სურვილის დაკმაყოფილების საშუალება, ჩამოაშორონ სასიამოვნო სტიმულს, არ გამოხატონ სითბო ფიზიკურად თუ ვერბალურად, გამოიყენონ დაგეგმილი იგნორირება წუწუნის, ყვირილის, მანიპულაციის არასასურველი ფორმების მიმართ. ესაუბრონ ქცევით გამოწვეულ პირად გძნობებზე, ემოციებზე. ყურადღება გაუმახვილონ სასურველ ალტერნატიულ ქცევაზე, დადებით მოლოდინებზე, დააფიქსირონ ნდობა ბავშვის პიროვნების მიმართ, მაგრამ გამოხატონ მკაფიო პოზიცია არმოსაწონ საქციელთან დაკავშირებით. შეინარჩუნონ მოთმინება, ესაუბრონ მშვიდი, მაგრამ დამარწმუნებელი კატეგორიული ფორმით. მიმართონ ქცევის დიფერენციალურ განმტკიცებას – სასურველი ქცევის დროს გამოხატონ დადებითი რეაქციები, არასასურველის დროს ჩამოაშორონ სასურველ სტიმულებს, მაგრამ უზრუნველყონ მეთვალყურეობა ბავშვის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. წაახალისონ არასრულწლოვნის დადებითი ეფექტების მქონე ინიციატივები. დაგეგმონ ერთობლივი აქტივობები. სასურველია მშობლებმა ფსიქოლოგთან გაიარონ კონსულტაციები იმისთვის, რომ შეძლონ ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების სწორად შესრულება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს

ბაბის მამის დავითის და მისი წარმომადგენლის ილიას

შუამდგომლობა

დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ

01.07.2020. 11:30

მოთხოვნა:

მოხდეს შვილის მიმართ მშობლის ზრუნვის საკითხისა და მშობლის ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით დროებითი განკარგულების გამოცემა.

მოთხოვნის არგუმენტაცია:

როგორც თქვენთვის ცნობილია, მოსარჩელე - თამარის და მოპასუხე - დავითს შორის მიმდინარეობს საოჯახო - სამართლებრივი დავა, რომელიც ეხება მათ არასრულწლოვან შვილს - ბაბის.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თბილისის სოციალური მუშაკის 2020 წლის 19 მარტის დასკვნით დადგინდა, რომ ბაშვის საუკეთესო ინტერესებიდან და კეთილდღეობიდან გამომდინარე, აუცილებელია მამას მიეცეს თავისი შვილის ნახვის და ურთიერთობის შესაძლებლობა.

შესაბამისად, ამ დასკვნის და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, რომლითაც აუცილებელია მამა-შვილის აქტიური ურთიერთობა. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გთხოვთ მიიღოთ დროებითი განკარგულება, რომლითაც მოწესრიგდება შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები და ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან. კერძოდ კი, ჩვენ გვინდა, რომ დავითმა მოინახულოს თავისი შვილი მის საცხოვრებელ ადგილას და ამ შეხვედრებს დაესწრება სოცილური მუშაკიც.

ასევე, დავითს სურს, რომ წაიყვანოს ბაბი ორი კვირით თავისთან, რომ ბავშვმა მამასთანაც იქონიოს თბილი და ჯანსაღი ურთიერთობა და არ მოხდეს მათი ერთმანეთისგან გაუცხოება. ჩემს მარწმუნებელს უყვარს თავისი შვილი და უნდა, რომ ბაბი მასთანაც ცხოვრობდეს და იზრდებოდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 355-ე მუხლებიდან გამომდინარე, გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩვენი შუამდგომლობა და გამოსცეთ დროებითი განკარგულება, რომლითაც დავითი შეძლებს თავისი შვილის ნახვას.

განჩინება

საქართველოს სახელით

დროებითი განკარგულების მიღების შესახებ

13 ივლისი, 2020 წელი

ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე

მოსარჩელე - თამარი

წარმომადგენელი - გიორგი

მოპასუხე - დავითი

დავის საგანი - ალიმენტის დაკისრება, მშობლის უფლების შეზღუდვა

შეგებებული სარჩელი:

მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) - დავითი

მოპასუხე (იგივე მოსარჩელე) - თამარი

დავის საგანი - არასრულწლოვან ბავშვთან ურთიერთობის დროისა და წესის განსაზღვრა

მოთხოვნა - დროებითი განკარგულების მიღება

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მიღებული იქნეს დროებითი განკარგულება:

- მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) **დავითს** მიეცეს არასრულწლოვანი შვილის - **ბაბის** ნახვის უფ-ლება ბავშვის საცხოვრებელ ადგილას და ამ შეხვედრას დაესწროს სოციალური მუშაკი.

3. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება და იგი აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

მოსამართლე:

დადგენილება

(თამარისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ)

განვიხილე მასალები სამართალდამრღვევის - მოქალაქე თამარის შემდგომში - ვალდებული პირი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{11} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

გამოვარკვიე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განკარგულების თანახმად, დავითს განესაზღვრა ურთიერთობის წესი შვილთან - ბაბისთან. ამავე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რაც დადგენილი წესით წარმოდგენილ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოში.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის იურისტის მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილია, რომ თამარი ინფორმირებული იყო აღნიშნული შეხვედრის შესახებ და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნისა და აღსრულების პირობების შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დროებითი განკარგულების თანახმად, აღსრულების მიზნით, სააღსრულებო მოქმედების განხორციელება ჩაინიშნა ქ.ქუთაისში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში ჩეჩელაშვილის N26-ში, 17:00 საათზე და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ვალდებულ პირს ეთხოვა სააღსრულებო მოქმედების განხორცილებისთვის, 2021 წლის 13 დეკემბრისათვის ბავშვის მომზადება იმდაგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სასამართლოს განჩინების წარმატებით აღსრულება. არასრულწლოვნის ბაბის გამოცხადება აღნიშნულ ადგილას და შეხვედრა დავითთან, რათა განხორციელებულიყო სააღსრულებო მოქმედება ბავშვის მამასთან ურთიერთობისათვის, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ურთიერთობის წესის შესაბამისად.

ვალდებული პირი ასევე გაფრთხილებულ იქნა, ზემოთხსენებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მასუხისმგებლობის ზომების განხორციელების თაობაზე.

2021 წლის 13 დეკემბერს 17:00 საათზე, სააღსრულებო მოქმედების ადგილზე, ქ.ქუთაისში, მეურვეობისა და მარუნველობის ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში ჩეჩელაშვილის N26-ში გამოცხადდა. აღსრულებაზე უფლებამოსილი პირი სააგენტოს იურისტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და დაინტერესებული პირი დავითი.

2021 წლის 13 დეკემბრის, საღსრულებო მოქმედების ოქმის მიხედვით დგინდება, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა თამარმა არ უზრუნველყო ბაბის ფსიქოლოგიური მომზადება და არ გამოცხადდა სააღსრულებო მოქმედების ადგილად განსაზღვრულ შენობაში, ვალდებული პირის მხრიდან განმეორებით უგულებელყოფილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონიერი მოთხოვნა, მასში მითითებული პირობებით და მისი ქმედება გამიზნულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობისკენ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის განმეორებით შეუსრულებლობას, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ვალდებუ-

ლი პირის, 500 (ხუთასი) ლარით დაჯარიმების შესახებ.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება სამართალდარღვევის ოქმის განხილვის მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ვალდებულ მხარეს გაეგზავნა და ჩაბარდა. განემარტა მისი უფლება, წარმოედგინა დამატებითი მტკიცებულებები და ახსნა განმარტებები, ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ზემოთაღნიშნული გარემოებებიდან დასტურდება, რომ ვალდებული პირის, თამარის მხრიდან ადგილი აქვს საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N01-16/5 არძანებით დამტკიცებული „ბავშვის გადაცემასთან ან და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას, რითაც ხელი ეშლება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დროებითი განკარგულების აღსრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსის 17313 მუხლის, 229 მუხლითა და 239-ე მუხლის მე-60 ნაწილით, და

დავადგინე:

ადგილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. შესაბამისად, სამართალდამრღვევს, ვალდებულ პირს თამარს დაედოს - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში (ქ. თბილისი, ასათიანის N9) და სასარჩელო განცხადებით ქუთაისის საქალაქო ასამართლოში (ქ. ქუთაისი ვ. კუპრაძის ქ. NII-ში).

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა

დახმარების სააგენტო

თბილისი მ. ასათიანის ქუჩა #9

თამარის და მისი წარმომადგენლის

საჩივარი

თამარისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2022 წლის 3 იანვრის დადგენილების გაუქმების შესახებ

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის იმერეთის რეგიონული ცენტრისაგან თამარმა ფოსტის მეშვეობით მიიღო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე თამარი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეეფარდა ჯარიმნა 500 ლარის ოდენობით.

ოქმის გამოცემის საფუძველი გახლავთ, რომ 2021 წლის 13 დეკემბერს თამარი არ გამოცხადდა სოციალურ სამსახურში არასრულწლოვან შვილთან ბაბისთან ერთად.

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმიც და სამართალდარღვევის დადგენილებაც არის უკანონო, რის გამოც საჩივრით მივმართეთ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, თუმცა აღნიშნულმა საგენტომ, მიოუხედავად იმისა, რომ მოისმინა ჩვენი პოზიცია, პირდაპირ გაიზიარა მხოლოდ ოქმის შემდგენის პოზიცია და არ დააკმაყოფილა საჩივარი, რაც ასევე უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი არ გასაუბრებია თამარს, არ ჩამოურთმევია მისთვის ახსნა-განმარტება და არ განუმარტავს უფლება-მოვალეობები. სამართალდარღვევის ოქმის შესახებ თამარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფოსტის მიერ იქნა მიტანილი სამართალდარღვევის ოქმი. რაც შეეხება სახდელის დადებას, სახდელის დადებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენივე მოთხოვნა იყო ადმინისტრაციულ წარმოებაში მიგვეღო მონაწილეობა, არ მოგვეცა შესაძლებლობა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების, არ ჩანიშნულა ადმინისტრაციული წარმოებისას განხილვის თარიღი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვცხადდებოდით და წარვადგენდით ჩვენს ხელთ არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

სოციალურ სამსახურში სააღსრულებო მოქმედება დაწყებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების, დროებითი განკარგულების საფუძველზე.

აღნიშნული განკარგულების აღსრულების მიზნით არაერთხელ იქნა დედის თამარის მიერ მიყვანილი არასრულწლოვანი ბაბი სოციალურ სამსახურში, თუმცა აღსრულება ყოველთვის დასრულდა უშედეგედოდ, პირიქით, პირველი შეხვედრის შემდეგ ბაბი უარყოფითად განეწყო

სოციალური სამსახურის ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მიმართ, ამასთან კატეგორიულად უარს აცხადებდა სოციალურ სამსახურში წასვლაზე. მიუხედავად ამისა თხოვნებით, მოფერებით თამარს მიყავდა ბავშვი აღსრულებაზე.

როგორც თავად ბაბი მიუთითებს „ფსიქოლოგმა თქვა ასე თუ არ მოიქცევი ჩვენ დაგვიჭერენ და არ გეცოდებით?“, აღნიშნული განმარტება თრგუნავს ბავშვს. შემდგომ აღსრულებისას არაერთხელ ყოფილა ფსიქოლოგის მიერ განმარტება გაკეთებული, რომ ბაბი ასე თუ არ მოიქცევი ჩვენ გვეწყინება და ხომ არ გინდა ჩვენ გვეწყინოს? ამგვარი განმარტებებით ფსიქოლოგის მიერ ხორციელდება უშუალოდ ფსიქიკური ძალადობა ბავშვზე. ანალოგიურად მამასთან მიმართებაშიც, როდესაც ატირებული ბავშვი მამას თხოვდა რომ გაეშვა დასასვენებლად მის დეიდაშვილებთან ზამთრის არდადეგებზე, ატირებულ ბავშვს მამა ეუბნება არ მოგცემ პასპორტსო და აღნიშნული წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ძალადობას. სოციალური მუშაკი, ნაცვლად იმისა ცდილობდეს აღკვეთოს ფსიქოლოგისა და მამის ამგვარი მიდგომები ბავშვთან, ხმას არ იღებს და არის გადაბრალების რეჟიმში დედასთან, თითქოს დედა არ არიგებს ბავშვს, არ მიყავს მომზადებული სოციალურ სამსახრში მამასთან ურთიერთობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თამარს კარგი არაფერი ახსოვს მისი მოთამაშე მეუღლის მიმართ, იმ მეუღლის მიმართ, რომლის თამაშის გამო სამსახურიდან აღებული თანხის დასაფარად მისი ნაყიდი ავტომანქანა გადაუფორმა ყოფილი მეუღლის სამსახურს რომ არ დაეჭირათ, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატიურად განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას მეუღლისაგან, მაინც მიყავდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ბავშვი სოციალურ სამსახურში, იმისათვის, რომ ბავშვს კარგია თუ ცუდია ჰქონდეს ურთიერთობა თავის ბიოლოგიურ მამასთან. იმ ბიოლოგიურ მამასთან, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა და მხოლოდ აღსრულების დროს გახდა მისთვის ცნობილი ბიოლოგიური მამის შესახებ.

მიუხედავად ბავშვის წინააღმდეგობისა, თამარის მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

2021 წლის 13 დეკემბერს, სოციალურ სამსახურში წასვლის დროს, სიცხიანი ბავშვი ჩავარდა ისტერიკებში, არ უნდოდა სოციალურ სამსახურში წასვლა, ჩაიკეტა მანქანაში, მანქანის კარები არ გააღო და ისტერიული ხმით ბღაოდა არ მინდა სოციალურში წასვლა თავი ხომ არ მოვიკლაო. თამარის მობილური ტელეფონი იყო მანქანაში და როდესაც ბავშვმა ავტომანქანის კარები ჩაკეტა, თამარმა დარეკვაც კი ვერ შეძლო სოციალურ სამსახურში აღნიშნულის თაობაზე.

იმისათვის, რომ მოხდეს პირის დაჯარიმება, აუცილებელია დადგინდეს, ქონდა თუ არა გადაცდომის ჩადენას მის ქმედებაში ადგილი.

კონკრეტულ შემთხვევაში თამარის ქმედებაში ადგილი არ ქონია ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენას, რის გამოც სამართალდარღვევის ოქმი არის უკანონო, ასევე უკანონოა ადმინისტრაციული სახდელი დადების შესახებ დადგენილება, რის გამოც უნდა გაუქმდეს.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე</u>

გთხოვთ გააუქმოთ გასაჩივრებული სამართალდარღვევის ოქმი და დადგენილება თამარისათვის ადმიისტრაციული სახდელის ჯარიმის 500 ლარის დაკისრების შესახებ.

განჩინება

საქართველოს სახელით

დროებითი განკარგულების მიღების შესახებ

9 სექტემბერი, 2022 წელი

ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე

მოსარჩელე - თამარი

წარმომადგენელი - გიორგი

მოპასუხე - დავითი

დავის საგანი - ალიმენტის დაკისრება, მშობლის უფლების შეზღუდვა

შეგებებული სარჩელი:

მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) - დავითი

მოპასუხე (იგივე მოსარჩელე) - თამარი

დავის საგანი - არასრულწლოვან ბავშვთან ურთიერთობის დროისა და წესის განსაზღვრა

მოთხოვნა - დროებითი განკარგულების მიღება

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მიღებული იქნეს დროებითი განკარგულება:

- მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) **დავითს** მიეცეს უფლება ელექტრონული საშუალებებით დაამყაროს ურთიერთობა/კომუნიკაცია (ვაიბერით ან სხვა საშუალებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არასრულწლოვან შვილთან - **ბაბისთან** მისივე თანხმობით, ყოველი კვირის შაბათ-კვირას არაუმეტეს ერთი საათისა - 20:00 სთ-დან 21:00 სთმდე დროის მონაკვეთში. აღნიშნული კომუნიკაციის უფლება დავითს მიეცეს ასევე მისი საქართველოში არყოფნის პერიოდშიც (საქართველოს დროით).

3. მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) თამარის და მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემასთან, ბავშვის დროებით საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით, მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდეს.

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება და იგი აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

მოსამართლე:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს

ბაბის დედის თამარის და მისი წარმომადგელის

შუამდგომლობა
დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ

როგორც სარჩე;ლში აღინიშნა, ბაბი საერთოდ არ იცნობდა მამას, მყავს მეორე მეუღლე, რომლის გაზრდილიც არის ბაბი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ გაცემული იქნა დროებითი განკარგულება, რომლითაც ბაბის მამას უფლება აქვს ნახოს, ბაბი საერთოდ არ ნახულობს მამას და წინააღმდეგია მამასთან ურთიერთობის. ბაბი არის ფორტუნა „მხიარული ნოტების“ კონკურსის მონაწილე, სადაც გაიმარჯვა და მიიღო საგზური ჩეხეთის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობისათვის, თუმცა მამა წინააღმდეგია ბავშვის კონკურსზე გამგზავრების.

ორივე მშობელი ვალდებულია იზრუნოს თავიანთ არასრულწლოვან შვილებზე, ნებისმიერი გადაწყვეტილება ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იქნას მიღებული.

ბაბი, რომელიც არის წარმატებული მონაწილე მხიარული ნოტების, არის გამარჯვებული და დაჯილდოვებული საგზურით საზღვარგარეთ სიმღერით კონკურსში მონაწილეობა მიიღოს, არის მისთვის შანსი გახდეს საზღვარგარეთაც გამარჯვებული, რის შესახებაც ბავშვი წლებია ფიქრობს, შრომობს, ნატრობს და ოცნებობს. სასცენო კაბების შერჩევაში თავად იყო ჩართული. საზღვარგარეთ კონკურსში მონაწილეობა სწორედ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუმცა მამა, რომელიც ბავშვს მხოლოდ ჩემი გამწარების მიზნით იყენებს, ბოროტად სარგებლობს მამის უფლებით.

ჩერხეთში კონკურსი ტარდება 2022 წლის 12-16 სექტემბერს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროსთან (ამასთან შესაგროვებელია საბუთები, პირადობისა და საქართველოს პასპორტის აღება, საელჩოს თანხმობა, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს) არის დაკავშირებული და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოესწრება კონკურსამდე, ამდენად ერთადერთი შესაძლებლობა ბაბის აუხდეს მისი ნანატრი ოცნება მონაწილეობა მიიღოს ჩეხეთში კონკურსზე, არის დროებითი განკარგულების გაცემა მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

გთხოვთ გამოიტანოთ დროებითი გაკარგულება ბაბის კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პასპორტის აღებასა და საზღვარგარეთ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით გამგზავრებასთან დაკავშირებით

შემოქმედებითი გაერთიანება „ მუსიკალური ნოტები"

შემოქმედებითი გაერთიანება 20 წელია ატარებს რესპუბლიკურ კონკურსს

„მუსიკალური ნოტები"

შემოქმედებითი გაერთიანება თანამშრომლობს ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო კონ-კურსის ორგანიზატორებთან და „მუსიკალური ნოტები"-ის კონკურსში გამარჯვებულ ბავშვებს აჯილდოვებს ჩეხეთის საერთაშორისო კონკურსის საგზურით.

კონკურსი ჩეხეთში, კერძოდ ქ. კარლოვივარში ტარდება ა/წ 12-16 სექტემბერს. შემოქმედებითმა გაერთიანება საერთაშორისო კონკურსის საგზურით დააჯილდოვა კონკურს „მუსიკალური ნო-ტები"-ს გამარჯვებული ბაბი.

CONFIRMATION CODE

TDCCKC

STATUS

Confirmed

FLIGHT NUMBER

W68421

Timestamp: 17 August 2022 01:36 A51

KUTAISI

PRAGUE

13

PRAGUE

KUTAISI

17

Passengers

Tamari

Free carry-on bag (40 x 30 x 20 ст)

132 kg Checked-in baggage

WIZZ Priority

SD

Babi

1x Free carry-on bag (40 x 30 x 20 cm)

132 kg Checked-in baggage

WIZZ Priority

Services included

Airpon sbeck-

მოსარჩელე მხარის თამარის (ბაბის დედა)

დაზუსტებული ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა

ქორწინებაში ვიმყოფებოდი მოპასუხე მხარესთან და თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის ნოემბერში შეგვეძინა ერთი შვილი ბაბი. ჩვენს შორის შეუთანხმებლობის გამო დავცილდით ერთმანეთს. ამჟამად ვარ გათხოვილი და მაქვს ცალკე ოჯახი. მეორე მეუღლესთან მაქვს ჯცარი დაწერილი. ჩემი შვილი ბაბი ცხოვრობს ჩემთან და არანაირი შემხებლობა მოპასუხესთან არა აქვს, უფრო მეტიც, ჩემმა შვილმა საერთოდ არ იცოდა მოპასუხის არსებობის შესახებ, მამა ეგონა ჩემი მეორე მეუღლე და მამასაც მას უძახის. მოპასუხე მხარე საერთოდ არ იღებს მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, არ ეხმარება ფინანსურად, მაშინ როცა მას აქვს საკმარისი შემოსავალი თვეში 2000 ლარზე მეტი და შეუძლია თავის შვილს გაუწიოს ფინანსური დახმარება.

ბავშვი არის 7 წლის და სწავლობს კერძო სკოლაში. მას შემდეგ, რაც გაიგო, მისი ნამდვილი მამის შესახებ, ემოციურად ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა არის რთული, სოციალურ სამსახურში მამასთან არაერთხელ შეხვედრისას განიცადა მისგან და სოციალური სამსახურისაგან ფსიქიკური ძალადობა. ნაცვლად იმისა, რომ სოციალუერი სამსახური დაეხმაროს ბავშვს, პირიქით, არათუ ზრუნავენ ბავშვის ინტერესებზე, არამედ აიძულებენ მას სასამართლოს დროებითი განკარგულების მარტივად აღრულების მიზნით მამასთან თბილი დამოკიდებულების გამოხატვას, რაც ბავშვის ფსიქიკაზე აისახება უარყოფითად.

ამასთან, როგორც ავღნიშნე ამჟამად მყავს მეორე მეუღლე, რომელთანაც დაწერილი მაქვს ჯვარი, რაზეც მოპასუხე ჩემს მიმართ არის აგრესიული, მივდივარ საზღვარგარეთ ორი კვირით და არ მაძლევს ჩემი შვილის საზღვარგარეთ წაყვანის უფლებას, მაშინ როცა შვილი საერთოდ არ იცნობდა მოპასუხეს და მოპასუხეს არ აინტერესებს შვილის მომავალი, პირიქით, როცა ბავშვი ეუბნება და თხოვს, რომ სურს მამის თანხმობა საზღვარგარეთ არდადეგებზე წასვლის მიზნით და ემოციურად გამოხატავს აღნიშნულს მამის მიმართ, მამა ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობაზე, პირიქიოთ, ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ ეუბნება „არ მოგცემ საზღვარგარეთ არდადეგებზე წასვლის უფლებას თუ ჩემთან არ წამოხვალ რამოდენიმე დღეო“, რაც ემოციურად მძიმედ მოქმედებს ბავშვზე. ამასთან, საზღვარგარეთ წასვლის დროს ფაქტობრივად ბავშვის დამტოვებელიც არ მყავს. აღსანიშნავია, რომ ბავშვი მინდა გასტროლებზე გავიყვანო ასევე ჩეხეთში კონკურსზე (გამარჯვებულია "მუსიკალური ნოტების კონკურსში) საზღვარგარეთ ხელოვნებით, წავიყვანო დასასვენებლად საზღვარგარეთ ნათესავებთან არდადეგებზე (ნათესავები საერთოდ არ ყავს ნანახი, ვინაიდან არა აქვს პასპორტი და როდესაც ჩვენ მივდივართ გამოხატავს გულის წყვეტას), მაგრამ მოპასუხე მხარე ბავშვს ფაქტობრივად იყენებს ჩემი გამწარების მიზნით.

ვითხოვთ

- ბავშვის ბაბის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის თამარის საცხოვრებელი ადგილი.
- დაეკისროს მოპასუხე დავითს თამარის სასარგებლოდ შვილის ბაბის

ალიმენტის სახით თვეში 500 ლარის გადახდა

- შეეზღუდოს მოპასუხე დავითს შვილის ბაბის მშობლის უფლება პირადობის მოწმობის და საქართველოს პასპორტის აღებასთან, ასევე საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემაზე
- გადახდეს მოპასუხე დავითს პროცესის ხარჯები, როგორც სასამართლოს ხარჯები ისე სასამართლოს გარეშე ხარჯები

განჩინება

საქართველოს სახელით

დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე

უარის თქმის შესახებ

09 სექტემბერი, 2022 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე -

მოსარჩელე - თამარი

წარმომადგენელი -

მოპასუხე - დავითი

დავის საგანი - საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, მშობლის უფლების შეზღუდვა

შეგებებული სარჩელი:

მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) - დავითი

მოპასუხე (იგივე მოსარჩელე) - თამარი

დავის საგანი - არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

არასრულწლოვანი - ბაბი

ადვოკატი -

მოთხოვნა - დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანა

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) თამარის **დაზუსტებული სარჩელი** მოპასუხე (იგივე მოსარჩელე) დავითის მიმართ, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, ალიმენტის დაკისრებისა და მშობლის უფლების შეზღუდვის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითის **შეგებებული სარჩელი** მოპასუხე (იგივე მოსარჩელე) თამარის მიმართ, არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ.

2022 წლის 21 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელით მომართა მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითმა და მოითხოვა სასამართლომ გამოსცეს დროებითი განკარგულება, რომლითაც მოწესრიგდება მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, კერძოდ, დავითს მიეცეს უფლება ელექტრონულად დაამყაროს კომუნიკაცია ნებისმიერი არხის გამოყენებით ყოველი კვირის ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს არაუმეტეს 2 საათისა 19:00 საათიდან 21:00 საათამდე დროის მონაკვეთში მის არასრულწლოვან შვილთან - ბაბისთან. აღნიშნული კომუნიკაციის უფლება დავითსწ მიეცეს ასევე, მისი საქართველოში არ ყოფნის პერიოდშიც (საქართველოს დროით).

თავის მხრივ მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) თამარმა 2022 წლის 16 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მომართა სასამართლოს და მოითხოვა გაიცეს დროებითი განკარგულება პირადობის მოწმობისა და საქართველოს პასპორტის გაცემასთან, ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით მშობლის უფლების შეზღუდვის ნაწილში.

2022 წლის 06 სექტემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარემ დააზუსტა შუამდგომლობა და მიუთითა, რომ დროებითი განკარგულების გამოცემა სურს ბავშვის დროებით საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით, კერძოდ 2022 წლის 10 სექტემბრიდან 2022 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 06 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

მიღებული იქნა დროებითი განკარგულება და მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) დავითს მიეცა უფლება ელექტრონული საშუალებებით დაამყაროს ურთიერთობა/კომუნიკაცია (ვაიბერით ან სხვა საშუალებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არასრულწლოვან შვილთან - **ბაბისთან** მისივე თანხმობით, ყოველი კვირის შაბათ-კვირას არაუმეტეს ერთი საათისა - 20:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე დროის მონაკვეთში. აღნიშნული კომუნიკაციის უფლება გივი სურგულაძეს მიეცა ასევე მისი საქართველოში არყოფნის პერიოდშიც (საქართველოს დროით).

ამავე განჩინებით მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) თამარის და მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემასთან, ბავშვის დროებით საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით, მშობლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 08 სექტემბერს არასრულწლოვან ბაბის ადვოკატმა განცხადებით მომართა სასამართლოს დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანის თხოვნით. განმცხადებლის განმარტებით, არსებობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 06.09.2022 წლის განჩინებაში, დროებითი განკარგულების მიღების შესახებ, ცვლილების შეტანის საფუძველი, შემდეგ გარემოებათა გამო: ბაბისა და მის ბიოლოგიურ მამას შორის ურთიერთობა დაძაბულია, არასრულწოვანს მიაჩნდა, რომ მამა უშლიდა ხელს საზღვარგარეთ გამგზავრებაში იმის გამო, რომ არ აძლევდა თანხმობას დამზადებოდა პასპორტი. არასრულწლოვანი იყო სტრესულ მდგომარეობაში და ახლა ის თუ კონკურსში ვერ მიიღებს მონაწილეობას იგივე მიზეზით, ფაქტობრივად მამა-შვილს შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარება დგება საფრთხის ქვეშ. ასევე არასრუწლოვანი მომზადებულია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და თუ იგი ვერ მოხვდება კონკურსზე, მის მენტალურ ჯანმრთელობას მიადგება ზიანი. მით უმეტეს რომ წინამდებარე სამოქალაქო დავის დაწყების შემდეგ არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა სტაბილურია. მან ახლა-

ხანს დაძლია წინა დროებითი განკარგულების იძულებითი აღსრულების პროცესში მიღებული სტრესული მდგომარეობა და კონკურსზე გამგზავრებაში ხელის შეშლა მძიმე ტრამვა იქნება მისი ფსიქიკისათვის. მოცემულ შემთხევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ბავშვის უფლებათა კოდექსის 18.2 და ბავშვის უფლება კონვენციის 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, არამედ ასევე მისი ჯანმრთელობის უფლება, რომელიც მოიცავს მენტალურ ჯანმრთელობას.

ბაქბის მამა დავითი არ დაეთანხმა დრიოებით განკარგულებაში ცვლილების შეტანას და ბავშვის კონკურსზე საზღვარგარეთ გამგზავრებას.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. არასრულწლოვან ბაბის ადვოკატის შუამდგომლობა დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, არ დაკმაყოფილდეს.

2. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე:

ბაბის დედის მოწვევით კერძო ფსიქოლოგის შეფასების დასკვნა

კლიენტის სახელი: ბაბი

დაბ. თარიღი:

ასაკი: 8 წელი

რესპოდენტები: დედა (თამარი) და ბავშვი

შეფასების პერიოდი: 08.09.2022

შეფასების მეთოდი:

დაკვირვება, ინტერვიუ მშობელთან/ბავშვთან

მომართვის მიზეზი და ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია: ფსიქოლოგთან მომართვის მიზეზი, რომელიც თერაპიის დასრულებიდან 6 თვეში განხორციელდა ეხებოდა დედის განმეორებით მომართვას ბარბარეს შფოთვით ეპიზოდსა და ღამის ენურეზის შემთხვევას. ეს უკანასკნელი კი მოხდა მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე დათანხმებოდა ბავშვის ბიოლოგიურ მამას არ გაეშვა ბაბი სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე ჩეხეთში (ქ. პრაღაში, 2022 წლის 12-16 სექტემბრის პერიოდში). გადმოცემით (ბავშვისა და დედის ინტერვიუს საფუძველზე) კონკურსისთვის ბარბი თვეებია ემზადებოდა, შერჩეული იყო რეპერტუარი, კერძოდ: კრიმანჭული, "Edelweiss (კინოფილმიდან "მუსიკის ჰანგები"), დუა ლიპას ჰიტ სიმღერა (სავარაუდოდ: "Levitating"). ასევე გადაწყვეტილების მიღების დღეს, ბაბის ჩამოუვიდა შეკვეთით დამზადებული ფაფანაკი, ყაბალახი და კაბები. დედის ინფორმაციით მოულოდნელი იყო მოსამართლის მიერ ნეგატიური გადაწყვეტილება და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ბავშვი ინერვიულებდა ბავშვს უთხრა, რომ "ჯერჯერობით ვერ შეძლებდა კონკურსზე წასვლას და მომავალში წავიდოდა. აღნიშნულზე კი ბაბიმ ხმამაღლა ტირილი დაიწყო, საკუთარ ოთახში კამები ძირს გადაყარა, ოთახში ჩაიკეთა და სლუკუნით ტიროდა, ბაბიზე დაყრდნობით: "გადმოვყარე ცრემლები... ტუჩები ჩამომეწია, ხმა დავკარგე... გაკვეთილზე რომ წავედი ხმა აღარ მქონდა..... დედის და ბავშვის ინფორმაციით ღამით ბაბის კოშმარები ესიზმდებოდა, ბაბი ყვება, რომ დედა და ბაბი დედის მამიდაშვილის სახლში იყვნენ, რომელიც უჩვეულოდ დიდი იყო და 2 ლეკვი ჰყავდათ და "ის" მოვიდა და უთხრა ჩემთან უნდა წამოხვიდეო, რაზეც ბაბის თითქოს უარი უთქვამს და მკლავი უჩვენებია,თან დაუყოლებია, რომ თუ არ წავიდოდა მას სცემდა. გადმოცემით სიზმარი იმით დასრულდა რომ ბიოლოგიური მამა ბავშვმა გააგდო სახლიდან. აღნიშნულის შემდგომ თითქოს ბაბი და დედა სახლში დაბრუნდნენ და ფანჯრები და კარებები ჩაკეტეს. გადმოცემით დედა ამბობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებიდან მეორე დილით (როცა ბაბიმ ეს სიზმარი ნახა) დილის 06:00-დან 07:00-მდე ბაბი დედასთან საძინებელში შემოვიდა და აუწყა რომ ლოგინი დაასველი შარდით. გადმოცემით ეს მხოლოდ მაშინ ხდება როცა ბაბი ძალიან ნერვიულობს, რაც სასამართლო პროცესების დაწყებისა თუ განახლების დროს ხშირად ხდება, დამატებით დედა აღნიშნავს რომ ამ პერიოდებში ბაბი წუხს, შფოთავს, ღელავს, მოსვენებას ვერ პოულობს და ხშირად უსმევს დედას კითხვას: "სასამართლოზე მე არ მივდივარ ხომ?!".

ბავშვის თამაშზე, ქცევებზე დაკვირვების შედეგები: ბარბარე ღიმილით მხვდება და მეხუტება,

სიხარულით ათვალიერებს ახალ სივრცესა და სათამაშოებს. ბაბი ინარჩუნებს პოზიტიურ კომუნიკაციას ამ თემის განხილვამდე, თუმცა აბსოლუტურად ესმის რა მოხდა, იმეორებს დედის, პედაგოგის თუ სხვა უფროსების რჩევა-დარიგებებს კონკურსების მომავალ შესაძლებლობებზე და ამით არეგულირებს ემოციებს, რითაც ინარჩუნებს პოზიტიურობას. ბაბი არ მოიხსენიებს კვლავ ბიოლოგიურ მამას სახელით და არ გამოხატავს არანაირ იმედს მამამ გადაწყვეტილება შეცვალოს, სასამართლოსთან დაკავშირებულ კითხვებზე გამოხატავს სასამართლოს დროულად დასრულების სურვილს და ელოდება მისი აზრის გათვალისწინებას. იგი დეტალურად აღწერს თუ როგორ გაიგო გადაწყვეტილების შესახებ, სად იყო, რა გააკეთა, რამდენ ხანში დამშვიდდა, რა დაესიზმრა იმ ღამით, რატომ დაესიზმრა (ეტყობა რომ ანალიზი თავად აქვს გაკეთებული სიზმრებთან დაკავშირებით, რადგან ამბობს რომ ის ესიზმრება პირდაპირ რისაც ეშინია), თხრობაში არის თანმიმდევრული და ლოგიკური, პერიოდულად შეეპარება მორიდებული ღიმილი საკუთარ თავზე ხუმრობისას (ესე "ვბღაოდი").

დასკვნა: მშობლის ინტერვიუს, ბავშვის ინტერვიუს და ბავშვის ქცევაზე, თამაშზე დაკვირვების საფუძველზე ვლინდება შფოთვითი ეპიზოდი, გართულებული ენურეზით სტრესის ფონზე რაც მიუთითებს ძლიერ ემოციურ სტრესსა და ფსიქოლოგიურ ტრამვაზე.

რეკომენდაციები:

- ✓ სასამართლოს მიერ ბავშვის ინტერესების სიღრმისეული შესწავლა (მხოლოდ ბავშვთან გასაუბრების საჭიროების შემთხვევაში მის ბუნებრივ გარემოში) და გადაწყვეტილებების მაქსიმალურად ბავშვის ინტერესებზე დაფუძნება.
- ✓ ბავშვის უფლებების გათვალისწინება
- ✓ ბავშვის განრიდება სასამართლო პროცესებისაგან
- ✓ სასამართლო პროცესის დროულად დასრულება

ბაბის დედის მოწვევით კერძო ფსიქოლოგის შეფასების დასკვნა

კლიენტის სახელი: ბაბი

დაბ. თარიღი:

ასაკი: 8 წლის

რესპოდენტები: დედა (თამარი) და ბავშვი

შეფასების პერიოდი: 07.09.2021-13.10.2021

შეფასების მეთოდი: დაკვირვება, ინტერვიუ მშობელთან/ბავშვთან

მომართვის მიზეზი და ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია: ფსიქოლოგთან მომართვის მიზეზი, რომელიც თერაპიის ფონზე მიმდინარეობს მეორე მშობლის მხრიდან. ამჯერად მომართვის მიზეზი გახდა ბაბის აგრესიული ქცევა ბიოლოგიურ მამასთან შეხვედრისას სოციალური მომსახურების სააგენტოში და ბავშვის მნიშვნელოვნად მომატებული შფოთვა, რომელსაც ყოველდღიურად ავლენს. გადმოცემით ბაბი მეტად აფორიაქებული და ადვილად ფეთქებადი გახდა. დედას ხვეწნა-მუდარით მიჰყავს ბიოლოგიურ მამასთან შეხვედრებზე, რადგან ბავშვს არ სურს აღნიშნულ შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება. ბოლო შეხვედრაზე კი გადმოცემით ბაბი მამას კივილით მიმართავდა, ხელს არტყამდა მაგიდაზე და ემუქრებოდა ბიოლოგიურ მამას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მას "საბუთს" არ მისცემდა თვალებს დათხრიდა, თავს ატახუნებინებდა მაგიდაზე, ყელს გამოსჭრიდა და ა.შ. დედის ინფორმაციით ბაბის აგრესია ამ მდგომარეობამდე არასოდეს ენახა. დედის ინფორმაციით რამდენჯერმე გამოვიდა ბაბი შეხვედრის ოთახიდან და სხვა დროსაც გამორბოდა ხოლმე შეხვედრებიდან, თუმცა დედა უკან აბრუნებდა ემოციური მხარდაჭერის ფონზე. დედის ძირითადი მღელვარების ორი ძირითადი მიზეზი შემდეგია: 1) ბაბიმ უნდა გააგრძელოს თუ არა ბიოლოგიურ მამასთან შეხვედრები ასეთი შფოთვისა და დაძაბულობის ფონზე და 2) რა ემოციური მდგომარეობა აქვს ბაბის ამჟამად და რა ინტერვენციაა საჭირო (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

ბავშვის თამაშზე, ქცევებზე დაკვირვების შედეგები: ბაბი ღიმილით შემოდის ოთახში და ათვალიერებს სათამაშოების კარადას, თბილად ეხუტება ფსიქოლოგს და ჯდება მითითებულ ადგილას. ადვილად აკეთებს არჩევანს და იწყებს თამაშს. ფსიქოლოგის შეთავაზებას მარტო დარჩეს ბავშვი მასთან ოთახში თანხმობის ჟესტითა და ღიმილით თანხმდება. დედის გასვლის შემდგომ აქტიურად პასუხობს ფსიქოლოგის მიერ დასმულ შეკითხვებს და აწყობს პაზლს. ბიოლოგიურ მამასთან შეხვედრებზე საუბრის დაწყებისთანავე ეწყება სხეულის(ხელები, ტანი) და ხმის კანკალი. ბარბარე ასევე ხსნის ხმის ჩახლეჩის მიზეზს და გადადის ჩურჩულით საუბარზე ფსიქოლოგის მიერ ამ კომუნიკაციის ფორმის შეთავაზების შემდგომ. ხშირად იჩეჩავს ბეჭებს "არ ვიცი" პასუხის დროს, ხმის ტემბრს უმატებს და თითქოსდა სიამაყით ყვება ბიოლოგიური მამის მისამართით განხოციელებულ მუქარებზე. პირდაპირ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას ყველა პირის მისამართით ვინც შეხვედრას ესწრებოდა. ბიოლოგიურ მამას მოიხსენიებს "იმ კაცად", ფსიქოლოგს ვიზუალურად აღწერს და ვერ იხსენებს სახელს, სავარაუდოდ, სოციალურ მუშაკს ფსიქოლოგის მეგობარს ეძახის, დედის ადვოკატს სახელით და სითბოთი იხსენიებს.

ბავშვის ინტერვიუსაგან მიღებული ინფორმაცია: ბაბი გადასცემს ფსიქოლოგს, რომ ბიოლოგი-

ურ მამასთან შეხვედრებით დაიღალა, აღწერს როგორ ნერვიულობს და არ იცის სასამართლო როდის მთავრდება, კითხვაზე მოსწონს თუ არა ბიოლოგიური მამა იჩეჩავს ბეჭებს და ამბობს, რომ მან მოატყუა რაღაცეები და საბუთს არ აძლევს, კითხვაზე თუ როგორ ფიქრობს უყვარს თუ არა ბიოლოგიურ მამას ამბობს: "ალბათ არ ვუყვარვარ". კითხვაზე მარტო შეხვდებოდი თუ არა ბიოლოგიურ მამას იჩეჩავს მხრებს. კითხვაზე აუცილებლობის შემთხვევაში თუ შეხვდებოდა მამას, ამბობს: "აუ შენ თუ იქნები ან დედის ადვოკატი“. კითხვაზე მამასთან შეხვედრაზე როგორ დაითანხმეს პასუხობს, რომ დედა ესაუბრება და არწმუნებს შეხვდეს ბიოლოგიურ მამას, ხოლო შეხვედრის წინ საუბრობს ზეწოლაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგისა და მისი მეგობრის მხრიდან (სოციალურ მუშაკი?) შესულიყო დედის ადვოკატის გარეშე და იხსენებს ფრაზებს: "აბა ჩვენ რომ გვეწყინება?! ჩვენ რომ გავბრაზდებით...". შეკითხვაზე რითი სურს დასრულდეს სასამართლო, პასუხობს: "საბუთი რომ მომცენ... იმ კაცს რომ აღარ შევხვდე.....

დასკვნა: მშობლის ინტერვიუს, ბავშვის ინტერვიუს და ბავშვის ქცევაზე, თამაშზე დაკვირვების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუარესებულია ბავშვის ემოციური მდგომარეობა და სახეზეა შფოთვითი აშლილობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გამოხატული კლინიკური ნიშანი (პანიკური ისტერიული ქცევებით) ბავშვი აუცილებლად საჭიროებს მშვიდ გარემოს და თერაპიას.

რეკომენდაციები:

- დროებით ბიოლოგიურ მამასთან შეხვედრების შეწყვეტა
- შეწყვეტის პროცესში ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა
- ფსიქოლოგის/ფსიქოთერაპევტის ინდივიდუალური მუშაობის გაგრძელება ბავშვთან

ლელა

ლევანის წინააღმდეგ

სარჩევი

- კაზუსი
- მოსარჩელე ლელა ფარიაშვილის ახსნა-განმარტება
- მოპასუხე ლევან ზურმუხტიშვილის ახსნა-განმარტება
- ქორწინების მოწმობა
- ნასყიდობის ხელშეკრულება
- 2017 წლის 7 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერი.
- 2018 წლის 16 სექტემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება მორიგების აქ-ტის დამტკიცების შესახებ.
- 2018 წლის 20 მაისის ჩუქების ხელშეკრულება
- 2018 წლის 20 მაისის საჯარო რეესტრის ამონაწერი
- 2018 წლის 15 ივნისის ჩუქების ხელშეკრულება
- 2018 წლის 15 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერი
- ლევან ზურმუხტიშვილის 2015-2017 წლის საბანკო ამონაწერი

კაზუსი

2013 წლის 12 ნოემბერს **ლელა ფარიაშვილმა** და **ლევან ზურმუხტიშვილმა** მათი ქორწინება დაარეგისტრირეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქ. ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში.

ქორწინების განმავლობაში მეუღლეებს შეეძინათ ორი შვილი, 2015 წლის 5 ივნისს **ნიკოლოზ ზურმუხტიშვილი** და 2016 წლის 25 დეკემბერს **მათე ზურმუხტიშვილი**.

მეუღლეებმა თანაცხოვრების პერიოდში, 2017 წლის 7 თებერვალს, შეიძინეს საცხოვრებელი ბინა მდებარე **ქ. ქუთაისში მებუკის ქუჩა N22**- ში, რომელშიც გადაიხადეს **45 700 დოლარი.** აღნიშნული ბინა გაარემონტეს, კეთილმოაწყვეს და შემოსავლის მიღების მიზნით გააქირავეს. 2018 წლიდან მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. 2018 წლის გაზაფხულზე ლევანმა ლელას განუცხადა, რომ მასთან ცხოვრება აღარ უნდოდა და დაატოვებინა ბინა. 2018 წლის მაისის თვეში ისევ შერიგდნენ, თუმცა ივნისის თვეში ისევ დაეძაბათ ურთიერთობა.

2018 წლის 15 ივლისს ლელა ფარიაშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით, რაზედაც სასამართლოში, მხარეებს შორის შედგა მორიგების აქტი და ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 სექტემბრის განჩინებით, ლევან ზურმუხტიშვილს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ. ვინაიდან ლევანს იმ პერიოდში შემოსავალი არ ჰქონდა, ლელამ შესთავაზა ალიმენტის თანხა აეღო გაქირავებული სახლის ქირიდან, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ ბინა ლევანის დის ინგას საკუთრებაში ირიცხებოდა.

ლევანმა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა საკუთრების უფლება დას - მაიას, რომელიც 2018 წლის 20 მაისს დარეგისტრირდა ამავე უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. 2018 წლის 15 ივნისს კი მაია ზურმუხტიშვილმა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ბინაზე საკუთრება გადასცა მის დას ინგა ზურმუხტიშვილს.

2019 წლის მარტში ლელა ფარიაშვილმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ლევან ზურმუხტიშვილისთვის გასხვისებული უძრავი ქონებიდან თანასაკუთრების ღირებულების **2/3-ის - 26900 ლარის** დაკისრება, ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სადაო ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, რომელიც მეორე მეუღლემ მისი ნებართვის გარეშე განკარგა, რის გამოც მას ზიანი მიადგა.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარდგენილ იქნა შესაგებელი, ლევან ზურმუხტიშვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადაო ბინის რეალურ მყიდველს და მესაკუთრეს წარმოადგენდა მისი და - მაია ზურმუხტიშვილი, რომელიც მუშაობდა საბერძნეთში და 2015 წლიდან - 2017 წლამდე მუდმივად უგზავნიდა მოპასუხეს ფულად თანხებს, რათა ამ უკანასკნელს მაიასთვის შეეძინა ბინა. მოპასუხის განმარტებით აღნიშნული დასტურდება ლევანის საბანკო ამონაწერით. ამდენად, მოპასუხე ამ ურთიერთობაში იყო მხოლოდ ფორმალური მესაკუთრე. ქონება მის სახელზე მხოლოდ იმიტომ აღირიცხა, რომ მისი რეალური მესაკუთრე იმყოფებოდა საზღვარგარეთ.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ ამ ქონების გადაფორმება მის დაზე მოხდა ლელასთან ქორწინების განმავლობაში და ეს ფაქტი ცნობილი იყო მოსარჩელისთვის, რომელსაც არანაირი პრეტენზია არ გამოუხატავს.

მოპასუხე ასევე უთითებს, რომ 2018 წლის 20 მაისის ჩუქების ხელშეკრულებიდან დაახლოე-

ბით ორი თვის შემდეგ, 2018 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომლის შესაბამისად ლელასა და ლევანს შორის შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება. აღნიშნულით დასტურდება, რომ ქონების გასხვისება მოხდა მხარეთა რეგისტრირებულ ქორწინების დროს და ბინა მეუღლეთა თანასაკუთრება რომც ყოფილიყო, მისი განკარგვაც მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში მოხდა. ბინის როგორც შეძენის, ასევე გასხვისების ფაქტი ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. წარმოდგენილი შესაგებლით ლევან ზურმუხტიშვილი სარჩელს არ ცნობს, მიუთითებს რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოსარჩელე

ლელა ფარიაშვილის

ახსნა-განმარტება

მოგახსენებთ, რომ 2013 წლის 12 ნოემბერს მე, ლელა ფარიაშვილმა და მოპასუხე ლევან ზურმუხტიშვილმა ვიქორწინეთ. ქორწინების პერიოდში შეგვეძინა ორი შვილი, 2015 წლის 5 ივნისს ნიკოლოზ ზურმუხტიშვილი და 2016 წლის 25 დეკემბერს მათე ზურმუხტიშვილი.

2017 წლის 7 თებერვალს, მე და ლევანმა შევიძინეთ საცხოვრებელი ბინა ქ. ქუთაისში მებუკის ქუჩა N22- ში, რომელშიც გადავიხადეთ 45 700 დოლარი. აღნიშნული ბინა გავარემონტეთ, კეთილმოვაწყვეთ და შემოსავლის მიღების მიზნით გავაქირავეთ. გაქირავების შედეგად მიღებულ თანხას ოჯახის საჭიროებისამებრ ვიყენებდით. 2018 წლიდან ჩემსა და ლევანს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ვეღარ ვეწყობოდით და ხშირად მოგვდიოდა უთანხმოება. 2018 წლის გაზაფხულზე ლევანმა განმიცხადა, რომ ჩემთან ცხოვრება აღარ უნდოდა და დამეტოვებინა ბინა. მიუხედავად ამისა, ლევანის თხოვნის საფუძველზე, 2018 წლის მაისის თვეში ისევ შევრიგდით და თანაცხოვრება განვაგრძეთ, თუმცა ივნისის თვეში ისევ დაგვეძაბა ურთიერთობა.

იქედან გამომდინარე, რომ თანაცხოვრება შეუძლებელი იყო 2018 წლის 15 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შევიტანე სარჩელი განქორწინებისა და ალიმენტის დანიშვნის მოთხოვნით. საქმის მიმდინარეობისას მხარეები მოვრიგდით. მორიგების აქტი დამტკიცდა 2018 წლის 16 სექტემბრის სასამართლოს განჩინებით. მე და ლევანი განვქორწინდით, ბავშვების მამას დაეკისრა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა.

ჩემთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ლევანს იმ პერიოდში უმუშევარობის გამო არ ჰქონდა სტაბილური შემოსავალი, ამიტომ შევთავაზე ალიმენტის ღირებულების გადახდა გაქირავებული ბინიდან მიღებული თანხით მომხდარიყო, რა დროსაც აღმოვაჩინე, რომ ბინა ლევანის დის ინგას საკუთრებაში ირიცხებოდა.

როგორც ჩემთვის შემდგომში გახდა ცნობილი, ლევანმა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა საკუთრების უფლება დას - მაიას, რომელიც 2018 წლის 20 მაისს დარეგისტრირდა ამავე უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, 2018 წლის 15 ივნისს კი მაია ზურმუხტიშვილმა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ბინაზე საკუთრება გადასცა მის დას ინგა ზურმუხტიშვილს.

აღნიშნული ბინა მე და ჩემმა ყოფილმა მეუღლემ, ლევან ზურმუხტიშვილმა შევიძინეთ ერთობლივად რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში. სადაო ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, რომელიც მეორე მეუღლემ მისი ნებართვის გარეშე განკარგა, რის გამოც მას ზიანი მიადგა.

მოპასუხე ნებაყობლობით არ ანაზღაურებს დამდგარ ზიანს, სწორედ ამიტომ წარმოვადგენ სასამართლოში სარჩელს და ვითხოვ:

მოპასუხე, ლევან ზურმუხტიშვილს, დაეკისროს გასხვისებული უძრავი ქონებიდან თანასაკუთრების ღირებულების 2/3 - 26900 ლარის გადახდა.

მოპასუხე

ლევან ზურმუხტიშვილის

ახსნა-განმარტება

მოგახსენებთ, რომ სადაო ბინის რეალურ მყიდველს და მესაკუთრეს წარმოადგენდა ჩემი და - მაია ზურმუხტიშვილი, რომელიც მუშაობდა საბერძნეთში და 2015 წლიდან - 2017 წლამდე მუდმივად მიგზავნიდა ფულად თანხებს, რათა მისთვის ბინა შემეძინა. მაიას მიერ ჩემთვის თანხის გადმორიცხვა დასტურდება ჩემი 2015-2017 წლის საბანკო ამონაწერით.

ამდენად, მე ამ ურთიერთობაში ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური მესაკუთრე. ქონება ჩემს სახელზე მხოლოდ იმიტომ აღირიცხა, რომ მისი რეალური მესაკუთრე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ამის შესახებ ჩვეულებრივ ლელასთვისაც იყო ცნობილი. თანაცხოვრების პერიოდში შევიძინეთ ეს ბინა მაიასთვის და ისიც იცოდა, რომ როცა ჩემი და საქართველოში ჩამოვიდოდა მისთვის უნდა გადამეცა საკუთრების უფლება ჩუქების საფუძველზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქონების გადაფორმება ჩემს დაზე მოხდა ლელასთან ქორწინების განმავლობაში და ეს ფაქტი ცნობილი იყო მოსარჩელისთვის, რომელსაც არანაირი პრეტენზი არ გამოუხატავს. უფრო მეტიც, სანამ ჩუქების ხელშეკრულების გასაფორმებლად წავიდოდით, მაია ჩემთან იმყოფოდა სახლში, თვითონვე გამოგვაცილა სახლიდან. ამ ფაქტის დადასტურება მაიას შეუძლია.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ 2018 წლის 20 მაისის ჩუქების ხელშეკრულებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, 2018 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომლის შესაბამისად ჩემსა და ჩემს ყოფილ მეუღლეს შორის შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება. აღნიშნულით დასტურდება, რომ ქონების გასხვისება მოხდა მხარეთა რეგისტრირებულ ქორწინების დროს და ბინა მეუღლეთა თანასაკუთრება რომც ყოფილიყო, მისი განკარგვაც მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში მოხდა. ბინის როგორც შეძენის, ასევე გასხვისების ფაქტი ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელს არ ვცნობ, მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მაია ზურმუხტიშვილის

ჩვენება

მე გახლავართ მაია ზურმუხტიშვილი, ლევან ზურმუხტიშვილის და. მოგახსენებთ, რომ დიდი ხანია ვცხოვრობ საბერძნეთში, ვარ დასაქმებული და საქართველოში ხშირად ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. ჩემი ანაზღაურება მაძლევს საშუალებას ვიფიქრო უძრავი ქონების შეძენაზე. 2015 წელს გადავწყვიტე თანხის შეგროვება იმისთვის რომ ბინა შემეძინა ქუთაისში. მე დაოჯახებული არ გახლავართ, უახლოესი ოჯახის წევრები რომლებიც მყავს ჩემი და-ძმა ლევანი და ინგა არიან.

მოგეხსენებათ, რომ ემიგრანტისთვის რთულია ყოველთვიური ანაზღაურების დანაზოგად ქცევა, რადგან უცხო ქვეყანაში ცხოვრება სხვადასხვა სირთულეებთანაა დაკავშირებული. გადავწყვიტე ჩემი ძმისთვის ლევანისთვის გამომეგზავნა თანხა, რომელიც შემიგროვებდა ბინისთვის საჭირო ფულს. ამიტომ 2015 წლიდან 2017 წლამდე სისტემატიურად ვუგზავნიდი ჩემს ძმას. ამ პერიოდის განმავლობაში ლევანის მიერ შეგროვილმა თანხამ 45 700 დოლარი შეადგინა.

ლევანმა ჩემი ჩართულობით შეარჩია ბინა ქ. ქუთაისში მებუკის ქუჩა N22-ში და 2017 წლის 7 თებერვალს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაიფორმა იგი. მე ჩემს ძმას და მის ოჯახს სრულად ვენდობოდი, ამიტომ ქონების მესაკუთრედაც ლევანი დარეგისტრირდა. ყველასთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ როცა საქართველოში ჩამოვიდოდი ლევანს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უნდა გადმოეცა საკუთრების უფლება აღნიშნულ ბინაზე.

2018 წლის გაზაფხულზე საბერძნეთიდან საქართველოში დავბრუნდი. ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად ვსტუმრობდი ჩემს ძმას და რძალს. სწორედ იმ დღეს, 2018 წლის 20 მაისს, სანამ საჯარო რესტრში წავიდოდით, ლელაც ჩვენთან ერთად იყო და იცოდა იმის შესახებ თუ სად მივდიოდით. 2018 წლის 20 მაისს რეესტრში დავრეგისტრირდი ბინის მესაკუთრედ.

15 ივნისი არის ჩემი დის ინგას დაბადების დღე. 2018 წელს 15 ივნისს იგი გახდა 50 წლის. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გადავწყვიტე მისთვის გრანდიოზული საჩუქარი გამეკეთებინა. ინგა დაოჯახებულია, ჰყავს ორი შვილი, თუმცა არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა რომ ბინა შეიძინოს. თავადაც დასაქმებულია, ბევრს შრომობს რომ ბავშვები უზრუნველყოს საცხოვრებელი პირობებით. ჩემი და ცხოვრობს ქირით. ყოველთვის მინდოდა მისი შრომის შემსუბუქება და გახარება, ამიტომ გადავწყვიტე ბინა მეჩუქებინა. როგორც უკვე ვახსენე, ვარ მარტოხელა და მაქვს იმის შესაძლებლობა შევიძინო კიდევ ერთი სახლი. 2018 წლის 15 ივნისს, ინგას დაბადების დღეზე ვაჩუქე ბინა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მესაკუთრედ.

როგორც მოგახსენეთ, აღნიშნული ბინა იყო ჩემი, ლევანი იყო მხოლოდ ფორმალური მესაკუთრე სანამ მე საბერძნეთიდან საქართველოში დავბრუნდებოდი. ამიტომ ჩვეულებრივ მქონდა ჩემი კუთვნილი ქონებით სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

საქართველო **N 00000000000**

ქორწინების მოწმობა

ქალი ქორწინების თარიღი | 12.11.2013

სახელი | ლელა რეგისტრაციის თარიღი |12.11.2013

გვარი| ფარიაშვილი აქტის ჩანაწერი

დაბადების თარიღი |

დაბადების ადგილი | **ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ**

პირადი ნომერი| 00000000000 **მიკუთვნებული გვარები**

მოქალაქეობა | საქართველო

ცოლს | ფარიაშვილი

მამაკაცი ქმარს | ზურმუხტიშვილი

სახელი | ლევან მოწმობის

გვარი | ზურმუხტიშვილი

გაცემის თარიღი |

დაბადების თარიღი | მოწმობის

დაბადების ადგილი | გამცემი ორგანო|

პირადი ნომერი | 00000000000

მოქალაქეობა | საქართველო

უფლებამოსილი

პირის ხელმოწერა

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება

ქალაქი ქუთაისი 07.02. 2017 წელი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებმა:

xxxxxx. xxxxxxxxxxxxxxxxx (პირადი № .....)
გამყიდველის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „გამყიდველი", გაყიდა და

ლევან ზურმუხტიშვილი (პირადი№ .....),
მყიდველის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მყიდველი", იყიდა გამ-ყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი.

ხელშეკრულების საგნის აღწერა:

მისამართი:.ქ. ქუთაისი მებუკის ქ. N22

საკადასტრო კოდი: .....
ფართობი(სრულად):.75 მ²

ნასყიდობის საგანზე გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №.....
განაცხადის რეგისტრაციის თორმეტნიშნა ნომერი

მომზადების თარიღი ..07./.02./..2017. წელი.

ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა

45700 დოლარი - ორმოცდახუთი ათას შვიდასი დოლარი
ნასყიდობის საგნის საფასური (ციფრებით და სიტყვიერად)

რომელიც მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი.

ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, იგი ნივთობრივად უნაკლოა და მყიდველმა მოიწონა მისი მდგომარეობა და ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი აღმოჩნდება უფლებრივად ან ნივთობრივად სხვა ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. მყიდველს არ წარმოეშვება უფლებები ამ ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა პირობების მიმართ მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ხოლო მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

გამყიდველი...../.....
გამყიდველის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

მყიდველი.- ლევან ზურმუხტიშვილი. / ლ.ზურმუხტიშვილი /
მყიდველის სახელი და გვარი გარკვევით

ხელმოწერა

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 000000000000

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია		მომზადების თარიღი
N 0000000000	- 07/02/2017	07/02/2017

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქუთაისი			
00	00		

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1800 მ²

მისამართი: ქალაქი ქუთაისი მებუკის ქუჩა N 22
საკუთრების ტიპი: თანააკუთრება

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 00000000 , თარიღი 07/02/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:07/02/2017 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტო

მესაკუთრეები:

ლევან ზურმუხტიშვილი პ/ნ: 00000000000.

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი	ფართი
ლევან ზურმუხტიშვილი პ/ნ: 0000000	საკუთრება	75 მ²

იპოთეკა/ საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმის წარმოების შეწყვეტის და

მხარეთა მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ

16 სექტემბერი, 2018 წელი **ქ.ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე : .....

მოსარჩელე: ლელა ფარიაშვილი

მოპასუხე: ლევან ზურმუხტიშვილი

დავის საგანი: განქორწინება და ალიმენტის დაკისრება

განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენით

აღწერილობითი ნაწილი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 ივლისს ლელა ფარიაშვილმა სარჩელით მომართა სასამართლოს მოპასუხე ლევან ზურმუხტიშვილთან განქორწინებისა და მის მიმართ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

სასამართლოს წინაშე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი, რომლის თანახმად მოსარჩელე და მოპასუხე თანხმდებიან განქორწინებაზე. ასევე ლევან ზურმუხტიშვილი თანახმაა დაეკისროს თითოეული ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის სახით 200-200 ლარის ოდენობით სრულწლოვანების მიღწევამდე.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ შეამოწმა აქტის კანონიერება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლელა ფარიაშვილის მიერ წარდგენილ სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;
2. დამტკიცდეს მხარეთა მორიგების აქტი;
3. ლელა ფარიაშვილსა და ლევან ზურმუხტიშვილს შორის 2013 წლის 12 ნოემბერს რეგის-ტრირებული ქორწინება შეწყდეს განქორწინებით;
4. მოპასუხე ლევან ზურმუხტიშვილს დაეკისროს ალიმენტის გადახდა ნიკოლოზ და მათე ზურმუხტიშვილების სასარგებლოდ თითოეულ ბავშვზე 200-200 ლარის ოდენობით სრულწლოვანების მიღწევამდე;
5. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 12 (თორმეტი) დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე

უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება

ქალაქი ქუთაისი **20 მაისი, 2018 წელი**

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

ლევან ზურმუხტიშვილი (პირადი № .....
მჩუქებლის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც ,,მჩუქებელი,''

აჩუქა და მაია ზურმუხტიშვილი (პირადი № .....),
დასაჩუქრებულის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც ,,დასაჩუქრებული,'' მიიღო მჩუქებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი.

ხელშეკრულების საგნის აღწერა:

მისამართი: ქ. ქუთაისი, მებუკის ქუჩა, N22

საკადასტრო კოდი: .....

ფართობი(სრულად):75 $მ^2$

(ეს გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანია მთელი უძრავი ნივთი)

აღნიშნული უძრავ ნივთზე მჩუქებლის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან

№..0000000000000000 მომზადების თარიღი 20/05/2018 წელი
განაცხადის რეგისტრაციის თორმეტნიშნა ნომერი

ჩუქების საგანი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა.

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს ჩუქების საგნის ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად. ხოლო მხარეთა შორის დავის

წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

მჩუქებელი.....ლევან ზურმუხტიშვილი...../ლ.ზურმუხტიშვილი/
მჩუქებლის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

დასაჩუქრებული.....მაია ზურმუხტიშვილი...../მ.ზურმუხტიშვილი/
დასაჩუქრებულის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 000000000000

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 0000000000 - 20/05/2018	20/05/2018

საკუთრების განყოფილება

ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი
ქუთაისი
00 00
მისამართი: ქალაქი ქუთაისი მებუკის ქუჩა N 22
საკუთრების ტიპი: თანააკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1800 მ²

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 00000000 , თარიღი 20/05/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:20/05/2018 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სა-მინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტო

მესაკუთრეები:

მაია ზურმუხტიშვილი პ/ნ: 00000000000.

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი	ფართი
მაია ზურმუხტიშვილი პ/ნ: 00000000000	საკუთრება	75 მ²

იპოთეკა/ საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება

ქალაქი ქუთაისი 15 ივნისი, 2018 წელი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

მაია ზურმუხტიშვილი (პირადი № .....)
მჩუქებლის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც ,,მჩუქებელი,''

აჩუქა და ინგა ზურმუხტიშვილი (პირადი № .....),
დასაჩუქრებულის სახელი და გვარი

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც ,,დასაჩუქრებული,'' მიიღო მჩუქებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი.

ხელშეკრულების საგნის აღწერა:

მისამართი: ქ. ქუთაისი, მებუკის ქუჩა, N22

საკადასტრო კოდი: .....
ფართობი(სრულად):75 $მ^2$
(ეს გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანია მთელი უძრავი ნივთი)

აღნიშნული უძრავ ნივთზე მჩუქებლის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან

№..0000000000000000 მომზადების თარიღი 15/06/2018 წელი
განაცხადის რეგისტრაციის თორმეტნიშნა ნომერი

ჩუქების საგანი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა.

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს ჩუქების საგნის ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად. ხოლო მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

მჩუქებელი.....მაია ზურმუხტიშვილი...../მ.ზურმუხტიშვილი/
მჩუქებლის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

დასაჩუქრებული.....ინგა ზურმუხტიშვილი...../ი.ზურმუხტიშვილი/
დასაჩუქრებულის სახელი და გვარი გარკვევით ხელმოწერა

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტროკოდი **N 000000000000**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	**მომზადების თარიღი**
N 0000000000 - 15/06/2018	**15/06/2018**

საკუთრების განყოფილება

ზონა **სექტორი** **კვარტალი ნაკვეთი**
ქუთაისი
00 **00**
მისამართი: ქალაქი ქუთაისი მებუკის ქუჩა N 22
საკუთრების ტიპი: თანააკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1800 მ²

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 00000000 , თარიღი 15/06/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:15/06/2018 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტო

მესაკუთრეები:

ინგა ზურმუხტიშვილი პ/ნ: 00000000000.

მესაკუთრე:	**საკუთრების ტიპი**	**ფართი**
ინგა ზურმუხტიშვილი პ/ნ: 0000000	**საკუთრება**	**75 მ²**

იპოთეკა/ საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

თარიღი	ტრანზაქციის კოდი	ტიპი	ანგარიშის მესაკუთრე	გადმომრიცხავი	Amount
მაისი 4, 2015	473135592	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	5000
მაისი 15, 2015	473135591	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
აპრილი 27, 2015	472643508	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	5000
ივნისი 27, 2015	472643507	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
ივლისი 27, 2015	471201968	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	4000
აგვისტო 27, 2015	471201967	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
იანვარი 20, 2016	470754094	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	2000
მარტი 20, 2016	470754093	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
აპრილი 20, 2016	469294367	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
მაისი 20, 2016	469294366	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	2000
აგვისტო 13, 2016	468865931	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	3000
ოქტომბერი 13, 2016	468865930	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	2000
ნოემბერი 13, 2016	467358384	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	1000
ნოემბერი 27, 2016	467358383	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	1700
დეკემბერი 9, 2016	467468938	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	2000
დეკემბერი 28, 2016	467468937	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	2000
იანვარი 15, 2017	466642557	ჩარიცხვა	ლევან ზურმუხტიშვილი	მაია ზურმუხტიშვილი	1000

ანა ერეკლეს წინააღმდეგ

სარჩევი

- კ ა ზ უ ს ი
- მოსარჩელე მხარის, ანას ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა
- მოპასუხე მხარის, ერეკლეს ახსნა-განმარტება, შესაგებელი ანას სარჩელზე და შეგებებუ-ლი სარჩელის სასარჩელო მოთხოვნები
- თეკლას ახსნა-განმარტება
- ქორწინების მოწმობა
- გვანცას დაბადების მოწმობა
- თეკლას დაბადების მოწმობა
- თამარის დაბადების მოწმობა
- განქორწინების მოწმობა
- თბილისი, წყნეთი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- თბილისის ბინა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- საგურამოს აგარაკი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- თეკლას ბაღში რეგისტრაციის ჩანაწერი
- გვანცას ბაღში რეგისტრაციის ჩანაწერი
- სამკვიდრო მოწმობა
- საშემფასებლო დოკუმენტი - დასკვნა წყნეთის აგარაკზე
- სესხის ხელშეკრულება
- სოციალური მუშაკის დასკვნა - 1
- სოციალური მუშაკის დასკვნა - 2

კაზუსი

2012 წლის 27 აგვისტოს, ანამ და ერეკლემ მათი ქორწინება გაატარეს რეგისტრაციაში. 2013 წლის 5 სექტემბერს ანასა და ერეკლეს შეეძინათ ტყუპები-გვანცა და თეკლა. იმის გამო, რომ ანა და ერეკლე ვიწროდ ცხოვრობდნენ და ბავშვებს სივრცე სჭირდებოდათ, მათ შეიძინეს ბინა ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში იპოთეკით. ანას სამსახურიდან წამოსვლა მოუწია, რადგან იგი ვეღარ ახერხებდა ბავშვებისათვის სათანადო ყურადღების მიქცევას, ამის შემდგომ, იპოთეკის საფასურის გადახდა მთლიანად ერეკლეს მოუწია. 2015 წლის მაისში მან სრულად დაფარა იპოთეკა და ბინა გაფორმდა მის სახელზე.

ამავე წლის ივლისში, ერეკლეს ბებია გარდაეცვალა, რომელმაც მას მემკვიდრეობით წყნეთის აგარაკი დაუტოვა. აღნიშნული აგარაკის გასარემონტებლად, ანამ თავისი დანაზოგი გადასცა ერეკლეს, რათა სარემონტო მასალები შეეძინა.

2015 წლის დეკემბერში, ანასა და ერეკლეს შორის მოხდა უსიამოვნება, რის შედეგადაც ისინი განქორწინდნენ, თუმცა ისინი ამის შემდგომ მაინც განაგრძობდნენ იმავე ბინაში, თანაცხოვრებას, 2016 წლის ბოლოს, მათ კიდევ ერთი გოგონა-თამარი შეეძინათ.

ამავე წელსვე ერეკლემ კერძო სახლი შეიძინა სოფ. საგურამოში, ვინაიდან ანას და მას ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბათ, ანა შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა საგურამოში. ბავშვებმა ბაღში სიარული დაიწყეს საგურამოს საბავშვო ბაღში.

2017 წლის ბოლოს, ანამ სარჩელი აღძრა ერეკლეს წინააღმდეგ და სასამართლოსგან მოითხოვა, ბავშვების საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრულიყო დედის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ვინაიდან ერეკლე მას არ აქცევდა სათანადო ყურადღებას და ბავშვს ერეკლეს დედა ზრდიდა. აგრეთვე, ანამ მოითხოვა ბინის 2/3 ნაწილის მის საკუთრებაში გადაცემა, რადგან ის 3 ბავშვთან ერთად უნდა ყოფილიყო, აგრეთვე წილი მოითხოვა წყნეთის აგარაკსა და საგურამოს სახლზე, ამასთანავე ანამ სასამართლოს მოსთხოვა ერეკლესათვს ალიმენტის დაკისრება თვეში 400 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.

ერეკლე არ დაეთანხმა სარჩელს და განაცხადა, რომ ის ქონებას ანას არ გაუყოფდა, ვინაიდან იგი ბინის იპოთეკის ხარჯებს თავად იხდიდა, აგრეთვე არ გაუყოფდა არც წყნეთის აგარაკს, ვინაიდან ის მან მიიღო ბებიასაგან მემკვიდრეობით და შესაბამისად იგი იყო მისი ინდივიდუალური საკუთრება, აგრეთვე, არ გადასცემდა მას გასაყოფად საგურამოს სახლს, ვინაიდან როგორც მან განაცხადა სახლი შეიძინა მაშინ, როდესაც ისინი უკვე განქორწინებულები იყვნენ და მან ალიმენტის გადახდაზეც უარი განაცხადა.

ერეკლემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ბავშვების საცხოვრებელი ადგილის მასთან განსაზღვრა, იმ მოტივით, რომ ბავშვები უკვე საბავშვო ბაღში დადიოდნენ საგურამოში და მათთვის გარემოს გამოცვლა სტრესი იქნებოდა, ასევე მან განაცხადა, რომ ბავშვებს მასთან აქვთ ძალიან კარგი ურთიერთობა და მათთვის უმჯობესი იქნება მასთან ცხოვრება, რადგან ანას აქვს ძალიან დატვირთული სამუშაო გრაფიკი, ხოლო მას აქვს თავისუფალი გრაფიკი.

მოსარჩელე მხარის, ანას ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა

2012 წლის 27 აგვისტოს მე და ერეკლემ ვიქორწინეთ. 2013 წლის 5 სექტემბერს შეგვეძინა ტყუპები-გვანცა და თეკლა. იმის გამო, რომ ვიწროდ ვცხოვრობდით და ბავშვებს სივრცე სჭირდებოდათ, შევიძინეთ ბინა ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში იპოთეკით. გამომდინარე იქიდან, რომ შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ ვუთმობდი იძულებული გავხდი სამსახურიდან წამოვსულიყავი. ამის შემდგომ, იპოთეკის საფასურის გადახდა მთლიანად ერეკლეს მოუწია. 2015 წლის მაისში მან სრულად დაფარა იპოთეკა და ბინა გაფორმდა მის სახელზე.

ამავე წლის ივლისში, ერეკლეს ბებია გარდაეცვალა, რომელმაც მას მემკვიდრეობით წყნეთის აგარაკი დაუტოვა. აღნიშნული აგარაკის გასარემონტებლად, მე საკუთარი დანაზოგი გადავეცი ერეკლეს, რათა სარემონტო მასალები შეეძინა.

2015 წლის დეკემბერში, ჩემსა და ერეკლეს შორის ისევ მოხდა უსიამოვნება, რის გამოც ჩვენ განვქორწინდით, თუმცა ამის შემდგომ მაინც განვაგრძეთ იმავე ბინაში თანაცხოვრება. 2016 წლის ბოლოს, ჩვენ კიდევ ერთი გოგონა-თამარი შეგვეძინა.

ამავე წელსვე ერეკლემ კერძო სახლი შეიძინა სოფ. საგურამოში, ვინაიდან ჩემსა და ერეკლეს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, მე შვილებთან ერთად იძულებული გავხდი საცხოვრებლად საგურამოში გადავსულიყავი. ბავშვებმა ბაღში სიარული დაიწყეს საგურამოს საბავშვო ბაღში.

ერეკლე თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას. ის არ იჩენს საკმარის მზრუნველობას შვილების მიმართ, არ ეხმარება მათ მატერიალურად. როდესაც შვილები მიჰყავს თავისთან, ბავშვებზე ზრუნავს არა თავად ერეკლე, არამედ ბავშების ბებია.

სასარჩელო მოთხოვნა

1. ბავშვების საცხოვრებელი ადგილად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი.

2. ვითხოვ ბინის 2/3 ნაწილის მის საკუთრებაში გადაცემას, რადგან 3 ბავშვთან ერთად უნდა ვიცხოვრო

3. ვითხოვ 2/3 ნაწილს წყნეთის აგარაკიდან

4. ვითხოვ 2/3 წილს საგურამოს სახლზე, ვინაიდან ის ჩვენი ფაქტობრივი თანაცხოვრების დროს არის შეძენილი

4. სასამართლოს ვთხოვ ერეკლეს დააკისროს ალიმენტი თვეში 400 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.

მოპასუხე მხარის ერეკლეს ახსნა-განმარტება, შესაგებელი ანას სარჩელზე და შეგებებული სარჩელის სასარჩელო მოთხოვნები

მე და ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ანამ მართლაც ვიქორწინეთ 2012 წლის 27 აგვისტოს 2013 წლის 5 სექტემბერს შეგვეძინა ტყუპები-გვანცა და თეკლა. იმის გამო, რომ ვიწროდ ვცხოვრობდით და ბავშვებს სივრცე სჭირდებოდათ, შევიძინეთ ბინა ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში იპოთეკით. გამომდინარე იქიდან, რომ ანა შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდა, ტყუპები კი ძალიან პატარები იყვნენ, ჩვენი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამსახურიდან წამოვიდა. ნამდვილად დასაფასებელია ჩემი მეუღლის მხრიდან ეს ქმედება, მაშინ, როდესაც მე დილიდან-საღამომდე ვშრომობდი ოჯახის ფინანსური კუთხით უზრუნველსაყოფად, ის ძალას არ იშურებდა ბავშვების აღსაზრდელად. ბინის იპოთეკის ხარჯები სრულად დავფარე და 2015 წლის მაისში ჩემს სახელზეც დავირეგისტრირე.

2015 წლის ივლისში, ბებია გარდამეცვალა, მან მემკვიდრეობით წყნეთის აგარაკი დამიტოვა. აღნიშნული აგარაკის გასარემონტებლად, ანამ საკუთარი დანაზოგი გადმომცა, რათა სარემონტო მასალები შემეძინა.

2015 წლის დეკემბერში, ჩემსა და ანას შორის ისევ მოხდა უსიამოვნება, რის გამოც განვქორწინდით, თუმცა ამის შემდგომ მაინც განვაგრძეთ იმავე ბინაში თანაცხოვრება. 2016 წლის ბოლოს, ჩვენ კიდევ ერთი გოგონა-თამარი შეგვეძინა.

ამავე წელსვე მე კერძო სახლი შევიძინე სოფ. საგურამოში, ვინაიდან ჩემსა და ანას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, ანა შვილებთან ერთად საცხოვრებლად საგურამოში გადავიდა. დღემდე ბავშვების ყველა მატერიალურ საჭიროებას მე ვუზრუნველყოფ. ბავშვებმა ბაღში სიარული დაიწყეს საგურამოს საბავშვო ბაღში.

გავიგე, რომ ანამ სარჩელით მიმართა სასამართლოს. მე არ ვეთნხმები ანას არცერთ სასარჩელო მოთხოვნას. იგი მედავება წილს წყნეთის აგარაკიდან. მართალია ანამ მისი დანაზოგი მომცა, რათა სარემონტო მასალები შემეძინა, მაგრამ თანხის ოდენობა იყო მიზერული. წყნეთის აგარაკი არის ჩემი ინდივიდუალური საკუთრება, შესაბამისად ანას მოთხოვნა ლეგიტიმური არ არის და არავითარ შემთვევაში არ ვაპირებ აგარაკიდან წილი მივცე. ასევე, არ ვაპირებ 2/3 წილის მიცემას თბილისის ბინიდან და 2/3 წილის მიცემას საგურამოს კერძო სახლიდან. თბილისის ბინის იპოთეკის ხარჯები სრულად დავფარე მე, ხოლო საგურამოს სახლი განქორწინების შემდეგ არის შეძენილი, ამიტომ ანას მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

ასევე, არ ვეთანხმები ანას სასარჩელო მოთხოვნას ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით, მე იმაზე გაცილებით მეტ თანხას ვუგზავნი ბავშვებს, ვიდრე ამას ანა სარჩელში ითხოვს, გარდა ამისა მე სასამართლოს მივმართე შეგებებული სარჩელით, რომლის საფუძველზეც ვითხოვ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს ჩემი საცხოვრებელი ადგილი. საგურამოს სახლში ძირითადად დედაჩემია, რახან ანა მუშაობს, თამარს მოვლა სჭირდება. დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ ანა მსგავსი ტიპის გადატვირთული სამუშაო გრაფიკით ვერცერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ბავშვებისათვის შესაბამისი დროის, ყურადღების დათმობას.

თეკლას ახსნა-განმარტება

მე და ჩემს დას დედაც და მამაც ძალიან გვიყვარს. მამა ჩვენთან არ ცხოვრობს, მაგრამ თითქმის სულ გვაკითხავს, ზოგჯერ თავის სახლშიც მივყავართ და იქ ვრჩებით. იმ სახლში, სადაც დედასთან ერთად ვცხოვრობთ, მამა იშვიათად რჩება ღამით. როდესაც მამასთან ერთად ვართ ძალიან გვიხარია და ბედნიერად ვგრძნობთ თავს. მე და ჩემი და ახლა ბაღში დავდივართ. ერთ ჯგუფში ვართ, ოთხი მეგობარი გვყავს. ბაღში სიარული იმიტომ გვიხარია, რომ იქ სალომეს, მარიამს, ლანას და ნინოს ვნახავთ. ბაღში დილით ბებიას დავყავართ, ზოგჯერ მამას და ხანდახან დედას. დედა დილით ადრე მიდის სამსახურში და ჩვენს დაძინებამდე ბრუნდება. ზოგჯერ მენატრება და ვურეკავ ხოლმე, იმ ტელეფონით მამამ რომ მიყიდა. შუადღით, როდესაც ბაღიდან მოვდივართ დიდ ტელევიზორში ტომი და ჯერის ვუყურებთ. ამ დროს მამა ან ბებია გემრიელ საჭმელს გვიმზადებს ჩვენ ცალკე ადგილი გვაქვს მოწყობილი, სადაც ბევრი სათამაშო გვაქვს. ზოგჯერ მამას და დედას საყიდლებზე ერთად დავყავართ, მამა ყველა სურვილს გვისრულებს, ამის გამო დედა ზოგჯერ გვიბრაზდება ჩვენც და მამასაც - ბავშვების ასე განებივრება არ შეიძლებაო. ცოტა ხნის წინ მამამ მე და დაიკოს ორი პატარა მანქანა გვიყიდა, რომლითაც ხშირად ვსეირნობთ ეზოში.

ჩვენ ძალიან გვიყვარს სეირნობა. მამას ხშირად დავყვართ თბილისის ზოოპარკში, სადაც ძალიან ბევრი ცხოველია. მე ფარშევანგები მომწონს, ჩემს დას ფერადი თუთიყუშები. მამა და დედა დაგვპირდნენ გიყიდითო. თოჯინების თეატრშიც ხშირად დავყავართ მამას. დედიკო ხშირად არ არის სახლში. ჩვენ პატარა დაიკო გვყავს, სულ ძინავს, რომ იღვიძებს ტირილს იწყებს, ბებია საჭმელს უმზადებს და აჭმევს. მე მინდა არ იტიროს, მაგრამ არ მიჯერებს, ბებია მეუბნება პატარები რომ იყავით თქვენც ეგრე ტიროდითო. ალბათ იმიტომ ტირის, რომ დედიკო ენატრება. ძილის წინ მამიკო ხოლმე ზღაპრებს გვიკითხავს, ოღონდ თუ მასთან ვრჩებით სახლში ან დედას ძალიან აგვიანდება. სხვა დროს, როცა დედა სახლში მოდის მამა გვკოცნის და სხვა სახლში მიდის.

მე და გვანცას გვინდა მამა ჩვენთან ცხოვრობდეს და სხვა სახლში არ მიდიოდეს. ვერ ვხვდებით ასე რატომ იქცევა, სხვა ბავშვების მშობლები ერთად ცხოვრობენ. მე მინდა დედაც სახლში იყოს და თამარმა გაღვიძებისას არ იტიროს. მაგრამ მამა ჩვენი სუპერგმირია და როდესაც ბებია ვერ ამშვიდებს ჩვენს დაიკოს, მამასთან თამარი უცებ მშვიდდება.

ალბათ, მე რომ ვწყვეტდე, მამასთან დავრჩებოდი, მაგრამ არ მინდა დედამ იტიროს ჩვენთან თუ აღარ იცხოვრებს, იმიტომ, რომ ხშირად მივაკითხავთ და დავრჩებით ხოლმე მასთან.

ქორწინების მოწმობა

დაქორწინდნენ:

ქალი - ანა (სახელი):

გვარი - XXX XXX

დაბადების თარიღი - XX.XX.XXXX

დაბადების ადგილი საქართველო (სახელმწიფო, ქალაქი მუნიციპალიტეტი)

პირადი ნომერი - 00000000000

მოქალაქეობა - საქართველო

მამაკაცი - ერეკლე (სახელი)

გვარი - XXX XXX

პირადი ნომერი - 00000000000

დაბადების თარიღი XX.XX.XXXX

დაბადების ადგილი - საქართველო (სახელმწიფო, ქალაქი მუნიციპალიტეტი)

პირადი ნომერი - 00000000000

მოქალაქეობა საქართველო

დაბადების თარიღი - XX.XX.XXXX

ქოწინების თარიღი - 2012 წლის 27 აგვისტო

ქორწინების რეგისტრაციის თარიღი 2012 წლის 27/8

აქტის ჩანაწერი №1111101

ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მიეკუთვნათ გვარები:

ცოლს - XXX

ქმარს - XXX

მოწმობის გაცემის თარიღი - 27/8/2012

მოწმობის გამცემი ორგანო საქართველოს - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

გვანცას დაბადების მოწმობა

სახელი - გვანცა

გვარი - XXX

დაბადების თარიღი - 9/5/2013

დაბადების ადგილი - საქართველო

სქესი - მდედრობითი

პირადი ნომერი - 01010101010

მოქალაქოება - საქართველო

დაბადების რეგისტრაციის თარიღი - XXX

მშობლები:

მამა - ერეკლე

ბავშვის ბიოლოგიურმა დედამ (ნინომ) 2016 წლის 12 იანვარს, 22 თებერვალს და 2 აპრილს განცხადებებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის რაიონულ განყოფილებას დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვის მოთხოვნით. მისი განმარტებით, მან ვერ შეძლო ახლობლებში თავშესაფრის მოძებნა და ითხოვდა დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვას ან შვილის გადაუდებელი მინდობით აღზრდაში გადაყვანას, რათა მისცემოდა შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება.

სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის 28.07.2016 წლის N01-01-02 წერილის თანახმად, მოპასუხის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან ბავშვის გამოყვანა მონიკას (აღმზრდელის) ოჯახიდან ვერ მოხერხდა, ხოლო რეგულარულ მინდობით აღზრდაში დარეგისტრირებულმა მიმღებმა მშობელმა უარი განაცხადა ბავშვის მასთან განთავსებაზე.

ბიოლოგიურმა დედამ ნინომ 2016 წლის 26 სექტემბერს კვლავ მიმართა განცხადებით მომსახურების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს და მონიკას ოჯახისაგან ბავშვის გამოყვანის პროცესში დახმარება მოითხოვა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა შსს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად განახორციელა ვიზიტი მონიკასა და ვახტანგის საცხოვრებელ სახლში, თუმცა, მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგობის გამო ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა. მონიკამ და ვახტანგიმ მიიჩნიეს, რომ ბავშვის იძულებით გამოყვანა ბავშვის ფსიქიკას ზიანს მიაყენებდა, რის გამოც მცირეწლოვანი აღმზრდელის ოჯახში დარჩა.

აღმზრდელმა (მონიკამ) 2017 წლის 2 მაისს სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მცირეწლოვანის ბიოლოგიური დედის (მოპასუხის) წინააღმდეგ და მშობლის უფლების შეზღუდვა და ბავშვზე მეურვედ (7 წლის შემდგომ - მზრუნველად) დანიშვნა მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა ზემოთ მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ მოპასუხე ფეხმძიმობის დროს, თვეების მანძილზე ცხოვრობდა მასთან. ის და მისი მეუღლე ზრუნავდნენ მასზე, აკონტროლებდნენ მის ჯანმრთელობას და კვებას. ბავშვის დაბადების შემდეგ მოსარჩელემ და მოპასუხემ ერთობლივად მიმართეს შესაბამის ორგანოს და გამოხატეს თანხმობა ბავშვის მოსარჩელისთვის მიშვილების თაობაზე. მოგვიანებით ბიოლოგიურმა დედამ შეიცვალა პოზიცია და ბავშვის დაბრუნება მოითხოვა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, ბავშვისთვის საზიანო იქნება, რადგან მცირეწლოვანს ახლო ემოციური კავშირი გააჩნია მასთან და მის მეუღლესთან. ასევე მონიკამ სარჩელით მოითხოვა, რომ ასევე მოითხოვა გადახდეს მოპასუხე ნინოს როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯები.

მოპასუხე ნინომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარადგინა შესაგებელი და შეგებებული სარჩელი. მოპასუხემ (ბიოლოგიურმა დედამ) სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ის არ იყო შერაცხადი მოსარჩელესთან ერთად სააგენტოსთვის მიმართვის დროს, მან მალევე გააცნობიერა თავისი მოქმედების შედეგი, მოითხოვა ბავშვის გაშვილების პროცედურების შეწყვეტა და ამასთან, არ არსებობდა მისთვის მშობლის უფლების შეზღუდვის არც ერთი სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

მცირეწლოვანის ბიოლოგიურმა დედამ 2017 წლის 12 მაისს შეგებებული სარჩელი აღძრა აღმზრდელის წინააღმდეგ და ზემოთ მოცემულ გარემოებებზე მითითებით მცირეწლოვანის ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება მოითხოვა.

შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ აგრეთვე იშუამდგომლა, რომ საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩართულიყო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) იმერეთის რეგიონული ცენტრი.

სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრმა, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განჩინებით საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩაერთო, მხარი დაუჭირა ბიოლოგიური დედის შეგებებულ სარჩელს და არ დაეთანხმა თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას.

მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტება და სასარჩელო მოთხოვნა

მოგახსენებთ, რომ მე და ჩემი მეუღლე ვახტანგი ერთად ვცხოვრობთ 2012 წლიდან. 2015 წლის 5 იანვრიდან კი ვიმყოფებით რეგისტრირებულ ქორწინებაში. მიუხედავად მრავალწლიანი თანაცხოვრებისა, ჩვენ არ გვყავს საერთო შვილი, ამიტომ ქორწინების შემდეგ გადავწყვიტეთ შვილის აყვანა. იმ პერიოდში გავიგეთ, რომ ჩვენი ნათესავი ნინო, რომელიც იმ წელს გახდა 18 წლის, მშობლებმა სახლიდან გამოუშვეს. მოგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის მიზეზი, როგორც ჩვენთვის ცნობილია ნინოს ფეხმძიმობის ფაქტი გახდა. მე და ჩემმა მეუღლემ ერთობლივად გადავწყვიტეთ ნინოსთვის დახმარების ხელი გაგვეწვდინა და ის ლანჩხუთიდან ქუთაისში, ჩვენს საცხოვრებელ სახლში ჩამოვიყვანეთ. მთელი ორსულობის პერიოდში ნინოს თავს ვევლებოდით, ვზრუნავდით მის ჯანმრთელობასა და კვებაზე, ვამშვიდებდით, ვაწყნარებდით, ვეუბნებოდით, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და მშობლებიც მალე აპატიებდნენ. მას ორსულობის პერიოდშივე მკაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ მას გააშვილებდა. ნინო ფეხმძიმობის პერიოდში ამას სერიოზულად არ აღვიქვამდა, ვფიქრობდით, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ ყველაფერი შეიცვლებოდა და გადაიფიქრებდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

2015 წლის 12 ივლისს დაიბადა ბარბარე, ულამაზესი გოგონა. ნინოს ისევ სურდა მისი გაშვილება, ამიტომ მე და ჩემმა მეუღლემ შევთავაზეთ, რომ მასთან ერთად მივსულიყავით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში და დაგვეწერა განცხადება. ნინომ განცხადებით გამოთქვა სურვილი ბავშვის გაშვილებისა და მიტოვების შესახებ და სასურველ კანდიდატად დაგვასახელა მე და ჩემი მეუღლე - ვახტანგი, ხოლო ჩვენ, რა თქმა უნდა, თანხმობა გამოვთქვით ბავშვის შვილად აყვანაზე.

2015 წლის 12 ივლისიდან პატარა ბარბარე ჩვენთან იზრდება. მას ცივ ნიავსაც კი არ ვაკარებთ და ყველაფერს ვაკეთებთ მისი კეთილდღეობისათვის. ამ დროის მანძილზე ერთი დღეც კი არ ვყოფილვარ მისგან შორს.

მოგახსენებთ, რომ ბიოლოგიურ დედას 2015 წლის 2 აგვისტომდე და არც მის შემდეგ პირადად ჩვენთვის არ განუცხადებია შვილის მონახულების სურვილი. ჩვენ მხოლოდ 2015 წლის ნოემბერში გავიგეთ, რომ მას ბავშვის ჩვენგან წაყვანა სურდა, რაზეც რა თქმა უნდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უარი განვაცხადეთ.

უნდა აღვნიშნო, რომ ნინოს არ გააჩნია საცხოვრებელი, არ აქვს სამსახური და არ შეუძლია ბავშვის რაიმე სახით უზრუნველყოფა, შესაბამისად ჩვენ სოციალურ მუშაკს უარი განვუცხადეთ ბავშვის დედასთან გადაყვანაზე.

გეტყვით იმასაც, რომ პატარა ბარბარე ჩვენზე ემოციურად ძალიან დამოკიდებულია, აღგვიქვამს, როგორც მშობლებს, ჩვენთან, განსაკუთრებით ჩემთან ერთი საათით განშორებაც კი დიდ სტრესს აყენებს მას.

ვითხოვთ:

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეიზღუდოს ნინოს (ბიოლოგიური დედას) მშობლის უფლებები და ბავშვის - ბარბარეს მეურვედ (7 წლის შემდგომ - მზრუნველად) დაინიშნოს მონიკა.

ბავშვის - ბარბარეს საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მონიკასა და ვახტანგის საცხოვრე-

ბელი ადგილი.

მოპასუხეს - ნინოს გადახდეს როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯების გადახდა

დაბადების მოწმობა

სახელი | ბარბარე

გვარი | XXX

დაბადების თარიღი | 12/07/2015

დაბადების ადგილი | საქართველო

სქესი | მდედრობითი

პირადი ნომერი | 01010101010

მოქალაქეობა | საქართველო

დაბადების რეგისტრაციის თარიღი | XXX

მშობლები:

მამა |

პირადი ნომერი |

მოქალაქეობა |

დედა | ნინო

პირადი ნომერი | 01111111111

მოქალაქეობა | საქართველო

მოწმობის გაცემის თარიღი | XXX

მოწმობის გამცემი ორგანო | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ქორწინების მოწმობა

ქალი

სახელი | მონიკა

გვარი |

დაბადების თარიღი | XXX

დაბადების ადგილი | XXX

პირადი ნომერი | 12121221212

მოქალაქეობა | საქართველო

მამაკაცი

სახელი | ვახტანგი

გვარი |

დაბადების თარიღი | XXX

დაბადების ადგილი | XXX

პირადი ნომერი |171711171717

მოქალაქეობა | საქართველო

ქორწინების თარიღი | 5/01/2015

ქორწინების რეგისტრაციის თარიღი | 5/01/2015

მოწმობის გაცემის თარიღი | XXX

მოწმობის გამცემი ორგანო | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოპასუხის ახსნა-განმარტება, შესაგებელი და

შეგებებული სარჩელით სასარჩელო მოთხოვნები

მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 13 სექტემბერს გავხდი 18 წლის. ამ პერიოდში ვცხოვრობდი მშობლების სახლში ლანჩხუთში. მალევე ჩემს ცხოვრებაში დადგა პერიოდი, რომელმაც ჩემს ირგვლივ ყველაფერი შეცვალა. დავფეხმძიმდი ქორწინების გარეშე. ეს უკანასკნელი ჩემი მშობლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და სახლიდან წასვლა მომთხოვეს. არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, ასეთ მდგომარეობაში სად უნდა წავსულიყავი. სკოლა ახალი დასრულებული მქონდა, არც დასაქმებული ვიყავი და არც საცხოვრებელი სახლი გამაჩნდა. ამ დროს ჩემს ცხოვრებაში მონიკა და ვახტანგი გამოჩნდნენ, რომლებმაც შემიფარეს და მთელი ორსულობის პერიოდში ზრუნავდნენ ჩემზე. ვიყავი ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. ჩემი მშობლების რეაქცია და მათი კატეგორიული მოთხოვნა, რომ სახლიდან წავსულიყავი ჩემთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. მთელი ორსულობის პერიოდში ვტიროდი და განვიცდიდი ამ ამბავს, მეგონა თუ ბავშვს გავაშვილებდი ჩემი მშობლები მაპატიებდნენ და ისევ მიმიღებდნენ, თუმცა შევცდი. მშობლების კეთილგანწყობის მოპოვების გამო მსურდა ჩემი შვილის ბარბარეს გაშვილება.

2015 წლის 12 ივლისს დაიბადა ბარბარე. უსაყვარლესი პატარა გოგონა, რომელსაც თავს ევლებოდნენ მონიკა და ვახტანგი. ჩემს ისედაც ცუდ მენტალურ მდგომარეობას, მშობიარობის შემდგომი დეპრესიაც დაემატა, ამიტომ სწორად ფაქტების აღქმა და გაანალიზება ძალიან მიჭირდა. როდესაც ვხედავდი, მონიკასა და ვახტანგის მზრუნველობას ჩემი გოგონას მიმართ, თუ როგორ ევლებოდნენ თავს და აკეთებდნენ ყველაფერს რაც მათ შეეძლოთ თუ არ შეეძლოთ, ვფიქრობდი, რომ მე იგივეს ვერასდროს გავაკეთებდი ბარბარესთვის. მეგონა ვერასდროს წამოვდგებოდი ფეხზე და ვერ შევძლებდი მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მის უზრუნველყოფას. მეგონა, რომ ვერ ვაჩუქებდი ლაღ ბავშვობას. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ბარბარე უნდა გამეშვილებინა.

ველაპარაკე მონიკას, ავუხსენი, რომ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, მაწუხებდა საშინელი ფიქრები და დეპრესია. ვეუბნებოდი, რომ არ მინდოდა ბარბარეს რამე მოკლებოდა, მინდოდა მისთვის ლაღი ბავშვობა მეჩუქებინა, თუმცა ამას ვერ შევძლებდი. მონიკამ შემომთავაზა, რომ ის იშვილებდა ბარბარეს და მეც მომეცემოდა შესაძლებლობა, როდესაც მომესურვებოდა მაშინ მომენახულებინა ჩემი შვილი. ამიტომ 2015 წლის 2 აგვისტოს მე და მონიკა წავედით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს - იმერეთის რეგიონულ ცენტრში განცხადების დასაწერად. განცხადებით მე უარი ვთქვი ბარბარეზე და გამოვთქვი სურვილი მისი გაშვილების თაობაზე, ამასთან მშვილებლებად მონიკა და მისი მეუღლე ვახტანგი მივუთითე. მონიკამაც განცხადებით თანხმობა განაცხადა ბავშვის შვილად აყვანაზე.

განცხადების დაწერის შემდეგ ბავშვი მონიკასა და ვახტანგს დავუტოვე, თავად კი ჩემი მშობლების სახლში წავედი. მშობლებმა არ მაპატიეს. იქედან წამოსულმა გადავწყვიტე, რომ სამსახური და საცხოვრებელი მომეძებნა, თუმცა ძალიან რთული აღმოჩნდა.

საბოლოოდ საცხოვრებლად ჩემს ნათესავთან გადავედი, ამასთან ერთთვიანი ძებნის შემდეგ დავიწყე მუშაობაც. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი შვილი ძალიან მენატრებოდა, მალევე გადავწყვიტე მისი მონახულება. მონიკას დავურეკე, რომ ბარბარეს ნახვა მინდოდა, თუმცა გამომიცხადა, რომ ქალაქგარეთ იყვნენ გასულები და ბავშვს ვერ ვნახავდი.

ერთ კვირაში ისევ დავურეკე მონიკას, ამჯერად მან ტელეფონი საერთოდ გამორთო. აღნიშნული შემდეგ მივაკითხე სახლში, თუმცა კარი არ გამიღეს.

ერთთვიანი უშედეგო ხვეწნისა და მათ სახლთან ყოფნის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი შვილის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, ამიტომ 2015 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მივმართე ქუთაისის რაიონულ განყოფილებას და მოვითხოვე შვილის დაბრუნება.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის მიერ შეჩერდა მონიკასა და ვახტანგისათვის ბავშვის მიშვილების პროცედურები.

მართალია მე ჩემს დეიდაშვილთან ერთად ვცხოვრობდი, თუმცა როდესაც მას ვთხოვე, რომ დროებით მის სახლში ბავშვთან ერთად ვიცხოვრებდი, მან უარი განმიცხადა. სხვა ახლობლებიც ასე მოიქცნენ, ამიტომ 2016 წლის 12 იანვარს, 22 თებერვალს და 2 აპრილს განცხადებებით მივმართე სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის რაიონულ განყოფილებას დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვის მოთხოვნით, ამასთან თუ აღნიშნული შეუძლებელი იქნებოდა ვითხოვდი შვილის გადაუდებელი მინდობით აღზრდაში გადაყვანას, რათა მომცემოდა შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება.

სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის 28.07.2016 წლის N01-01-02 წერილის თანახმად, ჩემი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან ბავშვის გამოყვანა მონიკას (აღმზრდელის) ოჯახიდან ვერ მოხერხდა, ხოლო რეგულარულ მინდობით აღზრდაში დარეგისტრირებულმა მიმღებმა მშობელმა უარი განაცხადა ბავშვის მასთან განთავსებაზე.

2016 წლის 26 სექტემბერს კვლავ მივმართე განცხადებით სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს და მონიკას ოჯახისაგან ბავშვის გამოყვანის პროცესში დახმარება მოვითხოვე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა შსს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად განახორციელა ვიზიტი მონიკასა და ვახტანგის საცხოვრებელ სახლში, თუმცა, მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგობის გამო ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა.

განგიმარტავთ, რომ ამჟამად არარეგისტრირებულ ქორწინებაში ვიმყოფები ნიკოლოზთან, ჩვენი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია, ვართ დასაქმებულნი, ჩემს მეუღლეს ასევე პერიოდულად უწევს საზღვარგარეთ გამგზავრება სამუშაოდ. ამასთან, ის მზად არის, რომ იზრუნოს ჩემს შვილზე.

აქვე განვმარტავ, რომ არანაირი ობიექტური მიზეზი არ არსებობს იმისათვის/ რომ მონიკას სარჩელი დაკმაყოფილდეს და ბარბარეს მეურვედ, შემდგომ კი მზრუნველად დაინიშნოს ის ან მისი მეუღლე.

ვითხოვ:

არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელის - მონიკას სარჩელი

მცირეწლოვანი ბარბარე დაუბრუნდეს მის ბიოლოგიურ დედას/მშობელს და მის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს ბიოლოგიური დედის საცხოვრებელი ადგილი.

ვშუამდგომლობ, რომ საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩართულ იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) იმერეთის რეგიონული ცენტრი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, ჩემი შვილი - 2015 წლის 12 ივლისს დაბადებული ბარბარე (პ/ნ .....) გამოაცხადოთ მიტოვებულად და დაიწყოთ მისი გაშვილების პროცედურები. სასურველ კანდიდატებად დასახელდნენ : რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მონიკა (პ/ნ .....) და ვახტანგი (პ/ნ .....)

აღვნიშნავ, რომ აღნიშნული არის ჩემი სურვილი და განცხადების დაწერის დროს არ ვიმყოფები ვინმეს/რამის ზემოქმედების ქვეშ.

02/08/2015

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: მონიკასა და ვახტანგის

განცხადება

თანახმა ვართ, შვილად ავიყვანოთ ბარბარე (პ/ნ .....). გთხოვთ, დაიწყოთ შესაბამისი პროცედურები.

02/08/2015

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, შეწყვიტოთ გაშვილების პროცედურა ჩემი შვილის ბარბარეს (პ/ნ .....) მიმართ.

მოგახსენებთ, რომ ბავშვის დაბადების მომენტისათვის არ ვიმყოფებოდი ქორწინებაში, ამის გამო სერიოზული პრობლემები შემექმნა მშობლებთან. აღვნიშნავ, რომ ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ყოფნის გამო ვერ ვიაზრებდი ჩემი მოქმედების შედეგებს და სწორედ ამ დროს 2015 წლის 2 აგვისტოს შევავსე განცხადება შვილის გაშვილების თაობაზე. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ გავაანალიზე რა ჩემი მოქმედება, ვითხოვ შვილის დაბრუნებას. დავამატებ, რომ განცხადების დაწერისას სტრესსა და წნეის ქვეშ ყოფნას ემატებოდა მშობიარობის შემდგომი დეპრესიაც.

04/11/2015

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვას. განვმარტავ, რომ ამჯერად ვცხოვრობ დეიდაშვილთან, თუმცა მას არ აქვს სურვილი ჩემს შვილთან ერთად იცხოვროს ერთ ბინაში, ამასთან ვერ შევძელი სხვა ახლობლებში თავშესაფრის მოძებნა.

მოგახსენებთ, რომ მონიკას (პ/ნ .....) მიერ მეზღუდება ჩემი ბიოლოგიური შვილის ნახვა, ამიტომ თუკი ზემოაღნიშნული შეუძლებელი იქნება გთხოვთ ჩემი შვილი გადაიყვანოთ გადაუდებელი მინდობით აღზრდაში, რათა მომეცეს შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება/შესაძლებლობა.

12/01/2016

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვას. განვმარტავ, ვერ შევძელი ახლობლებში თავშესაფრის მოძებნა.

ასევე მოგახსენებთ, რომ მონიკას (პ/ნ .....) მიერ მეზღუდება ჩემი ბიოლოგიური შვილის ნახვა, ამიტომ თუკი ზემოაღნიშნული შეუძლებელი იქნება გთხოვთ ჩემი შვილი გადაიყვანოთ გადაუდებელი მინდობით აღზრდაში, რათა მომეცეს შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება/შესაძლებლობა.

22/02/2016

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, ჩემი შვილი გადაიყვანოთ გადაუდებელი მინდობით აღზრდაში, რათა მომეცეს შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება/შესაძლებლობა.

მოგახსენებთ, რომ არაერთი მცდელობისა ვერ ვახერხებ ჩემი შვილის ნახვას, ვინაიდან მონიკას (პ/ნ .....) მიერ მეზღუდება ჩემი ბიოლოგიური შვილის ნახვა.

2/04/2016

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრი

ქუთაისი 28/07/2016

წერილი N01-01-02

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2016 წლის 12 იანვრის, 22 თებერვლისა და 2 აპრილის მომართვის პასუხად, მოგახსნეებეთ, რომ თქვენი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან ბავშვის გამოყვანა მონიკას (აღმზრდელის) ოჯახიდან ვერ მოხერხდა, ხოლო რეგულარულ მინდობით აღზრდაში დარეგისტრირებულმა მიმღებმა მშობელმა უარი განაცხადა ბავშვის მასთან განთავსებაზე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრს

მოქალაქე: ნინოს

განცხადება

გთხოვთ, დამეხმაროთ მონიკას (პ/ნ .....) ოჯახიდან ჩემი ბიოლოგიური შვილის - ბარბარეს გამოყვანაში, ვინაიდან არაერთი მცდელობისა ვერ ვახერხებ ჩემი შვილის ვერც დაბრუნებას და ვერც ნახვას. განვმარტავ, რომ ქალბატონი მონიკა ყველანაირ მიზღუდავს მშობლის უფლებებს და არ მაძლევს შესაძლებლობას ჩემი შვილთან კონტაქტის დამყარების საშუალებას.

26/09/2016

ხელმოწერა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრი

ქუთაისი 3/11/2016

ოქმი N01-03

2016 წლის 26 სექტემბერს ქალბატონი ნინოს მომართვის საფუძველზე შსს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად განახორციელა ვიზიტი მონიკასა და ვახტანგის საცხოვრებელ სახლში, თუმცა, მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგობის გამო ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა. ოჯახის წევრები ყვიროდნენ, გვიწევდნენ ფიზიკურ წინააღმდეგობას და ექაჩებოდნენ ბავშვს.

ვიზიტის პერიოდში ბავშვი იყო შეშინებული და გაუჩერებლად ტიროდა. მივიჩნიეთ, რომ ჩვენი იქ ყოფნა და ოჯახის წევრების რეაქცია ჩვენს გამოჩენეაზე, ბავშვს აგდებდა სტრესულ მდგომარეობაში. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბავშვი დაგვეტოვებინა ქალბატონი მონიკას ოჯახში, ვინაიდან ბავშვის იძულებით გამოყვანა ბავშვის ფსიქიკას ზიანს მიაყენებდა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრი

ქუთაისი 2/07/2017

დასკვნა N1

2017 წლის 20 ივნისს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს წერილით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. მომართვის საფუძველს წარმოადგენს ამავე სასამართლოს 2020 წლის 18 მაისს განჩინება, რომლის თანახმად იმერეთის რეგიონულ ცენტრს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის ბარბარეს სოციალური გარემოსა და უსაფრთხო აღზრდა–განვითარებისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობების შესწავლა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მზრუნველობისა და მეურვეობის ტერიტორიულ ორგანოს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის, ბარბარეს ბიოლოგიური მშობლისა და აღმზრდელის სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა დავის საგანთან მიმართებაში.

მოსარჩელე/მოპასუხე მხარის პოზიციები სარჩელის მიმართ:

განხორციელებული ვიზიტისა და ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგენილია შემდეგი გარემოება. კერძოდ, ნინოს არარეგისტირებული ქორწინებიდან ჰყავს ერთი შვილი, 2 წლის ბარბარე. ამჟამად ბარბარე ცხოვრობს მისი აღმზრდელის ოჯახში მონიკასა და ვახტანგთან. რაც შეეხება ბარბარეს დედას მას ჰყავს მეუღლე - ნიკოლოზი, რომელთანაც იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში.

ბარბარე დაბადებიდან გაიზარდა მონიკას ოჯახში. მონიკას გადმოცემით, ბიოლოგიურ დედას არასოდეს უზრუნია შვილზე და ისიც არ ესაუბრება ბარბარეს ბიოლოგიურ მშობელზე. ამ ეტაპზე აღმზრდელის მოთხოვნაა ბიოლოგიურ დედას შეეზღუდოს მშობლის უფლება, ამასთან, მას მიეცეს უფლება დაინიშნოს ბარბარეს მეურვედ (შემდგომში მზრუნველად). მონიკა განმარტავს, რომ ბავშვი ძალიან დამოკიდებულია მასზე და თუკი ერთი საათით მაინც ტოვებს ნათესავთან, ბავშვი ამას ძალიან განიცდის. თუმცა შესაგებელში მოპასუხე მხარე აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება.

მოსარჩელე-მოპასუხე პირების საცხოვრებელი პირობები და სოციალური გარემო:

რაც შეეხება მოსარჩელე პირის საცხოვრებელ პირობებსა და სოციალურ გარემოს, საცხოვრებელი წარმოადგენს სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას, რომელიც მოწესრიგებულია, აღჭურვილია სათანადო ავეჯითა და ინვენტარით. ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს მონიკას მეუღლე ვახტანგი, რომელიც ფლობს საკუთარ ბიზნესს. აღმზრდელის ოჯახში არის დამაკმაყოფილებელი და მზრუნველი გარემო ბავშვის ნორმალური აღზრდა–განვითარებისთვის. ინტერვიუს დროს მოსარჩელე პირი საუბრობდა დალაგებულად და ადეკვატურად. ერთი შეხედვით მა-

თი ფსიქო–ემოციური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბავშვის დამოკიდებულება დავის მხარეების მიმართ :

ბარბარე არის 2 წლის. ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებულია ასაკის შესაბამისად. ასევე დამაკმაყოფილებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჩემი ვიზიტის დროს ბარბარე იყო მოწესრიგებული და სუფთად ჩაცმული. მონიკას გადმოცემით, დაცულია ბავშვის კვებისა და მოვლის რეჟიმი, არასრულწლოვანი უზრუნველყოფილია სრულფასოვანი საკვებითა და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებით. ოჯახში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვის განვითარებას. ბარბარეს აღმზრდელის გადმოცემით ბავშვი ბიოლოგიურ დედას არ იცნობს.

სოციალური მუშაკის პოზიცია/დასკვნა/რეკომენდაცია:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩემი, როგორც სოციალური მუშაკის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბარბარე ცხოვრობს კეთილსაიმედო გარემოში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით საჭიროებას წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობელთან ურთიერთობის საკითხის მოწერიგება, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს დადებით დასკვნას ბარბარეს დედასთან დაკავშირებით, რადგან დედა-შვილის პოზიტიური ურთიერთობა განამტკიცებს მომავალში არასრულწლოვნის ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას.

იმერეთის რეგიონული ცენტრის სოციალური მუშაკი

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს -

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრი

ქუთაისი 5/07/2017

დასკვნა N2

2017 წლის 20 ივნისს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს წერილით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. მომართვის საფუძველს წარმოადგენს ამავე სასამართლოს 2020 წლის 18 მაისს განჩინება, რომლის თანახმად იმერეთის რეგიონულ ცენტრს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის ბარბარეს სოციალური გარემოსა და უსაფრთხო აღზრდა–განვითარებისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობების შესწავლა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მზრუნველობისა და მეურვეობის ტერიტორიულ ორგანოს დაევალა არასრულწლოვანი ბავშვის, ბარბარეს ბიოლოგიური მშობელისა და აღმზრდელის სოციალური გარემოს, საცხოვრებელი პირობების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა დავის საგანთან მიმართებაში.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ვიზიტი ბარბარეს ბიოლოგიურ დედასთან ფაქტობრივ მისამართზე : ..... . აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ: ბარბარეს ბიოლოგიური დედა - ნინო და მისი მეუღლე ნიკოლოზი, რომელთანაც იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში. საცხოვრებელი ბინა არის ოჯახის საკუთრებაში და იგი შედგება 5 ოთახისაგან. საცხოვრებელ სახლში არის ყველა საჭირო ავეჯი და ტექნიკა, მოწესრიგებულია კომუნალური პირობები, ვიზიტისას დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბარბარეს დედის გადმოცემით იგი ამ ეტაპზე დასაქმებულია, ამასთან დასაქმებულია მისი მეუღლე ნიკოლოზიც. საუბრისას ნინომ აღნიშნა, რომ მის მეუღლეს ასევე პერიოდულად უწევს საზღვარგარეთ გამგზავრება სამუშაოდ. ბარბარეს დედის გადმოცემით ოჯახის შემოსავალი ამ ეტაპზე შეადგენს 2500 ლარს.

ბარბარეს დედის გადმოცემით 2014 წელს დაასრულა სკოლა და ჯერ კიდევ მშობლების სახლში ლანჩხუთში ცხოვრობდა. მალევე მის ცხოვრებაში დადგა პერიოდი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა. დაორსულდა ქორწინების გარეშე. ეს უკანასკნელი მისი მშობლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და სახლიდან წასვლა მოთხოვეს. არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა, ასეთ მდგომარეობაში სად უნდა წასულიყო. ამ დროს მის ცხოვრებაში მონიკა და ვახტანგი გამოჩნდნენ, რომლებმაც შეიფარეს და მთელი ორსულობის პერიოდში იზრუნეს მასზე. როგორც ბარბარეს დედა აღნიშნავს, იყო ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. მშობლების კეთილგანწყობის მოპოვების გამო მსურდა ჩემი შვილის ბარბარეს გაშვილება. მშობიარობის შემდგომ მის ფსიქოემოციურ მდგომარეობას სამშობიარო დეპრესიაც დაემატა და გაუაზრებლად მიიღო გადაწყვეტილება განცხადება დაეწერა ბარბარეს გაშვილების თაობაზე. ნინოს თქმით განცხადების დაწერის შემდგომ მის ცხოვრებაში დაიწყო ჯოჯოხეთური პერიოდი. მან მონიკას (აღმზრდელს) არაერთხელ უთხრა რომ ბავშვის ნახვა სურდა, თუმცა მონიკა ზარებს არ პასუხობდა, კარს არ აღებდა ან ბავშვს მალავდა. ბარბარეს დედის თქმით ბოლო ორი წელია მას არ უნახავს არას-

რულწლოვანი, გამომდინარე იქედან, რომ მონიკას ოჯახი მის მიმართ აგრესიული იყო, როდესაც იგი არასრულწლოვნის ნახვას ცდილობდა, მას არ სურდა არასრულწლოვანი კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩენილიყო და ცუდი ზეგავლენა მოეხდინა ამ კუთხით მასზე, ამიტომ მას მოუფრთხილდა.

ბარბარეს დედის თქმით მას სურს მისი შვილის დაბრუნება. უნდა რომ მას ლაღი და ბედნიერებით სავსე ბავშვობა აჩუქოს. მისი გადმოცემით მას აქვს შესაძლებლობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს ის ყველანაირად.

ჩემს მიერ გამოიკითხა აგრეთვე ნინოს მეუღლე ნიკოლოზი. ამ უკანასკნელის თქმით ის მზად არის აღზარდოს ნინოს შვილი - ბარბარე და შეიყვაროს ის საკუთარი შვილივით. ნიკოლოზით გადმოცემით ნინოს და მას აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ ბარბარე ყველა საჭიროებით. აგრეთვე ის მზად არის მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდაში და აცხოვროს მყუდრო, ოჯახურ, თბილ გარემოში.

სოციალური მუშაკის რეკომენდაცია: არასრულწლოვნის უფლებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვების კეთილდღეობისა და უფლებების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია მშობლის ჩართულობა ბავშვების აღზრდის საკითხებში, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია მასზე იზრუნოს ბიოლოგიურმა მშობელმა, რათა იგი გაიზარდოს სრულფასოვან და უსაფრთხო გარემოში, შესაბამისად მიზანშეწონილია არასრულწლოვანი ბარბარეს საკეთილდღეოდ მოქმედება, რადგან დედა-შვილის პოზიტიური ურთიერთობა განამტკიცებს მომავალში არასრულწლოვნის ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას.

ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები

28/07/2017წ.

საანკეტო მონაცემები**:**

ბავშვის სახელი - ბარბარე,

მცხოვრები ქუთაისში

მომართვის მიზეზი**:**

კითხოს ფსიქოლოგმა ბარბარეს, იცის თუ არა ვინ არის დედა? რას ეუბნება აღმზრდელი ბარბარეს დედაზე? როგორი ურთიერთობა აქვს ბარბარეს აღმზრდელთან? დედასთან? როგორ და სად ატარებენ ისინი დროს?

როგორი ურთიერთობა აქვს აღმზრდელთან და მის მეუღლესთან? ხომ არ ექცევიან ისინი მას ცუდად?

მომართვის წინაპირობა - მომართვა ფსიქოლოგთან მოხდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ. მომართვის წინაპირობას წარმოადგენდა სასამართლო განხილვაში არსებულ საოჯახო სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით.

მეთოდები - ქცევაზე დაკვირვება, ინტერვიუირება, მშობელსა და შვილს შორის ინტერაქციაზე დაკვირვება .

ვიზიტები - ინდივიდუალური ინტერვიუ განხორციელდა ბარბარეს აღმზრდელთან. გარდა ამისა, დაკვირვება ხდებოდა მონიკასა და ბარბარეს ინტერაქტიულ სტილზე, ქცევით, ემოციურ, კოგნიტურ მახასიათებლებზე. ინდივიდუალური ინტერვიუ შედგა არასრულწლოვანთან. განხორციელდა ინტერვიუ დედასთან და მოხდა დედა-შვილის ინტერაქციაზე დაკვირვება.

ფსიქოლოგთან ვიზიტი განხორციელდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვიდა და ტრეფკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში. ფსიქოლოგის ოფისში, ნეიტრალურ, ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ გარემოში არასრულწლოვანი მოვიდა აღმზრდელთან ერთად.

ამჟამად ბავშვი ცხოვრობს ოჯახში აღმზრდელთან და მის მეუღლესთან ერთად.

არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა

შეხვედრაზე არასრულწლოვნის სიტუაციური რეაქციები, ბიჰევიორული და ემოციური მახასიათებლები ინტერვიუს დასაწყისში მიუთითებდა მცირედ ღელვაზე, (წრიალი, ხელის, თითების განმეორებითი მოძრაობა); ვინაიდან ბავშვი მცირეწლოვანია აღინიშნებოდა დიქოტომიური პასუხები (დათანხმება, უარი). ინტერვიუს პირველი წუთების მანძილზე გაურბოდა კონტაქტს, ჰქონდა ყურადღების გადატანის მცდელობა. ბარბარე არ ავლენდა შიშებს, იმპულსურობას, ზოგადი ენერგიის დაქვეითებას ან აგრესიულობას. ინტერვიუს მსვლელობისას ფსიქოლოგი პერიოდულად მიმართავდა შინაარსსა თუ პროცესზე ორიენტირებულ თვითგახსნის მაგალითებს

(პირადი გამოცდილების, საკუთარი ავტომატური აზრებისა და ემოციური რეაქციების გაზიარება) გაუმჯობესებული ინტერპერსონალური გაგებისთვის, თვითგახსნის უნარ-ჩვევის მოდელირებისთვის. აღნიშნულმა გაზარდა არასრულწლოვნის მხრიდან პოზიტიური უკუკავშირი, ასერტიული კომუნიკაციის ფორმა, აქტიური თუ პასიური მოსმენის ინტენსივობა.

ბავშვი მარტივად ახდენს ახალ გარემოსთან ადაპტაციას. ინტერვიუს დროს აღმზრდელს ახასიათებს როგორც მზრუნველ და სანდო ფიგურას. დედად მოიხსენიებს მის აღმზრდელს - მონიკას, ხოლო მამად - ვახტანგს. ამბობს, რომ ძალიან უყვარს ისინი. პოზიტიური ემოციებით იხსენებს მათთან გატარებულ მომენტებს.

რაც შეეხება ბიოლოგიურ დედასთან ურთიერთობის საკითხს, ბარბარე ამბობს, რომ მას არ იცნობს. ვერ იხსენებს მასთან კონტაქტის ფაქტებს.

არასრულწლოვნისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი

აღმზრდელისა და ბარბარეს ინტერაქციაზე დაკვირვებით იკვეთება, რომ არასრულწლოვანი ამჟღავნებს სანდო მიჯაჭვულობას მონიკასთან, მისი თანდასწრებით გადმოსცემს აზრს თავისუფლად არ ამჟღავნებს დაძაბულობას ან შფოთვას.

რაც შეეხება ბავშვისა და დედის ინტერაქციას, მასზე დაკვირვებით იკვეთება, რომ ბავშვი თავიდან უცხოდ გრძნობდა თავს ბიოლოგიური მშობლის თანდასწრებით. არ პასუხობდა ნინოს და გაურბოდა მას, თუმცა მალევე მიეჩვია და დაიწყო მასთან თამაში. თავდაპირველი დაძაბულობა და შფოთვა შეიცვალა დადებითი ემოციებით და ამჟამად დედის მიმართ დადებითად არის განწყობილი.

დასკვნები-რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვი არ ავლენს აგრესიას ბიოლოგიური მშობლის მიმართ. მართალია მისთვის სანდო ფიგურას ამჟამად აღმზრდელი წარმოადგენს, თუმცა ბავშვთან ხშირი კონტაქტის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული შეიცვალოს. დედა-შვილის შეხვედრისას ბავშვი შორს იჭერდა თავს, რადგან ნინო მისთვის უცხო პერსონას წარმოადგენდა, თუმცა მალევე ბავშვის დამოკიდებულება მის მიმართ შეიცვალა და გახდა უფრო თბილი და დადებითი.

სასურველია ბიოლოგიურმა დედამ და მისმა მეუღლემ ფსიქოლოგთან გაიარონ კონსულტაციები, რათა შეძლონ ბავშვთან სწორი კომუნიკაცია და მისთვის სტრესის თავიდან არიდება.

არასრულწლოვნის აღზრდისას გამოიყენონ დემოკრატიული აღზრდის ფორმა: შესთავაზონ კონტროლირებადი გარემო, წესები, აუხსნან ქცევითი ეფექტები. განუსაზღვრონ, რის მიმართ გამოხატავენ მიმღებლობა–მიუღებლობას და რატომ. იყვნენ თანმიმდევრული ყველა სიტუაციაში. თუკი ბავშვის ქცევა მიუღებელია, არ მისცენ სურვილის დაკმაყოფილების საშუალება, ჩამოაშორონ სასიამოვნო სტიმულს, არ გამოხატონ სითბო ფიზიკურად თუ ვერბალურად, გამოიყენონ დაგეგმილი იგნორირება წუწუნის, ყვირილის, მანიპულაციის არასასურველი ფორმების მიმართ. ესაუბრონ ქცევით გამოწვეულ პირად გძნობებზე, ემოციებზე. ყურადღება გაუმახვილონ სასურველ ალტერნატიულ ქცევაზე, დადებით მოლოდინებზე, დააფიქსირონ ნდობა ბავ-

შვის პიროვნების მიმართ, მაგრამ გამოხატონ მკაფიო პოზიცია არმოსაწონ საქციელთან დაკავშირებით. შეინარჩუნონ მოთმინება, ესაუბრონ მშვიდი, მაგრამ დამარწმუნებელი კატეგორიული ფორმით. მიმართონ ქცევის დიფერენციალურ განმტკიცებას – სასურველი ქცევის დროს გამოხატონ დადებითი რეაქციები, არასასურველის დროს ჩამოაშორონ სასურველ სტიმულებს, მაგრამ უზრუნველყონ მეთვალყურეობა ბავშვის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. წაახალისონ არასრულწლოვნის დადებითი ეფექტების მქონე ინიციატივები. დაგეგმონ ერთობლივი აქტივობები.

ქაღალდის ზომა 1/8
ნაბეჭდი თაბახი 10
ტირაჟი 250

დაიბეჭდა ი. მ. „მარიამ იობაძის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ფ

9 789941 872990